ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 5 1963 წ.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

161. „საქართველოს სს რესპუბლიკაში ინდივიდუალური და კოოპერაციული საბინაო მშენებლობის შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 21 ივლისის № 531 დადგენილების დამატების თაობაზე.

162. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ახალი საწარმოო სამმართველოების შექმნის შესახებ.

163. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის საკითხები.

164. „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის მასწავლებელთა მომზადების ხარისხის გაუმჯობესების ზომების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 2 ოქტომბრის № 566 დადგენილების გაუქმების თაობაზე.

### საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს დადგენილებები

165. სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის საუკეთესო მაჩვენებლებისათვის საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშის მიკუთვნების შესახებ.

166. „სტავროპოლქიმმშენის“ №№ 11 და 31 სამშენებლო ტრესტების და სსრ კავშირის „სახმონტაჟსპეცმშენის“ სამონტაჟო ორგანიზაციების, ნევინომისკის, გროდნოს აზოტოვანი სასუქის ქარხნების და კინგისეპის ფოსფორიტის მაღაროს კოლექტივთა ინიციატივისათვის მხარდაჭერის შესახებ.

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება**

167. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს პურის პროდუქტების მთავარი სამმართველოს ბაზების, პუნქტებისა და წისქვილსაწარმოთა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების 1963 წლის მესამე კვარტალის შედეგების შესახებ.

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები**

168. საქართველოს სსრ სასოფლო რაიონების გამსხვილებისა და სხვა ზოგიერთ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ცვლილებებთან დაკავშირებით სახალხო სასამართლოების გაერთიანებისა და მათი საშტატო განრიგების დამტკიცების შესახებ.
169. საქართველოს სსრ მთიანი რაიონებისა და სოფელ ადგილებისათვის, დაწყებითი და საშუალო სკოლების ტიპობრივი პროექტების საპროექტო დავალებათა დამტკიცების შესახებ.
170. გლეხური ყველის შესასყიდი ფასის შესახებ.
171. იმ საწარმოთა და დაწესებულებათა სიის დამატების შესახებ, რომელთა სახლებიდან შესაძლებელია მობინადრეთა გამოსახლება სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად.
172. სურამის თორმეტწლიანი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის გარდაქმნის შესახებ.
173. კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო ტრესტის სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შრომის ანაზღაურების ჯგუფებზე მიკუთვნების შესახებ.
174. ჯიშიანი და ადგილობრივი გაუმჯობესებული პირუტყვის, ჯიშიანი ცხენების, ბეწვიანი ნადირისა და ფრინველის ფასების შესახებ
175. სოფლის ახალგაზრდობის საღამოს საშუალო სკოლებისა და კლასების გახსნის შესახებ.
176. ქ. თბილისში რვასართულიანი 77-ბინიანი მაღაზიიანი აგურის საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ფასების პრეისკურანტის დამტკიცების შესახებ.
177. საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მეცხოველეობის სადგომების, სხვა შენობებისა და ნაგებობების მშენებლობაში ინდუსტრიული მეთოდების დანერგვის ზომების შესახებ.
178. რესპუბლიკის კინოქსელის მმართველობის ორგანოების შესახებ.
179. ნაკლებადდატვირთული სარკინიგზო გადასასვლელების გაუქმების შესახებ.

180. იმის შესახებ, რომ აეკრძალოთ კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებსა და სხვა მოქალაქეებს ციტრუსოვანთა ნაყოფის და დაფნის ფოთლის გატანა საქართველოს სსრ ფარგლებს გარეთ, აგრეთვე მათი გაყიდვა საკოლმეურნეო ბაზრებში.
181. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 11 სექტემბრის № 957 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შეცვლისა და გაუქმების შესახებ.
182. საქართველოს სს რესპუბლიკაში სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადებისადმი ხელმძღვანელობის ერთ ორგანოდ გაერთიანების შესახებ.
183. სამრეწველო საწარმოებისა და სოფლის მეურნეობის საწარმოო ობიექტების სამშენებლო დაპროექტების მოწესრიგების შესახებ.
184. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.
185. ახალშექმნილი ადმინისტრაციული რაიონების მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების შტატების დამტკიცების შესახებ.
186. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს იმის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ, რომ გადასცეს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებისა და სხვა ორგანიზაციების განკარგულებაში საცხოვრებელი ფართობი ლიანდაგის სამანქანო სადგურებისათვის აშენებულ სახლებში.
187. სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის შესახებ.
188. გუდაუთის № 3 საშუალო სკოლისათვის ნ. ა. ლაკობას, კულაშის საშუალო სკოლისათვის კ. თ. მკურნალის და სამტრედიის მუსიკალური სკოლისათვის დ. ბ. შანიძის სახელის მიკუთვნების შესახებ.
189. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 27 იანვრის № 83 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების გაუქმებისა და ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
190. საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ.
191. საქართველოს სს რესპუბლიკაში სამოქალაქო მშენებლობის, ქალაქთა დაგეგმარებისა და განაშენიანების საპროექტო საქმის გაუმჯობესების შესახებ.
192. ხილისა და ბოსტნეულის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის მოწყობის შესახებ.
193. თბილისის მეოთხე მუსიკალური სასწავლებლისათვის მ. ა. ბალანჩივაძის სახელის მიკუთვნების შესახებ.
194. 1962 წელს სახელმწიფოსათვის მაღალი ხარისხის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის მიყიდვის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ახალქალაქის საწარმოო სამმართველოს სოფ. მერენიასა და სოფ. უჩმანის კოლმეურნეობების დაჯილდოების შესახებ.
195. საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის იურიდიული განყოფილების, მთავარი (უფროსი) იურისკონსულტის, იურისკონსულტის დებულების დამტკიცების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

196. საქართველოს სსრ სამინისტროებში, უწყებებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და საწარმოებში საქმისწარმოების გაუმჯობესების ზომების შესახებ.
197. საქართველოს სსრ სამხატვრო ფონდისათვის იმ მხატვრულ ნაკეთობათა საცალო ფასების დამტკიცების უფლების მინიჭების შესახებ, რომლებსაც მისდამი დაქვემდებარებული საწარმოები ამზადებენ.
198. სახანძრო უშიშროების წესების დარღვევისათვის ჯარიმების დაწესების შესახებ.
199. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ვაჭრობის სამმართველოს საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირის სისტემისათვის გადაცემის შესახებ.
200. „სამრეწველო საწარმოთა ელექტროდანადგარების სიმძლავრის კოეფიციენტის (კოსინუს ფი) გადიდების შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 4 მაისის № 285 დადგენილების 1 მუხლის ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე.
201. შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების შეგროვებისა, შენახვისა და გაგზავნისათვის საწარმოთა, მეურნეობათა და ორგანიზაციათა მუშაკების დაჯილდოების შესახებ.
202. ხარისხოვანი ჩაის ფოთლის შესასყიდი ფასების შესახებ.
203. მუშა-მოსამსახურეთა სასაწოლო ტიპის საერთო საცხოვრებლების შენახვისა და მათში ცხოვრების ქირის მოწესრიგების შესახებ.
204. საბჭოთა მეურნეობებში პამიდორის საერთო პროდუქციის მიღების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის პრემიის ნატურით ანაზღაურების შესახებ.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

**161** „საქართველოს სს რესპუბლიკაში ინდივიდუალური და კოოპერაციული საბინაო მშენებლობის შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 21 ივლისის № 531 დადგენილების დამატების თაობაზე

იმასთან დაკავშირებით, რომ გაუქმებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 30 მაისის № 435 დადგენილება „ქ. თბილისში საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ“ და 1959 წლის 8 აგვისტოს № 641 დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო-სამშენებლო და სააგარაკო-სამშენებლო კოოპერატივების განვითარების შესახებ“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

დაემატოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 21 ივლისის № 531 დადგენილებას „საქართველოს სს რესპუბლიკაში ინდივიდუალური და კოოპერაციული საბინაო მშენებლობის შესახებ“ მუხლი 8[1] შემდეგი შინაარსისა:

8[1]. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს მიიღონ ზომები, რათა წახალისდეს და ყოველმხრივ განვითარდეს საბინაო მშენებლობა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების მეშვეობით და ყოველწლიურად 1 ივლისამდე წარუდგინონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას იმ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების საბინაო მშენებლობის შემდგომი წლების გეგმები, რომლებმაც 1 ივლისამდე შეიტანეს თავიანთ მიმდინარე ანგარიშზე მშენებლობის ღირებულების არანაკლებ 40 პროცენტისა“.

| საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე |
|---|---|
| ვ. მჟავანაძე. | გ. ჯავახიშვილი. |

ქ. თბილისი, 1963 წ. 19 ნოემბერი, № 727.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული

## 162 კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ახალი საწარმოო სამმართველოების შექმნის შესახებ

შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს 1963 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილებისა „საქართველოს სსრ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ახალი საწარმოო სამმართველოების შექმნის, ზოგიერთი პარტიული კომიტეტის შექმნისა და გაუქმების შესახებ“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

შეიქმნას რესპუბლიკის არსებული შტატებისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შემდეგი საწარმოო სამმართველოები:

1. გულრიფშისა — ოჩამჩირისა და გუდაუთის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების გაყოფის ბაზაზე;

2. მცხეთისა — დუშეთისა და გორის სამმართველოებიდან ყოფილი კასპის და მცხეთის რაიონების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გამოყოფის ბაზაზე;

3. ცაგერისა — ამბროლაურის სამმართველოდან ცაგერისა და ლენტეხის რაიონების კოლმეურნეობათა გამოყოფის ბაზაზე;

4. ქედისა — ხულოს კოლმეურნეობების სამმართველოს კოლმეურნეობათა ნაწილის ბაზაზე;

5. საგარეჯოსი — გურჯაანისა და დუშეთის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნაწილის ბაზაზე.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ<br>ცენტრალური კომიტეტის მდივანი<br>**ვ. მჟავანაძე.** | საქართველოს სსრ<br>მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე<br>**გ. ჯავახიშვილი.** |

ქ. თბილისი, 1963 წ. 19 ნოემბერი. № 730.

## 163 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის საკითხები

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. გულრიფშის, მცხეთის, საგარეჯოს, ცაგერისა და ქედის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამ-

მართველოების და ჩოხატაურის, ორჯონიკიძის, წალენჯიხის და მეს-ტიის მთიანი რაიონების შექმნასთან დაკავშირებით, შესა-ბამისად ამ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებსა და მთიან რაიონებში პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტები იმ შტატით, რაც ნებადართულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის მიერ.

2. მიღებულ იქნას საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის წინადადება იმის შესახებ, რომ გაიყოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის საგეგმო, საფინანსო ორგანოების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების განყოფილება პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის შემდეგ განყოფილებებად:

საგეგმო და საფინანსო ორგანოებისა შემდეგი შტატით: განყოფილების გამგე — 1, ინსპექტორი — 4;

ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვებისა შემდეგი შტატით: განყოფილების გამგე — 1 და ინსპექტორი — 4 პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის შტატის საერთო რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ხარჯზე, რის გამო შემცირდეს თანამდებობანი პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის საგეგმო, საფინანსო ორგანოების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების განყოფილების გამგის მოადგილისა, პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის სახალხო განათლების, მეცნიერების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების განყოფილების გამგის მოადგილისა, პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის საორგანიზაციო მუშაობის განყოფილების ერთი ინსპექტორისა და საერთო განყოფილების ერთი რეფერენტისა.

3. ახალმოწყობილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების და მთიანი რაიონების პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტების თავმჯდომარეების, პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის საგეგმო და საფინანსო ორგანოების და ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების განყოფილებათა გამგეების თანამდებობანი შეტანილ იქნას საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ნომენკლატურაში.

გამოირიცხოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ნომენკლატურიდან პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის საგეგმო, საფინანსო ორგანოების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების

განყოფილების გამგის, პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის საგეგმო, საფინანსო ორგანოების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების განყოფილების გამგის მოადგილის და პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის სახალხო განათლების, მეცნიერების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა განყოფილების გამგის მოადგილის თანამდებობანი, მათი გაუქმების გამო.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი. 1963 წ. 26 დეკემბერი. № 789.

**164** **„რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის მასწავლებელთა მომზადების ხარისხის გაუმჯობესების ზომების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 2 ოქტომბრის № 566 დადგენილების გაუქმების თაობაზე**

შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 9 მაისის № 533 დადგენილებისა „უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების შემდგომი განვითარების, სპეციალისტთა მომზადებისა და გამოყენების გაუმჯობესების ზომების შესახებ“, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 18 ოქტომბრის № 1076 დადგენილებისა „უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების შემდგომი განვითარების, სპეციალისტთა მომზადებისა და გამოყენების გაუმჯობესების ზომების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 9 მაისის № 533 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და გაუქმების თაობაზე“ და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 29 ივნისის № 441 დადგენილებისა „უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების შემდგომი განვითარების, სპეციალისტთა მომზადებისა და გამოყენების გაუმჯობესების შესახებ“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის

2 ოქტომბრის № 566 დადგენილება „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის მასწავლებელთა მომზადების საქმის გაუმჯობესების ზომების შესახებ“.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ვ. მჟავანაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
გ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი, 1963 წ. 26 დეკემბერი. № 790.

# საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს დადგენილებები

**165** **სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის საუკეთესო მაჩვენებლებისათვის საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშის მიკუთვნების შესახებ**

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფსაბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მიენიჭოს ახალციხის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის საუკეთესო მაჩვენებლებისათვის, როდესაც იმავდროულად გაიზარდა პირუტყვისა და ფრინველის სულადობა 1963 წლის მესამე კვარტალში.

ახალციხის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველომ მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმა შეასრულა: ხორცისა — 104,6 პროცენტით, რძისა — 106,7 პროცენტით, კვერცხისა — 101,3 პროცენტით, მატყლისა — 103,9 პროცენტით.

ყველა სახის პირუტყვისა და ფრინველის სულადობა 1963 წლის 1 ოქტომბრისათვის შეადგენდა 1963 წლის 1 იანვართან შედარებით: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — 101,7 პროცენტს (მათ შორის ძროხებისა — 104 პროცენტს), ცხვრისა და თხისა — 116,2 პრო-

ცენტს, ღორისა — 130,5 პროცენტს, ფრინვლისა — 114,1 პრო-
ცენტს.

ბიბლიოთეკა

2. აღინიშნოს გარდაბნის სპეციალიზებული ტრესტის, ყვარლის, წყალტუბოს, ცხაკაიას, საჩხერის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების კარგი მუშაობა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების საქმეში.

| | | |
|---|---|---|
| საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.** | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.** | საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე **შ. დოლიძე.** |

ქ. თბილისი, 1963 წ. 22 ოქტომბერი, № 677.

**166** **„სტავროპოლქიმმშენის“ №№ 11 და 31 სამშენებლო ტრესტების და სსრ კავშირის „სახმონტაჟსპეცმშენის“ სამონტაჟო ორგანიზაციების, ნევინომისკის, გროდნოს აზოტოვანი სასუქის ქარხნების და კინგისეპის ფოსფორიტის მაღაროს კოლექტივთა ინიციატივისათვის მხარდაჭერის შესახებ**

რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლებმა, მემონტაჟეებმა და მუშაკებმა, გაეცნენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს დადგენილებას „სტავროპოლქიმმშენის“ №№ 11 და 31 სამშენებლო ტრესტების და სსრ კავშირის „სახმონტაჟსპეცმშენის“ სამონტაჟო ორგანიზაციების, ნევინომისკის, გროდნოს აზოტოვანი სასუქის ქარხნების და კინგისეპის ფოსფორიტის მაღაროს კოლექტივთა ინიციატივის შესახებ“, რათა გაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება მინერალური სასუქების წარმოების ახალ სიმძლავრეთა ვადამდე ამუშავებისა და მათი უსწრაფესად ათვისებისათვის, სავსებით დაუჭირეს მხარი ამ მნიშვნელოვან ინიციატივას და გადაწყვიტეს ახალი შრომითი წარმატებებით აღნიშნონ 1963-1964 წლები.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის, სსრ კავშირის „სახმონტაჟსპეცმშენის“ სამონტაჟო ორგანიზაციების და რუსთავის აზოტოვანი სასუქის ქარხნის მუშებმა, მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა, წარმატებით დაამთავრეს რა კაპროლაქტამისა და სულფატამონიუმის საამქროების კომპლექსის მშენებლობა და საექსპლუატაციოდ გადაცემა და გაადიდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა, რუსთავის აზოტოვანი სასუქის ქარხნის გაფართოების რიგში სინთეზური ამიაკის, აზოტმჟავასი და ამიაკის გვარჯილის სიმძლავრენი — ვალდებულება იკისრეს უზრუნველყონ 1964 წელს ასამუშავებელი ყველა ობიექტის გადაცემა საექსპლუატაციოდ, მწყობრში ჩააყენონ მეორე კვარტალში არატკეპნადი კოლოიდური გოგირდის მისაღები საცდელი დანადგარი და მესამე კვარტალში — ციანოვანი მარილის საამქრო. გადაწყდა შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, მექანიზაციის საშუალებათა გამოყენების, კადრების სწავლებისა და მათი ოსტატობის ამაღლების ხარჯზე გაადიდონ შრომის ნაყოფიერება 8 პროცენტით, მიმდინარე წელს მიღწეულ დონესთან შედარებით.

რუსთავის აზოტოვანი სასუქის ქარხნის მუშაკებმა იკისრეს 101 პროცენტით შეასრულონ მინერალური აზოტოვანი სასუქების გამოშვების 1963 წლის მეოთხე კვარტალის გეგმა არსებულ საწარმოო სიმძლავრეთა უკეთ გამოყენებისა და წარმოების ტექნოლოგიური პროცესების ინტენსიფიკაციის ხარჯზე.

№ 4 სამშენებლო ტრესტის და ქუთაისის ლიტოპონის ქარხნის კოლექტივებმა ვალდებულება იკისრეს უზრუნველყონ მიმდინარე წელს შაბიამნის წარმოების ახალი სიმძლავრის გადაცემა საექსპლუატაციოდ.

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს მიაჩნიათ, რომ ახალ პატრიოტულ თაოსნობას განსაკუთრებით დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს და იმის ღირსია, რომ მას ფართოდ დაუჭირონ მხარი რესპუბლიკის პარტიულმა, პროფკავშირულმა, საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფსაბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

რჩევა მიეცეთ საოლქო კომიტეტებს, საქალაქო კომიტეტებს, სამრეწველო-საწარმოო პარტიულ კომიტეტებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო მეურნეობის საბჭოს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამინისტროებსა და უწყებებს, პარტიულ, პროფკავშირულ და პროფ-კავშირულ ორგანიზაციებს გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება: სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციებში, რომლებიც ახორციელებენ მინერალური სასუქების, შხამქიმიკატების დამამზადებელი ობიექტების მშენებლობას და საწარმოებში — სიმძლავრეთა ვადამდე ამუშავებისა და მათი უსწრაფესად ათვისებისათვის; მანქანათმშენებლობის ქარხნებში — მოწყობილობისა და აპარატურის დამზადების ვადების შემცირებისა და მათი მაღალი ხარისხისათვის; საპროექტო ორგანიზაციებში — ტექნიკური დოკუმენტაციის გაცემის ვადების დაჩქარებისა და პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ხარისხის გაუმჯობესებისათვის; საჭირო დახმარება გაუწიონ ამ მოძრაობას, ოპერატიულად აღმოფხვრან მშენებლობის ორგანიზაციის და მშენებლობათა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საქმეში არსებული ნაკლოვანებანი. მუდმივად და ფართოდ გააშუქონ შეჯიბრების მიმდინარეობა პრესაში, რადიოსა და ტელევიზიის მეშვეობით, განაზოგადონ და გაავრცელონ იმ მოწინავე მშენებლობების, საწარმოებისა და საპროექტო ორგანიზაციების გამოცდილება, რომლებიც წარმატებით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს.

* *

*

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფსაბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ სამშენებლო, სამონტაჟო ორგანიზაციებისა და საწარმოების მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები ფართო ფრონტით გააჩაღებენ ბრძოლას მინერალური სასუქების, შხამქიმიკატებისა და მათთვის საჭირო ნედლეულის დამამზადებელ ახალ სიმძლავრეთა ვადამდე ამუშავებისა და მათი უსწრაფესად ათვისებისათვის, მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულებენ საწარმოო გეგმებს და თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ სოფლის მეურნეობის დაჩქარებული აღმავლობისათვის ბრძოლის საყოველთაო-სახალხო საქმეში.

| | | |
|---|---|---|
| საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე | საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე |
| **ვ. მჟავანაძე.** | **გ. ჯავახიშვილი.** | **შ. დოლიძე.** |

ქ. თბილისი, 1963 წ. 5 ნოემბერი, № 702.

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

**167** საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს პურის პროდუქტების მთავარი სამმართველოს ბაზების, პუნქტებისა და წისქვილსაწარმოთა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების 1963 წლის მესამე კვარტალის შედეგების შესახებ

განიხილა რა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს პურის პროდუქტების მთავარი სამმართველოს ბაზების, პუნქტებისა და წისქვილსაწარმოთა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების 1963 წლის მესამე კვარტალის შედეგები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. ცნობილ იქნას საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს პურის პროდუქტების მთავარი სამმართველოს ბაზების, პუნქტებისა და წისქვილსაწარმოთა კოლექტივების რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად, შეუნარჩუნდეს მიმდინარე წლის მეორე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით მიკუთვნებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და მიეცეს პირველი ფულადი პრემია 2.875 მანეთის რაოდენობით ფოთის № 2 წისქვილკომბინატის კოლექტივს (დირექტორი ამხ. ა. გ. ხორავა, ქარხკომის თავმჯდომარე ამხ. ვ. ი. მიხაილიდი), რომელმაც 1963 წლის მესამე კვარტალის საწარმოო გეგმები და სოციალისტური შეჯიბრების ყველა პირობა წარმატებით შეასრულა:

საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა საბითუმო ფასებში — 107 პროცენტით, სადღეღამისო წარმადობისა — 106,4 პროცენტით, დადგენილი ასორტიმენტით პროდუქციის გამოშვებისა — 106,7 პროცენტით, მათ შორის ფქვილისა — 104,7 პროცენტით. ბურღულისა — 100,4 პროცენტით; ერთი მომუშავის გამომუშავებისა — 107 პროცენტით; მთლიანი პროდუქციის თვითღირებულებისა — 99,6 პროცენტით; მიიღო ზეგეგმითი დაგროვება 51,3 ათასი მანეთი, დაზოგა 87,1 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია და წარმოებაში დანერგა 12 რაციონალიზატორული წინადადება.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშის გადაცემა ფოთის № 2 წისქვილკომბინატის კოლექტივისათვის დაევალოს სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მუშა-მოსამსახურეების პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. შ. ო. გრძელიშვილს.

3. დაევალოს ფოთის № 2 წისქვილკომბინატის დირექტორს ამხ. ა. გ. ხორავას და ქარხკომის თავმჯდომარეს ამხ. ვ. ი. მიხაილიდს. ამ კოლექტივისათვის მიკუთვნებული პრემია — ფულადი ჯილდო მისცენ მუშა-მოსამსახურეებს მოქმედი წესის შესაბამისად.

| | |
|---|---|
| საქართველოს სსრ<br>მინისტრთა საბჭოს<br>თავმჯდომარის მოადგილე<br>**გ. ჩოგოვაძე.** | საქართველოს<br>პროფსაბჭოს<br>თავმჯდომარე<br>**შ. დოლიძე.** |

ქ. თბილისი, 1963 წ. 4 დეკემბერი, № 752.

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

**168** **საქართველოს სსრ სასოფლო რაიონების გამსხვილებასთან და სხვა ზოგიერთ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ცვლილებებთან დაკავშირებით სახალხო სასამართლოების გაერთიანებისა და მათი საშტატო განრიგების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 30 დეკემბრის, 1963 წლის 2 იანვრის და 1963 წლის 12 მარტის ბრძანებულებების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 19 ივნისის დადგენილებისა და საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების კანონის 23-ე მუხლის შესაბამისად დამტკიცდეს სახალხო სასამართლოების შტატი 391 ერთეულისა ხელფასის ფონდით 19.839 მანეთი, დანართის თანახმად, სასამართლო ორგანოებისათვის 1963 წელს დამტკიცებული შტატისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1963 წ. 2 ოქტომბერი, № 641.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 2 ოქტომბრის № 641
დადგენილების დანართი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შ ტ ა ტ ი

## საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოებისა, რომლებიც შეიქმნენ სასოფლო რაიონების გამსხვილებასთან დაკავშირებით

| სახალხო სასამართლოებისა, რაიონებისა და მუდმივი სესიების დასახელება | თანამდებობების დასახელება და შტატების რაოდენობა | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თავმჯდომარე | მოსამართლე | უფროსი მდივანი | სხდომის მდივანი | აღმასრულებელი | საქმის მწარმოებელი-მემანქანე | არქივარიუსი | მთარგმნელი | დამტარებელი | დამლაგებელი | დამტარებელი-დამლაგებელი | მეხანძრე-დარაჯი | სულ |
| 1. ამბროლაურის რაიონის სახ. სასამართლო | 1 | — | 1 | 1 | 1 | — | — | — | — | — | 1 | — | 5 |
| ქ. ონის მუდმივი სესია | — | 1 | 1 | 1 | 1 | — | — | — | — | — | 1 | — | 5 |
| სულ | 1 | 1 | 2 | 2 | 2 | — | — | — | — | — | 2 | — | 10 |
| 2. ბოლნისის რაიონის სახ. სასამართლო | 1 | 1 | 1 | 2 | 2 | 1 | — | — | 1 | 1 | — | — | 10 |
| დ. დმანისის მუდმივი სესია | — | 1 | 1 | 1 | 1 | — | — | — | — | — | 1 | — | 5 |
| სულ | 1 | 2 | 2 | 3 | 3 | 1 | — | — | 1 | 1 | 1 | — | 15 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| სახალხო სასამართლოებისა, რაიონებისა და მუდმივი სესიების დასახელება | თანამდებობების დასახელება და შტატების რაოდენობა | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თავმჯდომარე | მოსამართლე | უფროსი მდივანი | სხდომის მდივანი | აღმასრულებელი | საქმის წარმოებელი-მემანქანე | არქივარიუსი | მთარგმნელი | დამტარებელი | დამლაგებელი | დამლაგებელი-დარაჯი | მეპაჭრე-დარაჯი | სულ |
| 3. გორის რაიონის სახ. სასამართლო | 1 | 1 | 1 | 2 | 2 | 1 | — | — | 1 | 1 | — | — | 10 |
| დ. ქარელის მუდმივი სესია . . . | — | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | — | — | — | — | 1 | — | 6 |
| სულ . . . | 1 | 2 | 2 | 3 | 3 | 2 | — | — | 1 | 1 | 1 | — | 16 |
| 4. ვურჯაანის რაიონის სახ. სასამართლო . . . . . . . . | 1 | 2 | 1 | 3 | 3 | 2 | — | 0,5 | 1 | 1 | — | — | 14,5 |
| 5. დუშეთის რაიონის სახ. სასამართლო . . . . . . . . . . | 1 | 1 | 1 | 2 | 2 | 1 | — | — | 1 | 1 | — | — | 10 |
| ქ. მცხეთის მუდმივი სესია . . . | — | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | — | — | — | — | 1 | — | 6 |
| სულ . . . | 1 | 2 | 2 | 3 | 3 | 2 | — | — | 1 | 1 | 1 | — | 16 |
| 6. ზუგდიდის რაიონის სახ. სასამართლო . . . . . . . . . . | 1 | 3 | 1 | 4 | 4 | 3 | — | 1 | 1 | 2 | — | 1 | 21 |
| დ/წალენჯიხის მუდმივი სესია . . | — | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | — | — | — | — | 1 | 1 | 7 |
| სულ . . . | 1 | 4 | 2 | 5 | 5 | 4 | — | 1 | 1 | 2 | 1 | 2 | 23 |

9148.

| სახალხო სასამართლოებისა, რაიონებისა და მუდმივი სესიების დასახელება | თანამდებობების დასახელება და შტატების რაოდენობა | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თავმჯდომარე | მოსამართლე | უფროსი მდივანი | სხდომის მდივანი | აღმასრულებელი | საქმის მწარმოებელი-მემანქანე | არქივარიუსი | მთარგმნელი | დამტარებელი | დამლაგებელი | დამლაგებელ-დამტარებელი | მეხანძრე-დარაჯი | სულ |
| 7. თელავის რაიონის სახ. სასამართლო | 1 | 1 | 1 | 2 | 2 | 2 | — | 0,5 | 1 | 1 | — | — | 11,5 |
| დ. ახმეტის მუდმივი სესია | — | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | — | — | — | — | 1 | — | 6 |
| სულ | 1 | 2 | 2 | 3 | 3 | 3 | — | 0,5 | 1 | 1 | 1 | — | 17,5 |
| 8. სიღნაღის რაიონის სახ. სასამართლო | 1 | 1 | 1 | 2 | 2 | 1 | — | 0,5 | 1 | 1 | — | — | 10,5 |
| დ. წითელწყაროს მუდმივი სესია | — | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | — | — | — | — | 1 | — | 6 |
| სულ | 1 | 2 | 2 | 3 | 3 | 2 | — | 0,5 | 1 | 1 | 1 | — | 16,5 |
| 9. ზაშურის რაიონის სახ. სასამართლო | 1 | 2 | 1 | 3 | 2 | 1 | — | — | 1 | 1 | — | 1 | 13 |
| 10. სარნურის რაიონის სახ. სასამართლო | 1 | 1 | 1 | 2 | 2 | 1 | — | — | 1 | 1 | — | — | 10 |
| 11. ზესტაფონის რაიონის სახ. სასამართლო | 1 | 1 | 1 | 2 | 2 | 1 | — | — | 1 | 1 | — | — | 10 |
| დ. თერჯოლის მუდმივი სესია | — | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | — | — | — | — | 1 | — | 6 |
| დ. ორჯონიკიძის მუდმივი სესია | — | 1 | 1 | 1 | 1 | — | — | — | — | — | 1 | — | 5 |
| სულ | 1 | 3 | 3 | 4 | 4 | 2 | — | — | 1 | 1 | 2 | — | 21 |





ეროვნული ბიბლიოთეკა

| სახალხო სასამართლოებისა, რაიონებისა და მუდმივი სესიების დასახელება | თანამდებობების დასახელება და შტატების რაოდენობა | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თავმჯდომარე | მოსამართლე | უფროსი მდივანი | სხდომის მდივანი | აღმასრულებელი | საქმის მწარმოებელ-მემანქანე | არქივარიუსი | მთარგმნელი | დამტარებელი | დამლაგებელი | დამტარებელ-დამლაგებელი | მებუხრე-დარაჯი | სულ |
| 12. მარნეულის რაიონის სახ. სასამართლო . . . . . . . . . . | — | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | — | — | — | — | 1 | — | 6 |
| 13. თეთრიწყაროს რაიონის სახ. სასამართლო . . . . . . . . . . | 1 | — | 1 | 1 | 1 | 1 | — | — | — | — | 1 | 1 | 7 |
| დ. წალკის მუდმივი სესია . . . | — | 1 | 1 | 1 | 1 | — | — | — | — | — | 1 | 1 | 6 |
| სულ . . . | 1 | 1 | 2 | 2 | 2 | 1 | — | — | — | — | 2 | 2 | 13 |
| 14. სამტრედიის რაიონის სახ. სასამართლო . . . . . . . . . . | 1 | 1 | 1 | 2 | 2 | 1 | — | — | 1 | 1 | — | — | 10 |
| ქ. წულუკიძის მუდმივი სესია . . | — | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | — | — | — | — | 1 | — | 6 |
| სულ . . . | 1 | 2 | 2 | 3 | 3 | 2 | — | — | 1 | 1 | 1 | — | 16 |
| 15. მაიაკოვსკის რაიონის სახ. სასამართლო . . . . . . . . . | 1 | — | 1 | 1 | 1 | — | — | — | — | — | 1 | — | 5 |
| დ. ვანის მუდმივი სესია . . . . | — | 1 | 1 | 1 | 1 | — | — | — | — | — | 1 | — | 5 |
| სულ . . . | 1 | 1 | 2 | 2 | 2 | — | — | — | — | — | 2 | — | 10 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| სახალხო სასამართლოებისა, რაიონებისა და მუდმივი სესიების დასახელება | თანამდებობების დასახელება და შტატის რაოდენობა: თავმჯდომარე | მოსამართლე | უფროსი მდივანი | სხდომის მდივანი | აღმასრულებელი | საქმის მწარმოებელ-მემანქანე | არქივარიუსი | მთარგმნელი | დამლაგებელი | დარაჯი | დამლაგებელ-დარაჯი | მეხანძრე-დარაჯი | ს უ ლ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16. ცხაკაიას რაიონის სახ. სასამართლო | 1 | 1 | 1 | 2 | 2 | 1 | — | — | 1 | 1 | — | — | 10 |
| დ. ჩხოროწყუს მუდმივი სესია . | — | 1 | 1 | 1 | 1 | — | — | — | — | — | 1 | — | 5 |
| ს უ ლ | 1 | 2 | 2 | 3 | 3 | 1 | — | — | 1 | 1 | 1 | — | 15 |
| 17. მახარაძის რაიონის სახ. სასამართლო | 1 | 1 | 1 | 2 | 2 | 2 | — | 1 | 1 | 1 | — | — | 12 |
| დ. ჩოხატაურის მუდმივი სესია . | — | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | — | — | — | — | 1 | — | 6 |
| ს უ ლ | 1 | 2 | 2 | 3 | 3 | 3 | — | 1 | 1 | 1 | 1 | — | 18 |
| 18. ყვარლის რაიონის სახ. სასამართლო | 1 | — | 1 | 1 | 1 | 1 | — | 0.5 | — | — | 1 | — | 6.5 |
| ქ. ლაგოდეხის მუდმივი სესია . . | — | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | — | — | — | — | 1 | — | 6 |
| ს უ ლ | 1 | 1 | 2 | 2 | 2 | 2 | — | 0.5 | — | — | 2 | — | 12.5 |
| 19. გეგეჭკორის რაიონის სახ. სასამართლო . . . . . . . . . | 1 | — | 1 | 1 | 1 | 1 | — | — | — | — | 1 | — | 6 |
| დ. აბაშის მუდმივი სესია . . . | — | 1 | 1 | 1 | 1 | — | — | — | — | — | 1 | — | 5 |
| ს უ ლ | 1 | 1 | 2 | 2 | 2 | 1 | — | — | — | — | 2 | — | 11 |

| სახალხო სასამართლოებისა, რაიონებისა და მუდმივი სესიების დასახელება | თანამდებობების დასახელება და შტატების რაოდენობა | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თავმჯდომარე | მოსამართლე | უფროსი მდივანი | სხდომის მდივანი | აღმასრულებელი | საქმის მწარმოებელი-მემანქანე | არქივარიუსი | მთარგმნელი | დამტარებელი | დამლაგებელი | დამტარებელი-დამლაგებელი | მეხანძრე-დარაჯი | სულ |
| 20. გუდაუთის რაიონის სახ. სასამართლო | 1 | 2 | 1 | 3 | 3 | 2 | — | — | 1 | 2 | — | — | 15 |
| 21. ოჩამჩირის რაიონის სახ. სასამართლო | 1 | 4 | 1 | 5 | 5 | 3 | — | — | 1 | 2 | — | — | 22 |
| 22. ჩაქვის რაიონის სახ. სასამართლო | 1 | 1 | 1 | 2 | 2 | 2 | — | 0,5 | 1 | 1 | — | — | 11,5 |
| 23. ხულოს რაიონის სახ. სასამართლო | 1 | — | 1 | 1 | 1 | — | — | — | — | — | 1 | 1 | 6 |
| დ. შუახევის მუდმივი სესია | — | 1 | 1 | 1 | 1 | — | — | — | — | — | 1 | — | 5 |
| სულ | 1 | 1 | 2 | 2 | 2 | — | — | — | — | — | 2 | 1 | 11 |
| 24. ზნაურის რაიონის სახ. სასამართლო | 1 | 1 | 1 | 2 | 2 | 2 | — | 0,5 | 1 | 1 | — | 1 | 12,5 |
| 25. ქალაქ ჰიათურის სახ. სასამართლო | — | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | — | — | 9 |
| 26. „ კასპის „ „ | — | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | — | — | — | — | 1 | — | 6 |
| 27. „ ბორჯომის „ „ | — | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | — | — | — | — | 1 | — | 6 |
| 28. „ საგარეჯოს „ „ | — | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | — | — | — | — | 1 | — | 6 |
| 29. „ გაგრის „ „ | — | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | — | — | 1 | 1 | — | — | 7 |
| 30. „ ქობულეთის „ „ | — | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | — | — | — | — | 1 | — | 6 |
| სულ | 23 | 49 | 47 | 72 | 71 | 46 | 1 | 6 | 19 | 22 | 28 | 7 | 891 |

**შენიშვნა:** სახალხო მოსამართლეებს, აღმასრულებლებს, სასამართლოს მდივნებს თვიური ხელფასის განაკვეთები დაუწესდებათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 24 ივლისის № 898 დადგენილების შესაბამისად, ხოლო საქმისმწარმოებელ მემანქანის, არქივარიუსის, მთარგმნელის, დამლაგებლის, დამტარებლის და მეხანძრე-დარაჯის ხელფასის განაკვეთები რჩება მათთვის ადრე დაწესებულ ხელფასის განაკვეთების დონეზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჩირაქაძე.**

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

**169 საქართველოს სსრ მთიანი რაიონებისა და სოფლის ადგილე-ბისათვის დაწყებითი და საშუალო სკოლების ტიპობრივი პროექტების საპროექტო დავალებათა დამტკიცების შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საპროექტო დავალებანი ტიპობრივი პროექტე-ბისა, რომლებიც შეიმუშავა საპროექტო ინსტიტუტმა „საქქალაქ-მშენპროექტმა“ საქართველოს სსრ მთიან რაიონებსა და სოფელ ადგილებში მშენებლობისათვის და წარმოადგინა რესპუბლიკის სახ-მშენმა:

ა) დაწყებითი სკოლებისა 20, 40 და 80 მოსწავლისათვის;

ბ) რვაწლიანი საშუალო სკოლებისა 144 და 192 მოსწავლისა-თვის;

გ) თერთმეტწლიანი საშუალო სკოლისა 288 მოსწავლისათვის.

2. დამტკიცდეს აღნიშნული სკოლების საპროექტო დავალებათა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ფირცხალავა**.

ქ. თბილისი, 1963 წ. 11 ოქტომბერი, № 649.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 11 ოქტომბრის № 639
დადგენილების დანართი

## ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები

### საქართველოს სსრ მთიანი რაიონებისა და სოფელ ადგილებისათვის სასკოლო შენობების ტიპობრივი პროექტების საპროექტო დავალებებისა

| სკოლები | შენობის მოცულობა (კუბმ.) | მოცულობა ერთ მოსწავლეზე (კუბმ.) | საერთო-სამშენებლო ღირებულება ერთ მოსწავლეზე (მან.) |
|---|---|---|---|
| დაწყებითი — 20 მოსწავლისათვის . | 392 | 19,6 | 410,6 |
| დაწყებითი — 40 მოსწავლისათვის . | 582 | 14,6 | 270,1 |
| დაწყებითი — 80 მოსწავლისათვის . | 962 | 12 | 194,3 |
| რვაწლიანი საშუალო — 144 მოსწავლისათვის . . . . . . . . . . . | 2506 | 17,4 | 246,3 |
| რვაწლიანი საშუალო — 192 მოსწავლისათვის . . . . . . . . . . . | 2870 | 14,9 | 207,9 |
| თერთმეტწლიანი საშუალო — 288 მოსწავლისათვის . . . . . . . . . | 6056 | 21 | 278,8 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. პირაქაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 170 გლეხური ყველის შესასყიდი ფასის შესახებ

1963 წლიდან რძის შესასყიდი ფასის გადიდებასთან, რძის შესყიდვის ანგარიშში ჩასაბარებელი გლეხური ყველის ჩათვლის შეცვლასთან და ამ ყველის ცხიმიანობის ამაღლებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს 1964 წლის 1 იანვრიდან იმ გლეხური ყველის შესასყიდი ფასი, რომელსაც აბარებენ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობები, 1.050 მანეთი ტონაში, როდესაც ცხიმიანობა შეადგენს 45 პროცენტს და 1.150 მანეთი ტონაში, როდესაც ცხიმიანობა შეადგენს 50 პროცენტს.

ჩაეთვალოთ ამ მეურნეობების მიერ ჩაბარებული გლეხური ყველი რძის სახელმწიფო შესყიდვაში შემდეგი ანგარიშით: ერთი კილოგრამი ყველი ძროხის რძის 9,2 კილოგრამში, როდესაც ცხიმიანობა შეადგენს 45 პროცენტს და 10,2 კილოგრამში, როდესაც ცხიმიანობა შეადგენს 50 პროცენტს.

2. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ, შესასყიდი ფასის გადიდებასთან დაკავშირებით, 10 დღის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 45 პროცენტი და 50 პროცენტი ცხიმიანობის გლეხური ყველის ახალი საცალო ფასის პროექტი, რათა შემდგომ წარედგინოს იგი დასამტკიცებლად სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 22 დეკემბრის № 1466 განკარგულება და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 15 ივლისის № 446 დადგენილება იმ ნაწილში, რომელიც გლეხური ყველის შესასყიდ ფასს შეეხება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1963 წ. 11 ოქტომბერი, № 652.

## 171 იმ საწარმოთა და დაწესებულებათა სიის დამატების შესახებ, რომელთა სახლებიდან შესაძლებელია მობინადრეთა გამოსახლება სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 62 მუხლის შესაბამისად, დაემატოს შემდეგი აბზაცები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ სიას იმ საწარმოებისა და დაწესებულებებისა, რომელთა სახლებიდან შესაძლებელია გამოსახლებულ იქნან სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად მუშები და მოსამსახურეები, რომელთაც შეწყვიტეს შრომითი დამოკიდებულება საკუთარი სურვილით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ან დანაშაულის ჩადენისათვის დათხოვნასთან დაკავშირებით:

„53. სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის საწარმოებისა და დაწესებულებების საცხოვრებელი სახლები.

54. სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული მეოთხე მთავარი სამმართველოს სანატორიუმის საცხოვრებელი სახლები მიუსერაში.

55. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემების სახელმწიფო კომიტეტის ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებათა დაპროექტების სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს საცხოვრებელი სახლები ქ. ქუთაისში“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე**.

ქ. თბილისი, 1963 წ. 12 ოქტომბერი, № 653.

## 172 სურამის თორმეტწლიანი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის გარდაქმნის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 27 სექტემბრის № 1017 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს:

გადააკეთოს სურამის თორმეტწლიანი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი ერთ-ორწლიან სასოფლო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლად.

სურამის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის IX-XII კლასების იმ მოსწავლეთა სწავლება, რომლებიც მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩნენ ან ეკუთვნიან მრავალშვილიან ოჯახებს, დამთავრდეს თორმეტწლიანი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების პროგრამის მიხედვით.

2. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სურამის თორმეტწლიან პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელს I-VIII კლასების მოსწავლეები არა ჰყავს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. პირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1963 წ. 16 ოქტომბერი, № 655.

**173 კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო ტრესტის სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შრომის ანაზღაურების ჯგუფებზე მიკუთვნების შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ვინაიდან საკმარისი არ არის სამუშაოთა მოცულობა იმისათვის, რომ შეიქმნას სამეურნეო ანგარიშის სარემონტო-სამშენებლო უბნები დუშეთში, ყაზბეგში, თიანეთში, მცხეთაში, ცაგერში, ლენტეხში, ტყიბულსა და საჩხერეში, ნება დაერთოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს გააერთიანოს:

დუშეთის, ყაზბეგისა და თიანეთის ჯგუფები — ერთ უბნად, ადგილსამყოფელით დუშეთში;

ცაგერისა და ლენტეხის ჯგუფები ერთ უბნად, ადგილსამყოფელით ცაგერში,

მცხეთის ჯგუფი — კასპის უბანთან;

ორჯონიკიძისა და თერჯოლის ჯგუფი — ზესტაფონის სარემონტო-სამშენებლო კანტორასთან;

საჩხერის ჯგუფი — ჭიათურის უბანთან;

ტყიბულის ჯგუფი — წყალტუბოს სარემონტო-სამშენებლო უბანთან.

2. გაუქმდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 მაისის № 324 დადგენილების ის ნაწილი, რომელიც შეეხება სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციის შენარჩუნებას ქ. ტყიბულში.

3. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტის და პროფესიულ კავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნოს 1960 წლის 18 თებერვლის № 231/6 დადგენილებით დამტკიცებული მაჩვენებლების შესაბამისად, მიეკუთვნოს 1963 წლისათვის კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო ტრესტის სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციები, მათ გამსხვილებასთან და სამუშაოთა გეგმების შეცვლასთან დაკავშირებით, ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შრომის ანაზღაურების ჯგუფებს, № 1 დანართის თანახმად.

შენარჩუნებულ იქნას 1963 წლისათვის აღნიშნული ტრესტის დანარჩენი სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციებისათვის წინათ მიკუთვნებული ჯგუფები, № 2 დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე**.

ქ. თბილისი, 1963 წ. 19 ოქტომბერი, № 664.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 19 ოქტომბრის № 664
დადგენილების დანართი № 1

# ს ი ა

## სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციებისა, რომლებიც 1968 წელს მიეკუთვნებიან შრომის ანაზღაურების ჯგუფებს

| სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციები | სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა წლიური გეგმით (ათას მანეთობით) | მათ შორის სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები საცხოვრებელი შენობების და კულტურულ-საყოფაცხოვრებო და კომუნალური დანიშნულების ნაგებობების, რომლებზედაც გამოყენებულია ოლქური კოეფიციენტი 1,5 | სამუშაოთა მოცულობა წლიური გეგმით კოეფიციენტის გათვალისწინებით (ათას მანეთობით) | ჯგუფი |
|---|---|---|---|---|
| სამუშაოთა უფროსი მწარმოებლის ამბროლაურის სამეურნეო ანგარიშის უბანი . . . . . . . | 595,2 | 407,0 | 798,7 | II |
| სამუშაოთა უფროსი მწარმოებლის ახალქალაქის სამეურნეო ანგარიშის უბანი . . . . . . . | 539,3 | 246,0 | 662,3 | II |
| სამუშაოთა უფროსი მწარმოებლის ახალციხის სამეურნეო ანგარიშის უბანი | 340,0 | 240,0 | 460,0 | III |
| სამუშაოთა უფროსი მწარმოებლის ბოლნისის სამეურნეო ანგარიშის უბანი | 585,9 | 279,0 | 725,4 | II |
| გარდაბნის სარემონტო-სამშენებლო კანტორა . | 1600,8 | 854,0 | 2027,8 | III |
| სამუშაოთა უფროსი მწარმოებლის გეგეჭკორის სამეურნეო ანგარიშის უბანი . . . . . | 623,1 | 379,6 | 812,9 | I |
| სამუშაოთა უფროსი მწარმოებლის დუშეთის სამეურნეო ანგარიშის უბანი | 469,1 | 272,4 | 605,2 | II |
| ზესტაფონის სარემონტო-სამშენებლო კანტორა . | 1030,0 | 600,0 | 1272,0 | IV |
| ზუგდიდის სარემონტო-სამშენებლო კანტორა . | 955,0 | 669,0 | 1289,5 | IV |
| სამუშაოთა უფროსი მწარმოებლის კასპის სამეურნეო ანგარიშის უბანი . | 700,0 | 476,0 | 938,0 | I |

| სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციები | სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა წლიური გეგმით (ათას მანეთობით) | მათ შორის სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები საცხოვრებელ შენობებში და კულტურულ-საყოფაცხოვრებო და კომუნალური დანიშნულების ნაგებობებში, რომლებისთვისაც გამოყენებულია შესწორებითი კოეფიციენტი 1,5 | სამუშაოთა მოყვანილი წლიური მოცულობა შესწორებული კოეფიციენტის გათვალისწინებით (ათას მანეთობით) | ჯგუფი |
|---|---|---|---|---|
| სამუშაოთა უფროსი მწარმოებლის ყვარლის სამეურნეო ანგარიშის უბანი | 594,5 | 352,3 | 770,7 | II |
| სამუშაოთა უფროსი მწარმოებლის მახარაძის სამეურნეო ანგარიშის უბანი | 545,2 | 303,2 | 696,8 | II |
| სამუშაოთა უფროსი მწარმოებლის მაიაკოვსკის სამეურნეო ანგარიშის უბანი | 701,2 | 336,1 | 869,3 | I |
| სამუშაოთა უფროსი მწარმოებლის სამტრედიის სამეურნეო ანგარიშის უბანი . . . . . . | 605,0 | 351,6 | 780,8 | II |
| სამუშაოთა უფროსი მწარმოებლის სიღნაღის სამეურნეო ანგარიშის უბანი | 391,0 | 218,0 | 500,0 | III |
| სამუშაოთა უფროსი მწარმოებლის თელავის სამეურნეო ანგარიშის უბანი | 528,3 | 270,2 | 663,4 | II |
| სამუშაოთა უფროსი მწარმოებლის თეთრიწყაროს სამეურნეო ანგარიშის უბანი . . . . . . . | 566,0 | 302,0 | 717,0 | II |
| სამუშაოთა უფროსი მწარმოებლის ცაგერის სამეურნეო ანგარიშის უბანი | 564,9 | 151,4 | 640,6 | II |
| სამუშაოთა უფროსი მწარმოებლის ცხაკაიას სამეურნეო ანგარიშის უბანი | 482,9 | 299,7 | 632,7 | II |
| სამუშაოთა უფროსი მწარმოებლის წყალტუბოს სამეურნეო ანგარიშის უბანი . . . . . . . . | 655,8 | 300,8 | 830,0 | I |
| სამუშაოთა უფროსი მწარმოებლის ჭიათურის სამეურნეო ანგარიშის უბანი | 588,0 | 448,9 | 812,5 | I |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. მირაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 19 ოქტომბრის № 664
დადგენილების დანართი № 2

# ს ი ა

## სარემონტო-სამშენებლო კანტორებისა, რომლებისათვის 1963 წელს ძალაში რჩება წინათ მიკუთვნებული ჯგუფები

| სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციები | სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა წლიური გეგმით (ათას მანეთობით | მათ შორის 1,5 კოეფიციენტის სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები | ჯგუფი |
|---|---|---|---|
| 1. რუსთავის სარემონტო-სამშენებლო კანტორა | 1181,1 | 1688,0 | III |
| 2. ფოთის სამეურნეო ანგარიშის სარემონტო-სამშენებლო უბანი | 628,4 | 853,8 | I |
| 3. გორის სარემონტო-სამშენებლო კანტორა | 628.2 | 1012,4 | IV |
| 4. ბორჯომის სამეურნეო ანგარიშის სარემონტო-სამშენებლო უბანი | 340,0 | 495,0 | III |
| 5. გურჯაანის სამეურნეო ანგარიშის სარემონტო-სამშენებლო უბანი | 352.5 | 462,6 | III |
| 6. ქარელის სარემონტო-სამშენებლო კანტორა | 760,0 | 1057,0 | IV |
| 7. ლანჩხუთის სამეურნეო ანგარიშის სარემონტო-სამშენებლო უბანი | 352,5 | 401,8 | III |
| 8. მესტიის სამეურნეო ანგარიშის სარემონტო-სამშენებლო უბანი | 324.5 | 404.5 | III |
| 9. საგარეჯოს სარემონტო-სამშენებლო კანტორა | 897,2 | 1107,0 | IV |
| 10. ხაშურის სამეურნეო ანგარიშის სარემონტო-სამშენებლო უბანი | 312,3 | 408,2 | III |
| 11. მარნეულის სამეურნეო ანგარიშის სარემონტო-სამშენებლო უბანი | 406.7 | 442,6 | III |
| 12. საქელექტრორემმშენსამონტაჟო სამმართველო | 750 | 1040 | IV |
| 13. საქსანტექრემმშენსამონტაჟო სამმართველო | 1120,0 | 1615.0 | IV |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ფირაქაძე.

**174** **ჯიშიანი და ადგილობრივი გაუმჯობესებული პირუტყვის, ჯიშიანი ცხენების, ბეწვიანი ნადირისა და ფრინველის ფასების შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 27 სექტემბრის № 1019 დადგენილება „ჯიშიანი და ადგილობრივი გაუმჯობესებული პირუტყვის, ჯიშიანი ცხენების, ბეწვიანი ნადირისა და ფრინველის ფასების შესახებ“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებს.

2. აღნიშნული დადგენილების შესასრულებლად:

ა) დაწესდეს ადგილობრივი გაუმჯობესებული პირუტყვის ფასები, დანართის თანახმად;

ბ) გაუმჯობესებული არაზონირებული ფრინველის კვერცხის, გაუმჯობესებული და არაზონირებული ფრინველისაგან მიღებული სადღეღამისო და მოზრდილი მოზარდეულის, აგრეთვე მოზრდილი გაუმჯობესებული და არაზონირებული ფრინველის ფასები დაწესდეს მეორე კლასის ჯიშიანი ფრინველისაგან მიღებული კვერცხისა და მოზარდეულის ფასების დონეზე.

3. ადგილობრივი გაუმჯობესებული ცხენების ფასები დატოვებულ იქნას იმ ფასების ფარგლებში, რაც დაწესებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 23 ივლისის № 661 დადგენილებით (ფასების ახალი მასშტაბით).

4. ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 3 ნოემბრის № 718 დადგენილება „ჯიშიანი და ადგილობრივი გაუმჯობესებული პირუტყვის, ჯიშიანი ცხენების, ბეწვიანი ნადირისა და ფრინველის დროებითი ფასების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ყირმაძე.**

ქ. თბილისი, 1963 წ. 25 ოქტომბერი, № 669.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

## დადგენილება № 1019

**1963 წლის 27 სექტემბერი**

მოსკოვი, კრემლი

**ჯიშიანი და ადგილობრივი გაუმჯობესებული პირუტყვის, ჯიშიანი ცხენების, ბეწვიანი ნადირისა და ფრინველის ფასების შესახებ**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნას სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის წინადადება, შეთანხმებული მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, იმის შესახებ, რომ დაწესდეს 1963 წლის 1 ოქტომბრიდან ჯიშიანი და ადგილობრივი გაუმჯობესებული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ცხვრის, თხის, ღორის, ჯიშიანი ცხენების, ბეწვიანი ნადირისა და ფრინველის ფასები, დანართის თანახმად.

2. დაწესდეს, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ მეცხოველეობის კანტორებისათვის მიყიდული, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობების მიერ სხვა სახელმწიფო მეურნეობებისათვის გადაცემული ჯიშიანი და ადგილობრივი გაუმჯობესებული პირუტყვი და ფრინველი ჩაითვლება ხორცის პროდუქციის გამოსავლიანობაში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 100 ჰექტარზე.

3. ჯიშიანი პირუტყვის რეალიზაციის ხარჯების შემცირების მიზნით, შემცირდეს ცხოველთა დასამზადებელი ღირებულების ფასნამატი 5,5 პროცენტიდან 5,2 პროცენტამდე.

4. ნება დაერთოთ მოკავშირე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროებს გადარიცხონ მეცხოველეობის კანტორების მოგების თანხის 5 პროცენტი ახალი მშენებლობისა და მეცხოველეობის კანტორებში არსებულ ნაგებობათა აღდგენისათვის და მეცხოველეობის კანტორების მიერ დამზადებულ სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა დასამზადებელი ღირებულების 0,3 პროცენტი ისეთ ზოოტექნიკურ ღონისძიებათა განსახორციელებლად, რომლებიც იძლევიან ჯიშიან ცხოველთა გამოზრდის სტიმულს (გამოფენა-აუქციონების და პი-

რუტყვისა და ცხენების გასაყიდი ბაზრობების მოსაწყობად, სახელმწიფო სანაშენო წიგნების და ჯიშიან ცხოველთა კატალოგების გამოსაცემად და სხვა ღონისძიებებისათვის).

დაწესდეს, რომ ზოოტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელების ანარიცხების საერთო თანხიდან სახსრების 20 პროცენტი გადაეცემა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს „სოიუზუივკანტორას“ ცენტრალიზებული ხარჯების დასაფარავად და მოკავშირე რესპუბლიკების მეცხოველეობის კანტორებისათვის მისაცემად.

5. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და საგარეო ვაჭრობის სამინისტროსთან ერთად დააწესოს საექსპორტოდ მისაწოდებელ ჯიშიან ცხოველთა ბეწვიანი ნადირის, ფრინველისა და ჯიშიანი ფრინველის კვერცხის ფასების დანამატების ოდენობა.

6. დაევალოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს შეიტანოს მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტებთან საკავშირო ბიუჯეტის ურთიერთანგარიშსწორებაში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებები.

7. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 25 სექტემბრის № 1076 დადგენილება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **გ. სტეპანოვი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 27 სექტემბრის № 1019 დადგენილების დანართი

# ფ ა ს ე ბ ი

## ჯიშიან და ადგილობრივ გაუმჯობესებულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვზე, ჯიშიან ცხვარზე, თხაზე, ღორზე, ცხენებზე, ბეწვიან ნადირსა და ფრინველზე

### I. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა

1. 12 თვის ასაკის ერთ სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვზე:

(მანეთობით)

| ჯიშები | კლასი | ბულა: ხაზთასხვიმა-ანი და IV თაობის | ბულა: III თაობის | დეკეული: ხაზთასხვიმა-ანი და IV თაობის | დეკეული: III თაობის | დეკეული: II და I თაობის |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალატაური, კოსტრომული, ლებედინური, შვიცის, სიმენტალის, სიჩევური, შავად-ჭრელი, ოსტფრიზული, ესტონური შავად-ჭრელი, ლიტვური შავად-ჭრელი, შვედური შავად-ჭრელი, შორტჰორნი, ხოლმოგორული, ტაგილური, წითელი გორბატოვული, ველის წითელი, წითელი დანიური, ანგელნური, წითელი ესტონური, წითელი ლიტვური, წაბლა ლატვიური, აირშირული, წითელი შვედური, ჯერზაის, უკრაინული თეთრთავა, ბესტუჟევური, იაროსლავური | ელიტა-რეკორდი | 750 | 650 | 550 | 490 | 420 |
| | ელიტა | 630 | 560 | 500 | 450 | 400 |
| | პირველი | 560 | 500 | 450 | 410 | 370 |
| | მეორე | — | — | 380 | 340 | 330 |
| ისტობენური, წითელი პოლონური, წითელი ტამბოვური, კურგანსკელი, კავკასიური წაბლა, აულიეატინური, აღმოსავლეთ ფინური, იურინული, ნაცარა უკრაინული, წაბლა კარპატული პირუტყვი, ბუშუევური პირუტყვი | ელიტა-რეკორდი | 650 | 560 | 480 | 430 | 380 |
| | ელიტა | 570 | 480 | 420 | 380 | 360 |
| | პირველი | 500 | 440 | 380 | 350 | 330 |
| | მეორე | — | — | 330 | 320 | 310 |
| ყაზახური თეთრთავა, ჰერეფორდული, აბერდინოანგუსური, ყალმუხური, შორტჰორნი სახორცე მიმართულებისა, შაროლე | ელიტა-რეკორდი | 800 | 700 | 600 | 500 | 420 |
| | ელიტა | 700 | 600 | 510 | 450 | 400 |
| | პირველი | 600 | 520 | 450 | 400 | 370 |
| | მეორე | — | — | 380 | 350 | 320 |

ელიტა-რეკორდი, ელიტა და პირველი კლასების ჯიშიანი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფასების დამატებით გაიცემა დანამატები:

ა) დედისა და მამის დედის ყოველ კილოგრამ რძეში პირველი კლასისათვის დაწესებულ სტანდარტზე ზევით იმ [illegible] ცხიმის პროცენტი დედისა და მამის დედის რძეში არ არის ჯიშისათვის დაწესებულ მოთხოვნაზე ნაკლები: დედის ერთ კილოგრამ რძეში — ორ-ორი კაპიკი და მამის დედის ერთ კილოგრამ რძეში — თითო კაპიკი;

ბ) დედისა და მამის დედის რძეში ცხიმის ყოველ 0,1 პროცენტზე ჯიშისათვის დაწესებული მინიმალური მოთხოვნის ზევით: დედის რძეში — 15 მანეთი და მამის დედის რძეში — 7 მანეთი.

დანამატების გაცემა დედებისა და მამათა დედების წველადობის სტანდარტის გადამეტებისა და რძის ცხიმიანობისათვის იწარმოებს იმ ლაქტაციის მიხედვით, რომლის მაჩვენებლებითაც მოხდა პირუტყვის ბონიტირება.

2. 12-დან 18 თვემდე ასაკის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჯიშიანი მოზარდეულის გაყიდვისას იწარმოებს შესაბამისად ძირითადი ფასის დანამატი 4 პროცენტის ოდენობით ყოველ თვეში.

3. 12 თვეზე ნაკლები ასაკის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჯიშიანი მოზარდეულის გაყიდვისას წარმოებს ძირითადი ფასის ჩამოკლება 5 პროცენტის ოდენობით ყოველი თვისათვის, რაც ერთ წლამდე შესრულებას აკლია.

4. 18 თვეზე მეტი ასაკის ბუღებისა და უშობლების, აგრეთვე ძროხების შეფასება წარმოებს მხარეთა შეთანხმებით.

5. ჯიშიან ცხოველზე არა ნაკლებ პირველი კლასისა დაემატება თვითეული წინაპრისათვის საგვარტომო ნუსხის მესამე რიგამდე ჩათვლით (გარდა დედისა, მამისა და მამის დედისა) ელიტა-რეკორდი კლასისათვის — 10 მანეთი და ელიტის კლასისათვის — 5 მანეთი.

6. ადგილობრივი გაუმჯობესებული ძროხების, უშობლებისა და დეკეულების, მეორე კლასის ჯიშიანი ბუღების, აგრეთვე ამ დანართის განაყოფის პირველი მუხლით გაუთვალისწინებელი ჯიშებისა და სახის ცხოველთა (კამეჩი, ზებუ და სხვა) ფასები დაწესდება იმ ოდენობით, რასაც განსაზღვრავენ რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სამხარეო აღმასკომები და საქალაქო აღმასკომები, მაგრამ არა უმეტეს საშუალო ნაკვებობის სახორცე პირუტყვის სახელმწიფო შესასყიდი ფასებისა, რასაც დაემატება 40 პროცენტამდე პირუტყვის ხარისხის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### II. ჯიშიანი ცხვრისა და თხისა

1. ნაზმატყლიანი და ნახევრადნაზმატყლიანი ჯიშების 12-13 თვის ასაკის ერთ სულ ჯიშიან ცხვარზე, რომლებიც აკმაყოფილებენ მინიმალურ მოთხოვნებს ცოცხალი წონის, აგრეთვე მატყლის ნაპარსის მხრივ წმინდა ბოჭკოზე გადაანგარიშებით:

(მანეთობით)

| ჯიშები | ორივე მშობელი ელიტის კლასისა: ელიტა | ორივე მშობელი ელიტის კლასისა: პირველი კლასი | ორივე მშობელი არა ნაკლებ პირველი კლასისა: ელიტა | ორივე მშობელი არა ნაკლებ პირველი კლასისა: პირველი კლასი | მამა არა ნაკლებ პირველი კლასისა, დედა სხვა კლასიანობისა: ელიტა | მამა არა ნაკლებ პირველი კლასისა, დედა სხვა კლასიანობისა: პირველი კლასი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნაზმატყლიანი: | | | | | | |
| ა) ასკანური, ალტაური, კავკასიური, გროზნული, სალსკური, სტავროპოლური, საბჭოთა მერინოსი, პრეკოსი, მერინოფლიაიში: | | | | | | |
| ყოჩები . . . . . . . . . . | 110 | 90 | 90 | 75 | 75 | 65 |
| შიშაქი . . . . . . . . . . | 90 | 72 | 72 | 60 | 60 | 50 |
| ბ) აზერბაიჯანული, მთის მერინოსი, პრეკოს-მერინოსი, არხარო-მერინოსი, ქართული ნაზმატყლიანი ცხიმკუდიანი, ყაზახური ნაზმატყლიანი, ვიატკური, იმერ-ბაიკალური, ყირგიზული, კრასნოიარსკული ნაზმატყლიანი, ჯიშობრივი ჯგუფი სამხრეთ ყაზახური მერინოსი, აგრეთვე ორი ნაზმატყლიანი ჯიშის შეჯვარებისაგან მიღებული ჯიშიანი ცხვარი: | | | | | | |
| ყოჩები . . . . . . . . . | 85 | 75 | 75 | 65 | 65 | 50 |
| შიშაქი . . . . . . . . . | 68 | 60 | 60 | 52 | 52 | 40 |
| ნახევრადნაზმატყლიანი: | | | | | | |
| ა) კუიბიშევური, გორკული, ლატვიური თავმუქი, ესტონური თავმუქი, ესტონური თავთეთრი, ლიტვური თავშავი, გერმანული თავშავი, ჩრდილოკავკასიური სახორცე-სამატყლე, ციგაის, ლინკოლნი, რომნი-მარში, ოქსფორდშირი, შროპშირი, გემპშირი, სუფფოლკი, ცხვრის ჯიშობრივი ჯგუფები, ოსტროგოჟური, | | | | | | |

| ჯიშები | ორივე მშობელი ელიტის კლასისა | | ორივე მშობელი არა ნაკლებ პირველი კლასისა | | მამა არა ნაკლებ პირველი კლასისა, დედა—მეორე კლასისა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ელიტა | პირველი კლასი | ელიტა | პირველი კლასი | ელიტა | პირველი კლასი |
| ლისკინური, ნიჟნედევიცკური, კალინინური, პეჩორსკული, დეგრესული, სწრაფმამრავლი სახორცე ჯიშის და ციგაის ჯიშის ნარევი: | | | | | | |
| ყოჩები . . . . . . . . . | 90 | 80 | 80 | 70 | 70 | 55 |
| შიშაქი . . . . . . . . . | 72 | 64 | 64 | 56 | 56 | 44 |
| ბ) მთის დაღისტნური, ქართული ოპარინული: | | | | | | |
| ყოჩები . . . . . . . . . | 80 | 70 | 70 | 60 | 60 | 45 |
| შიშაქი . . . . . . . . . | 64 | 56 | 56 | 48 | 48 | 36 |

ჯიშიანი ნაზმატყლიანი და ნახევრადნაზმატყლიანი ცხვრის ფასების დამატებით 12-13 თვის ასაკისათვის დაწესებული მინიმალური მაჩვენებლების გადამატებისათვის გაიცემა დანამატები:

ა) ყოველ 100 გრამ მატყლის წმინდა ბოჭკოში — ნაზმატყლიანი ჯიშის ელიტის კლასის ყოჩების და შიშაქების ფასებზე — 4 მანეთი, ნახევრადნაზმატყლიანი ჯიშისა — 3 მანეთი და ნაზმატყლიანი ჯიშის პირველი კლასის ყოჩების და შიშაქის ფასებზე — 2 მან. და ნახევრადნაზმატყლიანი ჯიშებისა — 1 მან. და 50 კაპ.;

ბ) ცოცხალი წონის ყოველ კილოგრამში ნაზმატყლიანი და ნახევრადნაზმატყლიანი ჯიშის ელიტის და პირველი კლასების ყოჩებისა და შიშაქის ფასებზე — 1 მან. და 20 კაპ.

2. 12-13 თვის ასაკის იმ საკრაველე და მქისემატყლიანი ჯიშების ერთ სულ ჯიშიან ცხვარში, რომლებიც მინიმალურ მოთხოვნებს აკმაყოფილებენ:

(მანეთობით)

| ჯიშები | ორივე მშობელი ელიტის კლასისა | | ორივე მშობელი არანაკლებ პირველი კლასისა | | მამა არანაკლებ პირველი კლასისა, დედა—მეორე კლასისა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ელიტა | პირველი კლასი | ელიტა | პირველი კლასი | ელიტა | პირველი კლასი |
| ყარაკულისა და სოკოლსკის: | | | | | | |
| ა) საშუალოხვეულიანი: | | | | | | |
| ყოჩები ყარაკულის . . . . | 90 | 75 | 75 | 65 | 65 | 50 |
| შიშაქი ყარაკულის . . . . | 72 | 60 | 60 | 52 | 52 | 40 |

| ჯიშები | ორივე მშობელი ელიტის კლასისა | | ორივე მშობელი არანაკლებ პირველი კლასისა | | მამა—არანაკლებ პირველი კლასისა, დედა—მეორე კლასისა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ელიტა | პირველი კლასი | ელიტა | პირველი კლასი | ელიტა | პირველი კლასი |
| ყოჩები სოკოლსკის . . . . | 80 | 65 | 65 | 55 | 55 | 45 |
| შიშაქი სოკოლსკის . . . . | 52 | 48 | 42 | 40 | 38 | 35 |
| გ) მსხვილხვეულიანი და წვრილხვეულიანი ყარაკულის შიშაქი მქისემატყლიანი: | — | 48 | — | 40 | — | 35 |
| ა) ჰისარული, ედილბაევური, სარაჯინული, ბალბასი: | | | | | | |
| ყოჩები . . . . . . . . | 90 | 80 | 80 | 70 | 70 | 55 |
| შიშაქი . . . . . . . . | 72 | 64 | 64 | 56 | 56 | 44 |
| ბ) მიხნოვური, ვოლოშური, კუჩუგუროველი, თუშური, აგრეთვე სხვა მქისემატყლიანები: | | | | | | |
| ყოჩები . . . . . . . . | 60 | 55 | 55 | 50 | 50 | 45 |
| შიშაქი . . . . . . . . | 48 | 44 | 40 | 40 | 40 | 36 |

ყარაკულის ჯიშის რუხი და სურის ფერი ყოჩები ანაზღაურების მხრივ გაუთანაბრდება საშუალოხვეულიან ყოჩებს.

ცოცხალი წონის ყოველ კილოგრამში იმ მინიმალურ მაჩვენებლებზე ზევით, რაც დაწესებულია 12-13 თვის ასაკისათვის, დამატებით გაიცეს ყარაკულის და სოკოლსკის ჯიშების ყოჩებისა და შიშაქის ფასებზე — 1 მან. და 20 კაპ. და მქისემატყლიანი ჯიშისა — თითო მანეთი.

3. 12-13 თვის ასაკის რომანოვული ჯიშის ყოველ სულ ცხვარში, რომელიც მინიმალურ მოთხოვნებს აკმაყოფილებს:

(მანეთობით)

| სქესი | ორივე მშობელი ელიტის კლასისა | | ორივე მშობელი არანაკლებ პირველი კლასისა | | მამა—არანაკლებ პირველი კლასისა, დედა—სხვა კლასიანობისა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ელიტა | პირველი კლასი | ელიტა | პირველი კლასი | ელიტა | პირველი კლასი |
| ყოჩები . . . . . . . . | 80 | 70 | 70 | 60 | 60 | 50 |
| შიშაქი . . . . . . . . | 64 | 56 | 56 | 48 | 48 | 40 |

12-13 თვის ასაკისათვის დაწესებულ მინიმალურ მაჩვენებლებზე ზევით ცოცხალი წონის ყოველ კილოგრამში ყოჩებისა [illegible] ფასებზე დამატებით გაიცეს თითო მანეთი.

12 თვეზე ნაკლები ასაკის რომანოვული ჯიშის ცხვრის ჯიშიანი მოზარდეულის გაყიდვისას იწარმოებს ძირითადი ფასის ჩამოკლება 4 პროცენტის ოდენობით ყოველი თვისათვის, რაც ერთ წლამდე შესრულებას აკლია.

4. 6 თვის ასაკის ერთ სულ ჯიშიან მამალ თოხლსა და შიშაქში, რომლებიც მინიმალურ მოთხოვნებს აკმაყოფილებენ:

(მანეთობით)

| ჯიშები | ორივე მშობელი ელიტის კლასისა | ორივე მშობელი არანაკლებ პირველი კლასისა | მამა—არანაკლებ პირველი კლასისა, დედა—სხვა კლასიანობისა |
|---|---|---|---|
| კუიბიშევური, გორკული, ლატვიური თავმუქი, ესტონური თავთეთრი, გერმანული თავშავი, ჩრდილოეთ-კავკასიური სახორცე-სამატყლე, ლინკოლნი, რომნიმარში და სხვა სწრაფმამრავლი სახორცე ჯიშები და ჯიშობრივი ჯგუფები, აგრეთვე პრეკოსი და ვიატოკური ჯიში: | | | |
| მამალი თოხლი . . . . . . | 65 | 55 | 45 |
| შიშაქი . . . . . . . . . | 52 | 44 | 38 |
| ნაზმატყლიანი ჯიშის შიშაქი . . . . | 48 | 43 | 37 |

ექვს თვეზე მეტი ერთ წლამდე ასაკის ცხვრის ჯიშიანი მოზარდეულის გაყიდვისას იწარმოებს ძირითადი ფასის დანამატი ყოველი თვისათვის, რაც 6 თვის ასაკს აღემატება, 4 პროცენტის ოდენობით.

6 თვის ასაკისათვის დაწესებულ მინიმალურ მაჩვენებლებს ზევით ცოცხალი წონის ყოველ კილოგრამში სწრაფმამრავლი სახორცე ჯიშებისა და ჯიშობრივი ჯგუფების, ვიატსკური და რომანოვული ჯიშების მამალი თოხლის და შიშაქის, აგრეთვე 12 თვისაზე ნაკლები ასაკის ნაზმატყლიანი ჯიშის შიშაქის ფასებზე დამატებით გაიცეს 1 მანეთი და 20 კაპ.

5. 13 თვეზე მეტი 2 წლამდე ასაკის ცხვრის ჯიშიანი მოზარდეულის გაყიდვისას გაიცეს ძირითადი ფასის დანამატი ყოველი თვისათვის, რაც 13 თვის ასაკს აღემატება, — 2 პროცენტის ოდენობით.

6. რვა თვისა და მეტი ასაკის ერთ სულ ჯიშიან მამალ თხასა და დედალ თხაში, რომლებიც მინიმალურ მოთხოვნებს აკმაყოფილებენ

(მანეთობით)

| ჯიშები | მამალი თხა | | დედალი თხა | |
|---|---|---|---|---|
| | ელიტა | პირველი კლასი | ელიტა | პირველი კლასი |
| პრიდონური და სხვა ბეწვიანი ჯიშები | 55 | 45 | 45 | 35 |
| ანგორული, საბჭოთა სამატყლე და მათი ნარევი . . . . . . . . . . | 65 | 50 | 50 | 45 |
| ზანენური, გორკული, მეგრული და სხვა მერძეული ჯიშები . . . . . . . | 55 | 45 | 45 | 35 |

5-6 თვის ასაკის მამალი თიკანი და დედალი ჩეფიჩი ანაზღაურებულ იქნან ცოცხალი წონის ყოველ კილოგრამში: ელიტის კლასის ანგორის და საბჭოთა სამატყლე ჯიშების დედებისაგან — 1 მან. და 50 კაპ.; დანარჩენი ჯიშებისაგან — 1 მან და 20 კაპ.; პირველი კლასის ანგორის და საბჭოთა სამატყლე ჯიშების დედებისაგან — 1 მან. და 20 კაპ.; დანარჩენი ჯიშებისაგან — 1 მან.; მეორე კლასის ანგორის და საბჭოთა სამატყლე ჯიშებისაგან — 1 მან.

7. ერთი წლის ასაკზე მეტი გაუპარსავი ყოჩებისა და შიშაქის შესყიდვის დროს ძირითადი ფასის დამატებით ანაზღაურდება მატყლი სათანადო სახეობის მატყლზე არსებული შესასყიდი (ჩასაბარებელი) ფასების მიხედვით, მატყლის იმ რაოდენობის საფუძველზე, რასაც დააწესებს კომისია შემდეგი შემადგენლობით: მეცხოველეობის კანტორის, გამყიდველი მეურნეობის სპეციალისტები და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების წარმომადგენელი.

ერთნაირმატყლიანი 6 თვიდან ერთი წლის ასაკამდე კუიბიშევური, გორკული, ლატვიური თავმუქი, ლიტვური თავშავი, ესტონური თავმუქი, ესტონური თავთეთრი, ლინკოლნის, რომნი-მარშის და სხვა სწრაფმამრავლი სახორცე ჯიშების, აგრეთვე სწრაფმამრავლი სახორცე ჯიშის ნარევი გაუპარსავი მამალი თოხლების შესყიდვის დროს ძირითადი ფასის დამატებით გაიცეს მატყლში 10 მანეთი სულზე.

8. იმ ჯიშებისა და კლასების ჯიშიანი ცხვრის და თხის ფასებს, რომლებიც არ არიან მოხსენებული ამ დანართში, აგრეთვე ადგილობრივი გაუმჯობესებული ცხვრის ფასებს დააწესებენ რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სამხარეო აღმასკომები და საოლქო აღმასკომები პირუტყვის ხარისხის მიხედვით: გაუმჯობესებულ ცხვარზე

— არა ნაკლებ მაღალი ნაკვებობის ცხვრის სახელმწიფო შესასყიდი ფასებისა, რასაც დაემატება 40 პროცენტამდე, ელიტის კლასის და პირველი კლასის ჯიშიან ცხვარზე — არა უმეტეს ამ დადგენილებით დაწესებული ფასებისა, მეორე კლასის შიშაქის ფასები დაწესდება პირველი კლასის შიშაქის ფასის 10 მანეთით ნაკლები.

9. ორი წლის ასაკზე მეტი ყოჩების შეფასება მოხდება მხარეთა შეთანხმებით.

10. იმ ფასებს, რაც დაწესებულია ჯიშიან ცხვარზე, გარდა მეორე კლასისა, დაემატება საგვარტომო ნუსხის მეორე და მესამე რიგებში ელიტის ყოველი წინაპრისათვის 2 მან. და 50 კაპიკი.

### III. ჯიშიანი ღორისა

1. იმ ჯიშიანი ღორის ცოცხალი წონის ყოველ კილოგრამში, რომელიც მინიმალურ მოთხოვნებს აკმაყოფილებს:

(მანეთობით და კაპიკობით)

| მშობელთა კლასიანობა კომპლექსური შეფასებით (პროდუქტიულობა, განვითარება და ექსტერიერი) | ელიტა | პირველი კლასი | მეორე კლასი |
|---|---|---|---|
| ორივე მშობელი ელიტის კლასისა | 2—00 | 1—80 | 1—70 |
| ორივე მშობელი არანაკლებ პირველი კლასისა | 1—90 | 1—70 | 1—60 |
| ორივე მშობელი სხვა კლასიანობისა | 1—70 | 1—60 | 1—50 |

2. 6 თვეზე მეტი ასაკის ჯიშიანი კერატების ანაზღაურება მოხდეს იმ ფასებზე 20 პროც. მეტი რაოდენობით, რაც დაწესებულია ამ დადგენილებით.

ჯიშიან ღორზე (გარდა მეორე კლასისა) დაწესებულ ფასებს დაემატება 1 მანეთი საგვარტომო ნუსხის მეორე და მესამე რიგებში ელიტის კლასის თვითეული წინაპრისათვის.

3. ადგილობრივი გაუმჯობესებული ღორის ფასებს დააწესებენ რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სამხარეო აღმასკომები და საოლქო აღმასკომები სახორცე ღორის შესასყიდ ჩასაბარებელ ფასზე 10 პროცენტით მეტს (ცოცხალი წონის ერთ კილოგრამში).

### IV. ჯიშიანი ცხენებისა

1. 3-დან 10 წლის ასაკამდე ერთ სულ ჯიშიან ცხენში, რომელიც მინიმალურ მოთხოვნებს აკმაყოფილებს:

(ათას მანეთობით)

| ჯგუფები | ჯიშები | კატეგორია | ულაყები: ელიტა | ულაყები: პირველი კლასი | ულაყები: მეორე კლასი | ფაშატები: ელიტა | ფაშატები: პირველი კლასი | ფაშატები: მეორე კლასი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| I | წმინდასისხლიანი საჯდომი, წმინდა ჯიშის ორიოლისა და რუსული ჩორთმავალი ჯიშები | III<br>II<br>I | 2,2<br>2,6<br>3,0 | 1.6<br>1,8<br>2,0 | 0,8<br>0,9<br>1,0 | 1.4<br>1,7<br>2,0 | 0.9<br>1,1<br>1,3 | 0,5<br>0,6<br>0,7 |
| II | ა) ხალასჯიშიანი და მეოთხე თაობის ცხენები ვლადიმირული, საბჭოთა მძიმე ტვირთმზიდავი, პერშერონი, თორიული, ლატვიური შესაბმელი ჯიშებისა, ბუდიონური, კუსტანაისკური, ტრაკენენური ჯიშებისა, ბალტიისპირეთის არდენები და ევროპის ნახევარსისხლიანი ჯიშებისა;<br>ბ) წმინდასისხლიანი საჯდომი ჯიშის ცხენების მეორე და მეტი თაობის ჯიშნარევები; | III<br>II<br>I | 1,7<br>1,95<br>2,1 | 1,25<br>1,4<br>1,5 | 0,8<br>0,9<br>1,0 | 1,1<br>1,2<br>1,4 | 0,8<br>0,9<br>1,0 | 0,5<br>0,6<br>0,7 |
| III | ა) ხალასჯიშიანი ცხენები რუსული მძიმე ტვირთმზიდავი, არაბული, ახალთეკინური, დონური, ყარაბაღული, ახალყირგიზული და თერგული ჯიშებისა;<br>ბ) წმინდასისხლიანი საჯდომი ჯიშის პირველი თაობის ჯიშნარევები, ჩორთმავალი ჯიშების ცხენების მესამე თაობის და მეტი თაობის ჯიშნარევები და მეორე ჯგუფის ჯიშის ცხენების მესამე თაობის ჯიშნარევები; | III<br>II<br>I | 1,4<br>1,6<br>1,8 | 1,0<br>1,2<br>1,3 | 0.7<br>0,75<br>0,8 | 1,0<br>1,1<br>1,3 | 0,7<br>0,8<br>0,9 | 0,5<br>0,55<br>0,6 |
| IV | ა) სხვა ჯიშების ხალასჯიშიანი ცხენები;<br>ბ) ჩორთმავალი ჯიშებისა და მეორე ჯგუფის ჯიშების ცხენების მეორე თაობის ჯიშნარევები, მესამე ჯგუფის ჯიშის ცხენების მესამე და მეტი თაობის ჯიშნარევები | III<br>II<br>I | 1,2<br>1,4<br>1,5 | 0.9<br>1,0<br>1,1 | 0 6<br>0,65<br>0,7 | 0,85<br>0,95<br>1,1 | 0,65<br>0,75<br>0,8 | 0,5<br>0,55<br>0,6 |

2. სამ წლისაზე ნაკლები ასაკის ულაყი და ფაშატი კვიცების ყიდვის დროს წარმოებს დაკლება ზემოაღნიშნული ფასებიდან 2 პროცენტის ოდენობით ყოველი იმ თვისათვის, რაც 3 წლის შესრულებას აკლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10 წლის ასაკზე მეტი ულაყები და ფაშატები შეფასდება მხარე-თა შეთანხმებით.

3. მაკე ჭაკების ყიდვის დროს ჯიშიან ჭაკებზე დაწესებულ ფასებს დაემატება

თუ ჭაკი დაგრილებულია პირველი კლასის ულაყის მიერ—30 მან.

თუ ჭაკი დაგრილებულია ელიტის კლასის ულაყის მიერ—70 მან.

4. პირველი და მეორე კატეგორიის იმ ჯიშიანი ცხენებისათვის დაწესებული ფასების დამატებით, რომლებსაც საგვარტომო ნუსხით ჰყავთ ელიტის კლასის წინაპრები, დამატებით გაიცეს 10 მანეთი თვითეული წინაპრისათვის საგვარტომო ნუსხის მესამე რიგამდე ჩათვლით.

5. გაუმჯობესებული ცხენების, აგრეთვე აქლემების ფასებს დააწესებენ რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სამხარეო აღმასკომები და საოლქო აღმასკომები ცხენებისა და აქლემების ხარისხის და მათი სამეურნეო ვარგისიანობის მიხედვით.

### V. ჯიშიანი ფრინველის კვერცხისა, მოზარდეულისა და მოზრდილი ჯიშიანი ფრინველისა

1. ჯიშიანი ფრინველის 10 ცალ კვერცხში:

(მანეთობით და კაპიკობით)

| | ქათმის კვერცხი | | იხვის კვერცხი | ბატის კვერცხი | ინდაურის კვერცხი |
|---|---|---|---|---|---|
| | კვერცხმდები ჯიშისა | სახორცე-საკვერცხე ჯიშისა | | | |
| კვერცხი მიღებული ფრინველისაგან: | | | | | |
| ელიტის კლასისა . . . . | 2—60 | 3 10 | 3 - 60 | 7—00 | 3—80 |
| პირველი კლასისა . . . . | 1—80 | 2 - 20 | 2 60 | 5 - 00 | 2—70 |
| მეორე კლასისა . . . . | 1—50 | 1 - 80 | 2 - 00 | 4 - 00 | 2—20 |

2. ერთი დღეღამის ასაკის ერთ სულ ჯიშიან მოზარდეულში:

(მანეთობით და კაპიკობით)

| | წიწილები | | იხვის ჭუჭული | ბატის ჭუჭული | ინდაურის ჭუკი |
|---|---|---|---|---|---|
| | კვერცხმდები ჯიშისა | სახორცე-საკვერცხე ჯიშისა | | | |
| მოზარდეული, რომელიც გამოყვანილია შემდეგი კლასის ფრინველის კვერცხისაგან: | | | | | |
| ელიტის კლასისა . . . . | 0—45 | 0—50 | 0—75 | 1—50 | 0—75 |
| პირველი კლასისა . . . . | 0—35 | 0—40 | 0—55 | 1 - 10 | 0—55 |
| მეორე კლასისა . . . . | 0—25 | 0—30 | 0—45 | 0—90 | 0—45 |

3. ერთ სულ მოჩიტულ მოზარდეულსა და მოზრდილ ფრ[illegible]
ბიბლიოთეკა

ა) ქათმები

(მანეთობით და კაპიკობით)

| ფრინველის კლასიანობა | კვერცხმდები ჯიშებისა | | | | სახორცე-საკვერცხე ჯიშებისა | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ასაკი (თვეობით) | | | | | | | |
| | 3 | 4 | 5 | 6 და მეტი | 3 | 4 | 5 | 6 და მეტი |
| ელიტის კლასი | 3-20 | 4—30 | 5-50 | 6-90 | 4—00 | 5 30 | 6—80 | 8—35 |
| პირველი კლასი | 2—30 | 3-10 | 39—5 | 4—95 | 2-85 | 3—80 | 4—85 | 6—00 |
| მეორე კლასი | 1—85 | 2—45 | 3—15 | 3—95 | 2—30 | 3—05 | 3—90 | 4—80 |

ბ) იხვი, ბატი და ინდაური

| ფრინველის კლასიანობა | ი ხ ვ ი | | | ბატი | ინდაური | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ასაკი (თვეობით) | | | | | |
| | 2 | 3 | 4 და მეტი | 5 და მეტი | 5 და მეტი | |
| | | | | | მამალი | დედალი |
| ელიტის კლასი | 5—40 | 6—25 | 7—70 | 12—00 | 25-40 | 14—40 |
| პირველი კლასი | 3 -85 | 4—45 | 5—50 | 8—80 | 18—10 | 10-30 |
| მეორე კლასი | 3—10 | 3—55 | 4-40 | 7--00 | 14—50 | 8-25 |

4. სპეციალიზებული ხაზების ფრინველისაგან მიღებული კვერცხისა და მოზარდეულის ანაზღაურება მოხდეს იმ კვერცხისა და მოზარდეულისათვის დაწესებულ ფასებში, რომლებიც მიღებულია ელიტის კლასის ფრინველისაგან. განსაკუთრებით განთქმული ხაზების ფრინველისაგან მიღებული კვერცხისა და მოზარდეულის ანაზღაურება მოხდეს მხარეთა შეთანხმებით.

ერთი დღეღამის ასაკის კვერცხი და მოზარდეული, რომლებიც მიღებულია ფრინველისაგან ჯიშთშორისი და ხაზთშორისი შეჯვარების დროს (ჯიშნარევი კვერცხი და სადღეღამისო მოზარდეული სასარგებლო ფრინველის მისაღებად) ანაზღაურდეს იმ ფასებში, რაც დაწესებულია მეორე კლასის ფრინველისაგან მიღებული კვერცხისა და მოზარდეულისათვის.

5. ფასები გაუმჯობესებული და არაბონიტირებული ფრინველის კვერცხზე, სადღეღამისო და მოჩიტულ მოზარდეულზე, რომელიც მიღებულია გაუმჯობესებული არაბონიტირებული ფრინველისაგან, აგრეთვე მოზრდილ გაუმჯობესებულ და არაბონიტირებულ ფინველ-ზე დაწესდება იმ ოდენობით, რასაც განსაზღვრავენ რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სამხარეო აღმასკომები და საოლქო აღმას-კომები, მაგრამ არა უმეტეს მეორე კლასის ჯიშიანი ფრინველისაგან მიღებული კვერცხის და მოზარდეულის ფასებისა.

### VI. ჯიშიანი კურდღლისა

ერთ სულ ჯიშიან კურდღელში, რომელიც მინიმალურ მოთხოვ-ნებს აკმაყოფილებს:

(მანეთობით და კაპიკობით)

| ჯიშები | 3-დან 4 თვე მდე ასაკის | 4 თვეზე მე-ტი ასაკის |
|---|---|---|
| ნაცარა გოლიათი, თეთრი გოლიათი, ვუალურვერცხლისებრი, მურა-მოშავო . . . . . . . . . . . . . . . . | 3-00 | 3-50 |
| დანარჩენი ჯიშები . . . . . . . . . . . . . | 2-50 | 3-00 |

### VII. გალიაში მოშენებული ბეწვიანი ნადირისა

გალიაში მოშენებული წაულისა და ნუტრიის გაყიდვა მოსაშე-ნებლად წარმოებს იმ ფასებში, რაც დაწესებულია გალიაში მოშენე-ბული წაულისა და ნუტრიის პირველი ხარისხის, ნორმალური ღირ-სების, მსხვილი ზომისა და სათანადო ფერის ტყავებზე, ამასთან ტყავის ფასს დაემატება 10 პროცენტი.

გალიაში მოშენებული ცისფერი ყარსაღის, ვერცხლისფერ-მო-შავო მელიის და სიასამურის გაყიდვა წარმოებს იმ ფასებში, რაც დაწესებულია გალიაში მოშენებული ცისფერი ყარსაღის, ვერცხლის-ფერ-მოშავო მელიის და სიასამურის პირველი ხარისხის, ნორმალური ღირსებისა და სათანადო ფერის ტყავებზე, ამასთან ტყავის ფასს დაემატება 10 პროცენტი.

**შენიშვნები:** 1. ჯიშიანი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის; ჯიშიანი ცხვრის, თხის, ღორისა და ცხენების ზემოაღნიშ-ნულ ფასებს დაემატება:

ა) მოზარდეულს არანაკლებ პირველი კლასისა სახელმწიფო საჯიშე წიგნში ჩაწერილი [illegible] მშობლისათვის:

| | |
|---|---|
| მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა . . | 10 მანეთი |
| ცხვრისა, თხისა და ღორისა . . . . | 4 მანეთი |
| ცხენისა . . . . . . . . . . . . . | 20 მანეთი |

ბ) სახელმწიფო საჯიშე წიგნში ჩაწერილ მოზრდილ პირუტყვს:

| | |
|---|---|
| მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა . . | 15 მანეთი |
| ცხვრისა, თხისა და ღორისა . . . | 5 მანეთი |
| ცხენისა . . . . . . . . . . . . . | 20 მანეთი |

2. ჯიშიანი პირუტყვის ფასების დანამატები პროდუქტიულობისათვის, წარმოშობისათვის და სახელმწიფო საჯიშე წიგნში ჩაწერისათვის გაიცემა მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს საჯიშე დოკუმენტები და საწარმოო ჩანაწერები მეურნეობაში, რომლებიც წარმოებს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმების მიხედვით.
3. წარმოშობისა და პროდუქტიულობის მხრივ განსაკუთრებით გამოჩენილი ყველა სახის ცხოველთა შეფასება მოხდება მხარეთა შეთანხმებით.
4. ფასის დანამატის (ჩამოკლების) გამოსაანგარიშებლად ჯიშიან ცხოველთა ასაკის განსაზღვრის დროს 15 დღეზე მეტი ასაკი სრულ თვედ ჩაითვლება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. სტეპანოვი.**

 მუხ. 174

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 25 ოქტომბრის № 869
დადგენილების დანართი

# ფ ა ს ე ბ ი

## ადგილობრივი გაუმჯობესებული პირუტყვისა

| | ცოცხალი წონის ერთ კილოგრამში (მანეთობით და კაპიკობით) |
|---|---|
| ძროხა | 0-97*) |
| უშობელი | 1-15 |
| დეკეული | 0-90 |
| ჯიშიანი ბულები მეორე კლასისა | 1-35 |
| კამეჩი | 1-15 |
| ცხვარი | 1-10 |
| ღორი | 1-25 |

*) როდესაც რძის საშუალო-სადღელამისო წველადობა 10-დან 15 კილოგრამამდეა დაემატება 20 პროცენტი, როდესაც იგი 15-დან 20 კილოგრამამდეა — 30 პროცენტი, ხოლო 20 კილოგრამს ზევით — 40 პროცენტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. მირაქაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**175** **სოფლის ახალგაზრდობის საღამოს საშუალო სკოლების კლასების გახსნის შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების ცხაკაიას რაიონული საბჭოს აღმასკომის შუამდგომლობანი და ჩაქვის რაიონის სოფ. ქვედა ახალშენსა და ცხაკაიას რაიონის სოფ. ახალსოფელში გაიხსნას სოფლის ახალგაზრდობის საღამოს საშუალო სკოლები, ხოლო ჩაქვის რაიონის სოფელ მახოს და ქედქედის, ხულოს რაიონის სოფელ მეკეიძეების, ოქტომბრის კვატიის, ცინარეთის, ფაჩხის, ძირკვაძეების რვაწლიან სკოლებთან, როგორც გამონაკლისი, და სოფელ ღლვანის, ნიგაზეულის, ღორჯომის, ფურტიის, ყინჩაურისა და თხივანის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებთან გაიხსნას სოფლის ახალგაზრდობის საღამოს საშუალო სკოლების კლასები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაძე.**

ქ. თბილისი, 1963 წ. 25 ოქტომბერი, № 672.

**176** **ქ. თბილისში რვასართულიანი 77-ბინიანი მაღაზიიანი აგურის საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ფასების პრეისკურანტის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს ქ. თბილისში რვასართულიანი 77-ბინიანი მაღაზიიანი აგურის საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ფასების პრეისკურანტი, №№ 1 და 2 დანართების თანახმად.

2. დამტკიცდეს შესწორებანი ქ. თბილისში საცხოვრებელი სახლების მშენებლობის მოქმედი საპრეისკურანტო ფასებ[illegible] დანართის თანახმად.

3. ფასების პრეისკურანტი და შესწორებანი შემოღებულ იქნას სამოქმედოდ 1963 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ბირაძაძე.

ქ. თბილისი, 1963 წ. 25 ოქტომბერი, № 673.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 25 ოქტომბრის № 673
დადგენილების დანართი №

# ძირითადი

## საპრეისკურანტო ფასები ერთ კვ. მეტრ საცხოვრებელ ფართობში

| სახლების ტიპი | 1 კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობის ღირებულება (მანეთობით) |
|---|---|
| 8-სართულიანი, სამსექციური, 77-ბინიანი საცხოვრებელი სახლი მაღაზიით პირველი სართულის ტორსში, აგურის კედლებით, უსარდაფოდ — სართულის სიმაღლე 2.80 მ. სერია 1-319 ს-83 . . | 128 |
| მათ შორის: | |
| ა) საცხოვრებელი ნაწილი . . . . . | 123 |
| ბ) მაღაზიის 1 კუბ. მეტრის ღირებულება . . . | 18 მან. და 87 კაპ. |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჭირაქაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 25 ოქტომბრის № [illegible]
დადგენილების და[illegible]

# შესწორებანი საპრეისკურანტო ფასებისა
## კონსტრუქციულ დახასიათებათა და სამუშაოების სახეობათა შეცვლისათვის

| შესაცვლელი კონსტრუქციების სახეობათა და სამუშაოთა დასახელება | ოდენობა შესწორებისა 1-319-83 სერიის ოთხსართულიანი, სამსექციური, 77-ბინიანი აგურის სახლის ერთ კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობზე (მანეთობით) |
|---|---|
| 1. გრუნტზე დასაშვები წნევის შეცვლაზე ნაცვლად პრეისკურანტით გათვალისწინებული 2 კგ/კვ. სანტ: | |
| ა) მშრალ გრუნტებში, როდესაც დასაშვებია წნევა გრუნტზე 1,5 კგ/კვ. სანტ.—დაემატება | 1–35 |
| ბ) მშრალ გრუნტებში, როდესაც დასაშვებია წნევა გრუნტზე 2,5 კგ/კვ. სანტ. — გამოირიცხება . . . . . . . . . . . . . | 0–48 |
| 2. საძირკვლის სიღრმის შეცვლაზე, ყოველ 10 სანტ.-ზე ნაცვლად მიღებული სიღრმისა 1,5 მ. — დაემატება ან გამოირიცხება: | |
| ა) როდესაც დასაშვებია წნევა გრუნტზე 2 კგ/კვ. სანტ. მშრალ გრუნტებში . . . | 0–17 |
| იგივე სველ გრუნტებში, როდესაც წყლის მოდინება შეადგენს 40 კუბ. მეტრს საათში | 0–20 |
| იგივე სველ გრუნტებში, როდესაც წყლის მოდინება შეადგენს 100 კუბ. მეტრს საათში | 0–22 |
| ბ) როდესაც დასაშვებია წნევა გრუნტზე 1,5 კგ/კვ. სანტ. მშრალ გრუნტებში . . . | 0–18 |
| იგივე სველ გრუნტებში, როდესაც წყლის მოდინება შეადგენს 100 კუბ. მეტრს საათში | 0–23 |
| იგივე სველ გრუნტებში, როდესაც წყლის მოდინება შეადგენს 40 კუბ. მეტრს საათში | |
| გ) როდესაც დასაშვებია წნევა გრუნტზე 2,5 კგ/კვ. სანტ. მშრალ გრუნტებში . . . | 0–17 |
| იგივე სველ გრუნტებში, როდესაც წყლის მოდინება შეადგენს 40 კუბ. მეტრს საათში | 0–20 |
| იგივე სველ გრუნტებში, როდესაც წყლის მოდინება შეადგენს 100 კუბ. მეტრს საათში | 0–21 |
| 3. პანელების ზეთით შეღებვის შეცვლაზე სველ წერტილებში მოჭიქული ფილებისაგან მოპირკეთებით — დაემატება . . . . . . . . . . . . . . | 1–15 |
| 4. კედლების მობათქაშების შეცვლაზე ცოკოლს ზევით წყობის ნაკერების ჩაკერვით კედლების წყობასთან ერთად — შემცირდება . . . . . . . . | 1–88 |
| 5. კედლების წყობის დროს ცალობრივი აგურის შეცვლაზე მსხვილი აგურის ბლოკებით — დაემატება | 6–40 |

| შესაცვლელი კონსტრუქციების სახეობათა და სამუშაოთა-დასახელება | ოდენობა მშენებლობის 1-319 სერიის ხუთ-სართულიანი, სამსექციური, 77-ბინიანი აგურის სახლის ერთ კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობზე (მანეთობით) |
|---|---|
| 6. პრეისკურანტით გათვალისწინებული იატაკისა და პარკეტის (80 პროც.) და ლინოლეუმის (20 პროც.) შეცვლაზე წოლებზე მოწყობილი ზეთოვანი საღებავით შეღებილი ფიცრებით — გამოირიცხება | 3–39 |
| 7. ცოკოლის ყორებეტონის კედლების შეცვლაზე ბეტონის ბლოკებით — დაემატება . . . . . | 1–50 |
| 8. დაჯდომად გრუნტებში საძირკვლების მოწყობის დროს ღია ქვაბულის პირობებში — დაემატება: | |
| ა) ერთმაგი შემჭიდროების დროს . . . . | 0–35 |
| ბ) ორმაგი შემჭიდროების დროს . . . . . | 1-23 |
| 9. თუ იცვლება ცოკოლის სიმაღლე სახლის აშენებისას ადგილმდებარეობის რელიეფის მიხედვით და ადგილი აქვს მოედნის დაქანებას სახლის სიგრძეზე ნიშნულების სხვაობით, რომლებიც 1 მ. აღემატება ყოველ 10 სანტიმეტრზე — დაემატება ან გამოირიცხება . . . . . . . . . . . . . . . . | 0–14 |
| 10. როდესაც სახურავის ზევიდან მატერიკის გრუნტამდე სიმაღლე 1,5 მეტრზე მეტს უდრის — გრუნტის გაყოლებით პრეისკურანტით გათვალისწინებული იატაკების შეცვლაზე სასაწყობო ნაწილში ღრუ საფენებით გადახურვით — დაემატება . . . | 0–90 |
| 11. რკინაბეტონის მარშებზე მოზაიკის საფეხურების მოწყობის დროს — დაემატება . . . . . . | 0–43 |
| 12. 2 მ/მ მინისაგან დამზადებული ფანჯრის ალათების მომინვის შეცვლაზე 3 მ/მ მინით — დაემატება | 0-03 |
| 13. 2 მ/მ მინისაგან დამზადებული კარის რტყელებისა და კარებს ზემოთ გაკეთებული ფრამუნგების მომინვის შეცვლაზე 4 მ/მ მინით—დაემატება | 0–14 |
| 14. როდესაც სააბაზანო ოთახებში პრეისკურანტით გათვალისწინებული ცენტრალური ცხელი წყალმომარაგების ნაცვლად დაიდგმება კგნ-56 ტიპის გაზის სვეტები — დაემატება . . . . . . | 2–05 |
| 15. როდესაც ცენტრალური გათბობის სისტემაში არ მოიპოვება პირსახოცსაშრობი რეგისტრები — გამოირიცხება . . . . . . . . . . . | 0–31 |
| 16. როდესაც ცენტრალური გათბობის სისტემაში არ მოიპოვება ორმაგი რეგულირების ონკანები — გამოირიცხება . . . . . . . . . . . | 0–19 |
| 17. იმ შემთხვევაში, თუ არ სრულდება სუსტდენიანი მეურნეობის სამუშაოები — გამოირიცხება . . | |
| ა) ტელეფონიზაცია . . . . . . . . . | 0–13 |
| ბ) რადიოფიკაცია . . . . . . . . . | 0–04 |
| გ) ტელეანტენები . . . . . . . . . . | 0–22 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჩირაქაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 25 ოქტომბრის № 673
დადგენილების დანართი № 3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შ ე ს წ ო რ ე ბ ა ნ ი

## ქ. თბილისში ოჯახების ჩასასახლებლად განკუთვნილი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ფასების მოქმედი პრეისკურანტებისათვის

| შესაცვლელი კონსტრუქციების სახეობათა და სამუშაოთა დასახელება | შესწორების ოდენობა მანეთობით 1 კვ. მეტრ საცხოვრებელ ფართობზე | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | აგურის სახლები | | | | | ბლოკის სახლები | | | |
| | 36-ბინიანი სახლი 1-319ს-4 სერიისა | 48-ბინიანი სახლი 1-319ს-3 სერიისა | 60-ბინიანი სახლი 1-319ს-1 სერიისა | 65-ბინიანი სახლი 1-319ს-82 სერიისა | 72-ბინიანი სახლი 1-319ს-81 სერიისა | 36-ბინიანი სახლი 1-319ს-8 სერიისა | 45-ბინიანი სახლი 1-319ს-76 სერიისა | 48-ბინიანი სახლი 1-319ს-7 სერიისა | 60-ბინიანი სახლი 1-319ს-77 სერიისა |
| 1. როდესაც ეწყობა საძირკველი ორმაგი შემჭიდროების ჯდომად გრუნტებზე ღია ქვაბულის პირობებში — დამატება . . . . . | — | — | 1—96 | 1—33 | 1—21 | — | 2—37 | — | 1—96 |
| 2. ჯდომადი ნაყარის მოწყობისას — დამატება | — | — | — | — | — | — | 2—36 | — | — |
| 3. ფიბროლიტის ფილებიანი იატაკების იზოლაციის შეცვლისას პენზის ჩაყრით — გამოირიცხება . . . . | 1—75 | 1—74 | 1—79 | 1—79 | 1—69 | 1—75 | 1—74 | 1—74 | 1—74 |



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაძაძე.**

## 177 საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მეცხოველეობის სადგომების, სხვა შენობებისა და ნაგებობების მშენებლობაში ინდუსტრიული მეთოდების დანერგვის ზომების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაიზარდა სოფლად საწარმოო მშენებლობის მოცულობა. სახელმწიფო ყოველწლიურად დიდძალ ფულად და მატერიალურ რესურსებს გამოყოფს მეცხოველეობის ფერმების, შენობებისა და მარცვლის, ბოსტნეულის და სხვა კულტურების შესანახი ნაგებობების მშენებლობისათვის. მაგრამ ეს მშენებლობა საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში არადამაკმაყოფილებლად წარმოებს, წლითიწლობით არ სრულდება პირუტყვისა და ფრინველის სადგომების, აგრეთვე სხვა ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის დავალებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა", საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრო, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოები და გარდაბნის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებული ტრესტი სუსტად ხელმძღვანელობენ სოფლის მშენებლობას, რის შედეგადაც იგი ორგანიზებულია არადამაკმაყოფილებლად; საკმაოდ არ არის განვითარებული სამშენებლო სამუშაოთა წარმოების საიჯარო წესი; სოფლის სახელმწიფო და საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციები სუსტნი არიან, ხოლო მათი ტექნიკური აღჭურვილობის დონე მეტად დაბალია.

სასოფლო მშენებლობის ტექნიკური დონის ამაღლების, მისი ხარისხის გაუმჯობესებისა და ღირებულების შემცირების, აგრეთვე სოფლის მეურნეობისათვის საჭირო საწარმოო ობიექტების, პირველ რიგში მეცხოველეობის სადგომების, საექსპლუატაციოდ გადაცემის დაჩქარების მიზნით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 6 ივნისის № 629 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს შემადგენლობაში სასოფლო მშენებლობის მთავარი სამმართველო სამეურნეო ანგარიშზე და დაეკისროს მას იმ ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა, რომლებიც საიჯარო მშენებლობას ახორციელებენ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში.

2. დაწესდეს, რომ სასოფლო მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსი იმავდროულად არის საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილე.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ ერთი კვირის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სასოფლო მშენებლობის მთავარი სამმართველოს სტრუქტურა და შტატი.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ გაითვალისწინოს კაპიტალური მშენებლობის 1964 წლის გეგმით სასოფლო მშენებლობის თავმოყრა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროში.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ გადასცეს 1963 წლის 1 ნოემბრიდან საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ტრესტი სოფლმშენი დაქვემდებარებული ორგანიზაციებითა და მის გამგებლობაში არსებული ძირითადი ფონდებით 1963 წლის 1 ივლისის მდგომარეობის მიხედვით.

5. დაევალოთ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარ სამმართველოს შექმნან 1963-1965 წლებში მშენებელთა და მემონტაჟეთა კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული მოძრავი მექანიზებული კოლონები (№ 1 დანართის თანახმად)* რკინა-ბეტონის კონსტრუქციების მონტაჟის სამუშაოების, საერთო-სამშენებლო და ელექტროსამონტაჟო სამუშაოების შესასრულებლად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

დაწესდეს, რომ მოძრავი მექანიზებული კოლონები პირველ რიგში უნდა ახორციელებდნენ მეცხოველეობის და სხვა საწარმოო შენობების მშენებლობას საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში იმ ანგარიშით, რომ აღნიშნული კოლონების ქსელის განვითარებისა და განმტკიცების მიხედვით გავრცელდეს მშენებლობის ეს მეთოდი სოფელ ადგილებში საცხოვრებელი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სხვა ობიექტების მშენებლობაზე.

---

*) იბეჭდება უდანართოდ.

6. იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სს რესპუბლიკაში ტექნოლოგიური მოწყობილობის მონტაჟსა და სანიტარულ-ტექნიკურ სამუშაოებს ახორციელებენ სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამუშაოთა სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის ორგანიზაციები, ეთხოვოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაავალოს ამ კომიტეტს სასოფლო მშენებლობის მომსახურება ტექნოლოგიური მოწყობილობის მონტაჟის საქმეში და სანიტარულ-ტექნიკური სამუშაოების შესრულება.

7. მიღებულ იქნას სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 6 ივნისის № 629 დადგენილებით:

ა) დამტკიცებულია ტაბელები მოძრავი მექანიზებული კოლონების ტექნიკური შეიარაღებისა სამშენებლო მანქანებით, მექანიზმებით, ინსტრუმენტით, სამონტაჟო ხელსაწყოებითა და სხვა ტექნიკური საშუალებებით, №№ 2, 3 და 4 დანართების თანახმად;

ბ) უფლება მიენიჭათ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს გაანაწილონ სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების საწარმოებში, რომლებიც რესპუბლიკაში მდებარეობენ, სასოფლო მშენებლობისათვის საჭირო ასაწყობი რკინაბეტონის დეტალებისა და კონსტრუქციების, სადურგლო ნაკეთობებისა და საშენი მასალების დამზადების შეკვეთები იმ პირობით, რომ უზრუნველყოფილ იქნას დაწესებული დავალებანი ცენტრალიზებული წესით გასანაწილებელი მასალებით.

8. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროსთან ერთად, ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ განაწილდეს რესპუბლიკის, სსრ კავშირის სამინისტროების და უწყებების საწარმოებში 84 ათასი კუბ. მეტრი რკინაბეტონის დეტალების კომპლექტების დამზადების დავალებანი.

9. დაუწესდეს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს დავალება ააშენოს 1964-1965 წლებში მოძრავი მექანიზებული კოლონების ძალებით მეცხოველეობის და სხვა საწარმოო შენობები საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში 630 ათასი კვ. მეტრის მოცულობით, მათ შორის 1964 წელს — 180 ათასი და 1965 წელს — 450 ათასი კვ. მეტრი.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ და რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკასთან“ არსებულმა კოლმეურნეობებში მშენებლობის ორგანიზაციის მთავარ სამმართველომ ორი თვის ვადაში

წარუდგინონ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს გე-გმა რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 180 ათასი კვ მეტრი საერთო ფართობის მეცხოველეობისა და სხვა საწარმოო სადგომების მშენებლობის განაწილებისა 1964 წელს, სადგომებისა, რომლებიც აგებულ უნდა იქნან მოძრავი მექანიზებული კოლონების ძალებით, აგრეთვე ამ ობიექტების სატიტულო სიები და საქართველოს სსრ სახმშენთან ერთად განიხილონ და გადაწყვიტონ საკითხი ამ მშენებლობის უზრუნველყოფისა საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით.

10. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგება-გასაღების მთავარ სამმართველოს უზრუნველყოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 6 ივნისის № 629 დადგენილებით გამოყოფილი მანქანების, მექანიზმების, მოწყობილობის, მასალების შემოტანა 1963 წელს და მისცეს ისინი საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარ სამმართველოს მოძრავი მექანიზებული კოლონებისათვის, №№ 5 და 6 დანართების თანახმად.

11. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ:

ა) გამოუყოს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მანქანები, მექანიზმები, მოწყობილობა და მასალები მოძრავი მექანიზებული კოლონიების აღსაჭურვავად, № 7 დანართის თანახმად, და გაითვალისწინოს სახალხო მეურნეობის 1964—1965 წლების გეგმის პროექტით ამ მიზნისათვის მანქანების, მექანიზმების, მოწყობილობის, მასალებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყოფა მოძრავი მექანიზებული კოლონების ტექნიკური აღჭურვის ტაბელის შესაბამისად;

ბ) ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ გამოეყოთ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარ სამმართველოს საჭირო კაპიტალური დაბანდებანი მოძრავი მექანიზებული კოლონებისათვის მანქანების, მექანიზმებისა და მოწყობილობის შესაძენად.

12. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს და რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკასთან“ არსებულ კოლმეურნეობებში მშენებლობის ორგანიზაციის მთავარ სამმართველოს, საქარ-

თველოს სსრ სახმშენთან და საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროსთან ერთად, ერთი თვის ვადაში დააწესონ მეცხოველეობის იმ სადგომების ტიპები, რომლებიც კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უნდა აშენდეს 1964—1965 წლებში.

13. დაევალოს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს:

ა) საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან შეთანხმებით ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება იმის შესახებ, რომ უზრუნველყოფილ იქნას საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში მშენებლობა, რომელიც მოძრავი მექანიზებული კოლონების ძალებით ხორციელდება, კედლების შესავსები მასალებით, სადურგლო ნაკეთობებით, თბოსაიზოლაციო და სხვა მასალებით;

ბ) გააუმჯობესოს სასოფლო სამშენებლო ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა და მიიღოს ზომები, რათა შესრულდეს სასოფლო მშენებლობაში ინდუსტრიული მეთოდების დანერგვის ამ დადგენილებით გათვალისწინებული დავალებანი, უზრუნველყოს კაპიტალურ დაბანდებათა უფრო ეფექტურად გამოყენება და სოფლად შენდებადი ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის დაჩქარება.

14. დაევალოთ საქართველოს სსრ სახმშენს და საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროსთან ერთად, განიხილონ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინონ წინადადებანი იმის შესახებ რომ შეიქმნას 1964—1966 წლებში რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს სისტემაში სპეციალიზებული საწარმოო ბაზები, რომლებიც დაამზადებენ ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებს, სადურგლო ნაკეთობებს და შეაკეთებენ მექანიზმებს, რაც საჭიროა მშენებლობის განსახორციელებლად საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში.

15. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ შეიტანონ სახალხო მეურნეობის 1963 წლის გეგმასა და ბიუჯეტში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებები.

16. საქართველოს სსრ სახმშენმა კონტროლი გაუწიოს მშენებლობას საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, მიიღოს ზომები სასოფლო მშენებლობაში ინდუსტრიული მეთოდების დანერგვის აღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებულ დავალებათა შესასრულებლად, რაც საშუალებას მოგვცემს უფრო ეფექ-

ტურად იქნას გამოყენებული კაპიტალური დაბანდებ[illegible]
ქარდეს იმ ობიექტების გადაცემა საექსპლუატაციოდ [illegible]
სოფლად შენდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. შირაძაძე.**

ქ. თბილისი, 1963 წ. 25 ოქტომბერი. № 678.

## 178 რესპუბლიკის კინოქსელის მმართველობის ორგანოების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის შექმნასთან დაკავშირებით და კინოქსელის მუშაობისა და მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეიქმნას 1963 წლის 1 ნოემბრიდან შრომის გეგმისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, რომლებიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს დაუმტკიცდა 1963 წლისათვის, მმართველობის შემდეგი ორგანოები სამეურნეო ანგარიშზე:

ა) კინოფიკაციის სამმართველოები აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომთან და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან, ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის შტატებით, № 1 დანართის თანახმად;

ამასთან დაკავშირებით გაუქმდეს კინოფიკაციის განყოფილებები აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროებთან.

ბ) რესპუბლიკის ყველა რაიონში, აგრეთვე ქალაქ ქუთაისში, ფოთში, რუსთავში, ბორჯომში, წყალტუბოსა და გაგრაში — კინოფიკაციის განყოფილებები მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან.

ქალაქ ჭიათურაში, გორში, ზესტაფონში, ზუგდიდში, კასპში, საგარეჯოში, სამტრედიაში, თელავში, ტყიბულში, ტყვარჩელში, ოჩამჩირეში, ქობულეთში, აგრეთვე მარნეულის სამრეწველო რაი-

ონში, კინოდანადგართა მცირე რაოდენობის გამო, შეიქმნას აღმას-კომებთან თითო საშტატო თანამდებობა ინსპექტორისა კინოფიკა-ციის დარგში.

დამტკიცდეს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან კინოფიკაციის განყოფილებებისა და კინოფიკაციის ინსპექტორების შტატები 130 საშტატო ერთეულის რაოდენობით, № 2 დანართის თანახმად.

კინოფიკაციის სამმართველოებისა და განყოფილებათა მუშაკე-ბის, აგრეთვე აღმასკომებთან კინოფიკაციის ინსპექტორების თანა-მდებობრივი განაკვეთები შეთანხმებულ იქნან სსრ კავშირის ფინა-ნსთა სამინისტროსთან.

2. გარდაიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემა-ტოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის კინოფიკაციის სამმართველო ამ კომიტეტის მთავარ სამმართველოდ და დამტკიცდეს მისი საშტა-ტო განრიგი, № 3 დანართის თანახმად.

3. დაწესდეს, რომ კინოფიკაციის ადგილობრივი ორგანოები ემორჩილებიან შესაბამის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატე-ბის საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თანაბრად.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ გაუდიდოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწი-ფო კომიტეტს ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რაო-დენობა 1963 წლისათვის 7 ერთეულით საშუალო-წლიური გამოან-გარიშებით.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სა-ხელმწიფო კომიტეტმა შექმნას საჭირო შემთხვევებში რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში, მისთვის დამტკიცებული პერსონალის რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ლიმიტების ფარგლებში, კინო-თეატრების ზონალური დირექციები და დირექციები, ამასთან დაამ-ტკიცოს ამ დირექციების შტატები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 29 დეკემბრის № 1769 განკარგულებით დამტკი-ცებული ტიპობრივი შტატების შესაბამისად.

6. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატო-გრაფიის სახელმწიფო კომიტეტს და კინოფიკაციის მთავარ სამმარ-თველოს ერთი თვის ვადაში დააკომპლექტონ კინოფიკაციის ახლად შექმნილი სამმართველოები და განყოფილებები კვალიფიციური

მუშაკებით და მიიღონ ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახ-
ლეობის კინომომსახურების ძირეულად გაუმჯობესებას და ქსელი-
საგან შემოსავლის გადიდებას.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა სამი თვის ვადაში შეიმუშაოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს დასამტკიცებლად პროექტი დებულებისა კინოფიკაციის სამმართველოებისა და განყოფილებების შესახებ.

8. დაევალოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მანამ, ვიდრე გადაწყდებოდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის მომარაგებისა და გასაღების სამმართველოს შექმნის საკითხი, უზრუნველყოს რესპუბლიკის მთელი კინოქსელის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციების შეუფერხებელი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მომარაგება-გასაღების სამმართველოს მეშვეობით.

9. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ დაავალოს სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი კულტურის სახლებისა და კლუბების დირექტორებს დაუთმონ სადგომები კინოფიკაციის ორგანოებს კინოფილმების საჩვენებლად სახელშეკრულებო საფუძვლებზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან ერთად შეიმუშაოს და დაამტკიცოს სანიმუშო ხელშეკრულება რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში კინოფიკაციის ორგანოების მიერ კულტურის სახლებისა და კლუბების სარგებლობის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟორჟაძე.**

ქ. თბილისი, 1963 წ. 26 ოქტომბერი, № 680.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 26 ოქტომბრის № [illegible]
დადგენილების დანართი № 1

ბიბლიოთეკა

## საშტატო განრიგი

### აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომის და ქალაქ თბილისის აღმასკომის კინოფიკაციის სამმართველოებისა

| თანამდებობანი | საშტატო ერთეულების რაოდენობა | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | აფხაზეთის ასსრ კინოფიკაციის სამმართველო | აჭარის ასსრ კინოფიკაციის სამმართველო | სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კინოფიკაციის სამმართველო | ქალაქ თბილისის კინოფიკაციის სამმართველო | სულ |
| 1. სამმართველოს უფროსი | 1 | 1 | 1 | 1 | 4 |
| 2. სამმართველოს უფროსის მოადგილე, მთავარი ინჟინერი | 1 | 1 | 1 | 1 | 4 |
| 3. მთავარი ბუღალტერი | 1 | 1 | 1 | 1 | 4 |
| 4. უფროსი ეკონომისტი-გეგმავი | 1 | 1 | 1 | 1 | 4 |
| 5. რევიზორ-ბუღალტერი | 1 | 1 | 1 | 1 | 4 |
| 6. საბილეთო მეურნეობის გამგე | 1 | 1 | 1 | 1 | 4 |
| 7. მდივანი-მემანქანე | 1 | 1 | 1 | 1 | 4 |
| 8. შიკრიკი-დამლაგებელი | — | — | — | 1 | 1 |
| სულ | 7 | 7 | 7 | 8 | 29 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჟორჟაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 26 ოქტომბრის № 680
დადგენილების დანართი № 2

# შ ტ ა ტ ე ბ ი

## მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების კინოფიკაციის განყოფილებებისა

| ქალაქები და რაიონები | კინოდანადგარების რაოდენობა | საშტატო ერთეულების რაოდენობა | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | განყოფილების გამგე | ინსპექტორ-რევიზორი | უფროსი ბუღალტერი | სულ |
| **რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქები** | | | | | |
| ქუთაისი | 12 | 1 | 1 | 1 | 3 |
| ფოთი | 6 | 1 | — | 1 | 2 |
| ჭიათურა | 2 | — | 1 | — | 1 |
| რუსთავი | 5 | 1 | — | 1 | 2 |
| გორი | 3 | — | 1 | — | 1 |
| ბორჯომი | 19 | 1 | 1 | 1 | 3 |
| ზესტაფონი | 3 | — | 1 | — | 1 |
| ზუგდიდი | 3 | — | 1 | — | 1 |
| კასპი | 3 | — | 1 | — | 1 |
| საგარეჯო | 1 | — | 1 | — | 1 |
| სამტრედია | 2 | — | 1 | — | 1 |
| თელავი | 3 | — | 1 | — | 1 |
| ტყიბული | 2 | — | 1 | — | 1 |
| წყალტუბო | 8 | 1 | — | 1 | 2 |
| ტყვარჩელი | 2 | — | 1 | — | 1 |
| გაგრა | 15 | 1 | — | 1 | 2 |
| ოჩამჩირე | 2 | — | 1 | — | 1 |
| ქობულეთი | 2 | — | 1 | — | 1 |
| **რაიონები** | | | | | |
| ამბროლაურის | 35 | 1 | 1 | 1 | 3 |
| ახალქალაქის | 31 | 1 | 1 | 1 | 3 |
| ახალციხის | 49 | 1 | 1 | 1 | 3 |
| ბოლნისის | 42 | 1 | 1 | 1 | 3 |
| გარდაბნის | 26 | 1 | 1 | 1 | 3 |
| გეგეჭკორის | 30 | 1 | 1 | 1 | 3 |
| გორის | 39 | 1 | 1 | 1 | 3 |
| გურჯაანის | 34 | 1 | 1 | 1 | 3 |
| დუშეთის | 19 | 1 | 1 | 1 | 3 |

| ქალაქები და რაიონები | კინოდანადგა-რების რაოდე-ნობა | საშტატო ერთეულების რაოდენობა | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | განყოფილე-ბის გამგე | ინსპექტორ-რევიზორი | ტექნიკოს-ზედამხედველი | ს უ ლ |
| ზესტაფონის . . . . . . | 50 | 1 | 1 | 1 | 3 |
| ზუგდიდის . . . . . . | 36 | 1 | 1 | 1 | 3 |
| ყაზბეგის . . . . . . | 7 | 1 | — | 1 | 2 |
| ყვარლის . . . . . . | 28 | 1 | 1 | 1 | 3 |
| ლანჩხუთის . . . . . . | 19 | 1 | 1 | 1 | 3 |
| ლენტეხის . . . . . . | 9 | 1 | — | 1 | 2 |
| მარნეულის . . . . . . | 3 | — | 1 | — | 1 |
| მახარაძის . . . . . . | 41 | 1 | 1 | 1 | 3 |
| მაიაკოვსკის . . . . . . | 29 | 1 | 1 | 1 | 3 |
| მესტიის . . . . . . | 14 | 1 | — | 1 | 2 |
| სამტრედიის . . . . . . | 29 | 1 | 1 | 1 | 3 |
| საჩხერის . . . . . . | 20 | 1 | 1 | 1 | 3 |
| სიღნაღის . . . . . . | 32 | 1 | 1 | 1 | 3 |
| თელავის . . . . . . | 35 | 1 | 1 | 1 | 3 |
| თეთრიწყაროს . . . . . . | 22 | 1 | 1 | 1 | 3 |
| თიანეთის . . . . . . | 9 | 1 | — | 1 | 2 |
| ხაშურის . . . . . . | 35 | 1 | 1 | 1 | 3 |
| ცაგერის . . . . . . | 12 | 1 | — | 1 | 2 |
| ცხაკაიას . . . . . . | 29 | 1 | 1 | 1 | 3 |
| წყალტუბოს . . . . . . | 28 | 1 | 1 | 1 | 3 |
| ოჩამჩირის . . . . . . | 44 | 1 | 1 | 1 | 3 |
| გუდაუთის . . . . . . | 48 | 1 | 1 | 1 | 3 |
| გალის . . . . . . | 13 | 1 | 1 | 1 | 3 |
| ქედის . . . . . . | 14 | 1 | — | 1 | 2 |
| ხულოს . . . . . . | 41 | 1 | 1 | 1 | 3 |
| ჩაქვის . . . . . . | 40 | 1 | 1 | 1 | 3 |
| ლენინგორის . . . . . . | 15 | 1 | — | 1 | 2 |
| ზნაურის . . . . . . | 19 | 1 | 1 | 1 | 3 |
| ჯავის . . . . . . | 6 | 1 | — | 1 | — |
| ს უ ლ . . . . | | 43 | 44 | 43 | 130 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. მირაქაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 26 ოქტომბრის № 680
დადგენილების დანართი № 3

# საშტატო განრიგი

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის კინოფიკაციის მთავარი სამმართველოსი

| სტრუქტურული ქვეგანაყოფები და თანამდებობანი | საშტატო ერთეულების რაოდენობა | თანამდებობრივი განაკვეთი | სულ თვეში |
|---|---|---|---|
| მთავარი სამმართველოს უფროსი . . . . . . | 1 | 140 | 140 |
| უფროსის მოადგილე . . | 1 | 100 | 100 |
| ინსპექტორი კადრების დარგში . . . . . . | 1 | 79 | 79 |
| მეურნეობის გამგე — საქმისმწარმოებელი . . | 1 | 69 | 69 |
| მძღოლი-მემანქანე . . | 1 | 50 | 50 |
| მემანქანე . . . . . . | 1 | 45 | 45 |
| შიკრიკი-დამლაგებელი . . | 1 | 30 | 30 |
| სულ . . . . | 7 | | 513 |
| **ტექნიკური განყოფილება** | | | |
| მთავარი ინჟინერი . . . | 1 | 83 | 83 |
| ინჟინერი . . . . . . | 2 | 79 | 158 |
| დისპეტჩერი . . . . . | 1 | 50 | 50 |
| სულ . . . . | 4 | | 291 |
| **საგეგმო-საფინანსო განყოფილება** | | | |
| განყოფილების უფროსი . | 1 | 83 | 83 |
| უფროსი ეკონომისტი . | 1 | 79 | 79 |
| ეკონომისტი . . . . . | 2 | 69 | 138 |
| სულ . . . . | 4 | | 300 |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

| სტრუქტურული ქვეგანაყოფები და თანამდებობანი | საშტატო ერთეულების რაოდენობა | თანამდებობრივი განაკვეთი | სულ თვეში |
|---|---|---|---|
| **ბუღალტერია** | | | |
| მთავარი ბუღალტერი | 1 | 88 | 88 |
| უფროსი ბუღალტერი | 1 | 79 | 79 |
| ბუღალტერი . . . . . | 1 | 69 | 69 |
| მოანგარიშე-მოლარე . . | 1 | 50 | 50 |
| სულ . . . . | 4 | | 286 |
| **საკონტროლო-სარევიზიო ჯგუფი** | | | |
| ჯგუფის უფროსი . . . | 1 | 83 | 83 |
| უფროსი რევიზორი . . | 1 | 79 | 79 |
| რევიზორი . . . . . | 1 | 69 | 69 |
| სულ . . . . | 3 | | 231 |
| მთლად . . . | 22 | | 1621 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაქაძე**.

ბიბლიოთეკა

## 179 ნაკლებადდატვირთული სარკინიგზო გადასასვლელების გაუქმების შესახებ

„სარკინიგზო ხაზების გადასასვლელებზე მოძრაობის უსაფრთხოების გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 13 აპრილის № 244 დადგენილების შესრულების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნას ცნობად სარკინიგზო გადასასვლელების მდგომარეობის შემმოწმებელი კომისიის დასკვნა, რომ 572 გადასასვლელიდან უნდა გაუქმდეს 128 გადასასვლელი და, რომ 10 ივლისისათვის ლიკვიდირებულია 63, მათ შორის 3 გადასასვლელი, რომლებსაც მცველები ჰყავთ და 60 გადასასვლელი, რომლებსაც მცველები არა ჰყავთ.

2. დაევალოს „კავგიპროტრანსს“ 1964 წლის პირველ ნახევარში შეადგინოს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსთან და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარ სამმართველოსთან სახელშეკრულებო საწყისებზე პროექტორი დაცული სარკინიგზო გადასასვლელის გაუქმებისა საგარეჯო-ბადიაურის გადასარბენზე, რომლებიც გადაკვეთავენ თბილის-გურჯაანის რესპუბლიკურ გზატკეცილს.

დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარ სამმართველოს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსთან ერთად 1964 წლის 1 აგვისტოსათვის წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი აღნიშნული გადასასვლელების გაუქმების შესახებ.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარ სამმართველოს:

ა) სადგურ მარნეული-წითელწყაროს გადასარბენზე ორი გადასასვლელის გასაუქმებლად შეადგინოს 1964 წელს შემოსავლელი გზის მშენებლობის საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაცია იმ ანგარიშით, რომ შეტანილ იქნას ეს მშენებლობა 1965 წლის გეგმაში;

ბ) ერთი თვის ვადაში შეისწავლოს საკითხი, თუ რამდენად შესაძლებელია ორი დაცული გადასასვლელის გაუქმება მელაანი-გურჯაანის სადგურების გადასარბენზე (სოფელ ჩუმლაყთან) და წარმოუდგინოს წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

გ) ძირულა-ხარაგაულის სადგურებს შორის გადასარბენზე არსებული გადასასვლელის გასაუქმებლად ააშენოს 1964 წლის პირ-

ველი ნახევრის დამლევამდე გზების კაპიტალური რემონტის [illegible]
სრების ხარჯზე შემოსავლელი გზა 200 მეტრამდე მან[illegible]
ლა-პანას რესპუბლიკურ გზაზე;

დ) შეადგინოს 1964 წელს მარნეულის სადგურთან გზახიდის მშენებლობის საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაცია და გაითვალისწინოს მისი აგება 1965 წელს.

4. მიღებულ იქნას კომისიის წინადადება კასპის სადგურზე რკინიგზის გადასასვლელის გაუქმების შესახებ.

„კავგიპროტრანსმა“ შეადგინოს 1964 წელს შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობის პროექტი.

დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს და სახმშენს გაითვალისწინონ 1964 წლის გეგმებით საჭირო სახსრები, რათა დაპროექტდეს კასპის სადგურთან გზახიდი შემოსასვლელი გზით.

5. დაევალოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს შეადგინოს ახალი განრიგი ავტობუსების მოძრაობისა № 1 დანართში ჩამოთვლილ სარკინიგზო გადასასვლელებზე, სადაც ინტენსიური მოძრაობა არაა, იმ ანგარიშით, რომ ავტობუსებისა და მატარებლების მოძრაობა ერთმანეთს არ ემთხვეოდეს დროის მიხედვით.

6. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომთან ერთად ერთი თვის ვადაში გადასინჯოს იმ გზახიდების ნუსხა, რომლებიც 1964-1966 წლების პერიოდში უნდა აშენდეს ქ. ქუთაისში (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 13 აპრილის № 244 დადგენილების დანართი) და წარმოადგინოს წინადადებანი გორის ქუჩაზე (ქუთაისის მეორე სადგურთან) გზახიდის პირველ რიგში მშენებლობის შესახებ.

7. დაევალოს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს:

ა) მიმდინარე წლის დამლევამდე გააუქმოს დანარჩენი 65 სარკინიგზო გადასასვლელი იმ ვარაუდით, რომ ტრანსპორტის მოძრაობა გადატანილ იქნას შემოვლით — არსებულ ხიდებსა და მილებს ქვეშ;

ბ) მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე შეაკეთოს გადასასვლელები და მოიყვანოს ისინი ისეთ მდგომარეობაში, რომლებიც უზრუნველყოფენ მათზე ნორმალურ მოძრაობას;

გ) უმოკლეს ვადაში დააყენოს მცველები გადასასვლელებზე, № 2 დანართის თანახმად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარ სამმართველოსთან ერთად წარმოადგინოს წინადადებანი მარელისის სადგურზე გადასასვლელის გაუქმების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ძირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1963 წ. 28 ოქტომბერი, № 682.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 28 ოქტომბრის № 682
დადგენილების დანართი № 1

## ს ი ა
## გადასასვლელებისა, რომლებისთვისაც საჭიროა ავტობუსების მოძრაობის გრაფიკის დაწესება

| გადასარბენები | გადასასვლელების ადგილმდებარეობა |
|---|---|
| თეძამის შტო — სოფ. დოესი | მე-2 კმ. |
| ცემი-ლიბანი (სანატ. მზიურთან) | მე-17 კმ. პიკეტი 8 |
| ცემი-ლიბანი (ლიბანის სანატორიუმთან) | მე-19 კმ. პიკეტი 5 |
| ძალარო-წითელწყარო | მე-17 კმ. პიკეტი 3 |
| მალარო-წითელწყარო | 22-ე კმ. პიკეტი 9 |
| ხაშური-ახალდაბა (სოფ. ქვიშხეთთან) | მე-9 კმ. პიკეტი 4 |
| სადგ. წითელწყარო | 38-ე კმ. პიკეტი 8 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 28 ოქტომბრის № 682
დადგენილების დანართი № 2

## ნ უ ს ხ ა
## დაუცველი გადასასვლელებისა, რომლებზედაც დაყენებულ უნდა იქნან მცველები

| გადასარბენები | გადასასვლელების ადგილმდებარეობა |
|---|---|
| ხაშური-ახალდაბა (სოფ. თეზერთან) | მე-5 კმ. პიკეტი 2 |
| კაჭრეთი-მელაანი (სოფ. არაშენდასთან) | 83-ე კმ. პიკეტი 4 |
| მარნეული-შულავერი (სოფ. მირზოევკასთან) | 2544-ე კმ. პიკეტი 9 |
| გორი (სატვირთო) — შინდისი (ვარიანის საბჭოთა მეურნეობასთან) | მე-16 კმ. პიკეტი 7 |
| დრანდა-წყურგილი (სოფ. ვარჩესთან) | 2122-ე კმ. პიკეტი 2 |
| ტყიბული-კონი (ქ. ტყიბული) | 51-ე კმ. პიკეტი 8 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

**180** **იმის შესახებ, რომ აეკრძალოთ კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებსა და სხვა მოქალაქეებს ციტრუსოვანთა ნაყოფისა და დაფნის ფოთლის გატანა საქართველოს სსრ ფარგლებს გარეთ, აგრეთვე მათი გაყიდვა საკოლმეურნეო ბაზრებში**

ციტრუსოვანთა ნაყოფისა და დაფნის ფოთლის შესყიდვის სახელმწიფო გეგმის შესრულების უზრუნველყოფის, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. აეკრძალოთ კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებს და სხვა მოქალაქეებს ციტრუსოვანთა ნაყოფის და დაფნის ფოთლის გატანა საქართველოს სსრ ფარგლებს გარეთ, აგრეთვე მათი გაყიდვა რესპუბლიკის საკოლმეურნეო ბაზრებში.

2. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ, ბათუმის, ფოთისა და სოხუმის სავაჭრო ნავსადგურებმა და სამოქალაქო საჰაერო ფლოტის საქართველოს ტერიტორიულმა სამმართველომ არ დაუშვან ციტრუსოვანთა ნაყოფისა და დაფნის ფოთლის მიღება გადასაზიდად დამამზადებელი ორგანიზაციების (ცეკავშირის, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს) განრიგების წარუდგენლად.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ორგანოებს მტკიცე კონტროლი გაუწიონ ამ დადგენილების შესრულებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1963 წ. 30 ოქტომბერი, № 686.

**181** **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 11 სექტემბრის № 957 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შეცვლისა და გაუქმების შესახებ**

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 11 სექტემბრის № 957 დადგენილებისა „ინდივიდუალური და კოოპერაციული საბინაო მშენებლობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტე-

ტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის [illegible] № 561 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის [illegible] გადაწყვეტილებათა გაუქმების თაობაზე“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 10 აგვისტოს № 867 დადგენილება „საქართველოს სსრ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში ინდივიდუალური მშენებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“;

ბ) „საწარმოთა, მშენებლობათა და დაწესებულებათა მუშებისა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისათვის მისაყიდად ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 4 მარტის № 246 დადგენილების მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის პირველი აბზაცი;

გ) „საქართველოს სსრ კოლმეურნეობების, სოფლის მეურნეობის საწარმოებისა და ორგანიზაციების საჭიროებისათვის ადგილობრივი ხე-ტყის დამზადების გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 8 აპრილის № 278 დადგენილების მე-8 მუხლის ქვეპუნქტი „დ“;

დ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 30 მაისის № 435 დადგენილება „ქ. თბილისში საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ“;

ე) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 8 აგვისტოს № 641 დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო-სამშენებლო და სააგარაკო-სამშენებლო კოოპერატივების განვითარების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე Გ. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი Ა. ᲨᲘᲠᲐᲥᲐᲫᲔ.

ქ. თბილისი, 1963 წ. 5 ნოემბერი, № 699.

## 182 საქართველოს სს რესპუბლიკაში სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადებისადმი ხელმძღვანელობის ერთ ორგანოდ გაერთიანების შესახებ

რესპუბლიკაში სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების წარმოების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის 1963 წლის 10 ოქტომბრის დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გაერთიანდეს ერთ ორგანოდ საქართველოს სს რესპუბლიკაში სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების ხელმძღვანელობა, რისთვისაც მოეწყოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მთავარი სამმართველო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს, მისი ყველა სატყეო-სამეურნეო და სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების, იმავე მთავარ სამმართველოს სამეურნეო ანგარიშის საწარმოთა სამმართველოს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწველობის სამმართველოს ცენტრალური აპარატის ერთი ნაწილის და ყველა მისი ხე-ტყის დამამზადებელი და ხე-ტყის დასაცურებელი საწარმოების და სპეციალიზებული სამშენებლო ორგანიზაციების ბაზაზე (№ 1 დანართის თანახმად), წარმოების, შრომის, თვითღირებულების, კაპიტალურ დაბანდებათა და კაპიტალური რემონტის გეგმებით, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ფონდებით, ძირითადი და საბრუნავი სახსრებით, პერსონალური დანამატების ლიმიტებითა და სხვა საშუალებებით 1964 წლის 1 იანვრის მდგომარეობის მიხედვით, ამასთან გადაეცეს 1963 წლის 1 ოქტომბრისათვის რიცხული ძირითადი ფონდები და გათვალისწინებულ იქნას ის ცვლილებანი, რომლებიც დაკავშირებულია 1963 წლის IV კვარტალის ფონდების შემოსვლასთან და ძირითადი საშუალებების ჩამოწერასთან.

2. დაეკისროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მთავარ სამმართველოს:

სატყეო მეურნეობის სწორად გაძღოლა — ისეთ ღონისძიებათა განხორციელება, რომელთა მიზანია ტყის მოვლა და დაცვა, ტყის გაშენება და ხე-ტყის დამზადება სახელმწიფო სატყეო ფონდის მიწებზე, ტექნიკური დახმარების აღმოჩენა კოლმეურნეობე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისათვის და მათ მიერ სატყეო მეურნეობის გაძღოლისათვის კონტროლის გაწევა;

ბუნებრივ სიმდიდრეთა და ბუნების ძეგლთა დაცვა და მოვლა, ისეთ სატყეო-სამეურნეო და ბიოტექნიკურ ღონისძიებათა შესრულება ნაკრძალებსა და სხვა მეურნეობებში, რომლებიც უზრუნველყოფენ ფაუნისა და ფლორის მოვლა-პატრონობას და გამდიდრებას;

სამონადირეო ფაუნის მოშენებისა და მომრავლების ღონისძიებათა განხორციელება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, ნადირობის რეგულირება და სანადირო კანონმდებლობათა შესრულებისადმი მეთვალყურეობა, სამონადირეო მეურნეობის განვითარების დარგში სამონადირეო ორგანიზაციების მუშაობის ხელმძღვანელობა, აგრეთვე ყველა იმ ორგანიზაციისა და უწყების მუშაობისადმი კონტროლი, რომლებიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ეწევიან სანადირო მეურნეობას, სანადირო რეწვასა და სპორტს.

3. დამტკიცდეს და შემოღებულ იქნას სამოქმედოდ 1964 წლის 1 იანვრიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მთავარი სამმართველოს ცენტრალური აპარატის სტრუქტურა და შტატები 70 ერთეულის რაოდენობით, № 2 დანართის თანახმად.

აღნიშნული შტატი დაკომპლექტდეს სატყეო და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს ცენტრალური აპარატის, ამავე მთავარი სამმართველოს სამეურნეო ანგარიშის საწარმოთა სამმართველოს პერსონალის რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ხარჯზე, იმის ხარჯზე, რომ შემცირდეს შტატები საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწველობის სამმართველოსი 12 ერთეულით თვეში 1485 მანეთის ხელფასის ფონდით და სამმართველოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების განყოფილებისა 3 ერთეულით 199 მანეთის ხელფასის ფონდით, აგრეთვე 5 ერთეულისა ხელფასის შესაბამისი ფონდებით სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მოხსენებული მთავარი სამმართველოს ადმინისტრაციულ-სამმართველოს პერსონალის რაოდენობის საერთო ლიმიტის ხარჯზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მთავარი სამმართველოს ცენტრალური აპარატის შენახვის ხარჯები გაღებულ იქნას სამეურნეო ანგარიშის საქმიანობის ანარიცხებიდან.

4. იმასთან დაკავშირებით, რომ ხე-ტყის დამზადებ[illegible] ტყისა და ქაღალდის მრეწველობის სამმართველო [illegible] 1964 წლის 1 იანვრიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მთავარ სამმართველოს დაეკისრა, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწველობის სამმართველოს გამოეცვალოს სახელი და ეწოდოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ხისდამმუშავებელი და ქაღალდის მრეწველობის სამმართველო.

დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ორი კვირის ვადაში წარმოადგინოს დასამტკიცებლად ხისდამმუშავებელი და ქაღალდის მრეწველობის სამმართველოს სტრუქტურა შტატების იმ შემცირების გათვალისწინებით, რაც ამ დადგენილებასთან დაკავშირებით ხდება.

5. რესპუბლიკაში ხე-ტყის დამზადების საქმის შემდგომი გაუმჯობესებისა და წვრილ ხე-ტყის დამამზადებელთა ლიკვიდაციის მიზნით, დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობის და ხე-ტყის დამზადების მთავარ სამმართველოს არა უგვიანეს 1964 წლის 1 თებერვლისა წარმოადგინონ წინადადებანი იმის შესახებ, რომ თავმოყრილ იქნას ხე-ტყის დამზადება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მთავარ სამმართველოს საწარმოებში.

6. გადაეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მთავარ სამმართველოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მუშათა მომარაგების სამმართველოს ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწველობის სამმართველოს ზუგდიდის მუშათა მომარაგების განყოფილება.

7. დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ფინანსთა სამინისტროს, სახალხო მეურნეობის საბჭოსთან და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მთავარ სამმართველოსთან ერთად, გაითვალისწინონ ეს დადგენილება სახალხო-სამეურნეო გეგ-

მის მაჩვენებლებში და რესპუბლიკის 1964—1965 წლების ბიუ-ჯეტით.

ბიბლიოთეკა

8. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მთავარ სამმართველოს 1964 წლის 1 თებერვლამდე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად:

ა) თავისი საწარმოების დისლოკაცია, ამასთან იქონიოს მხედველობაში, რომ საჭიროა სატყეო-სამეურნეო და ხე-ტყის დამამზადებელი საწარმოების გაერთიანება ერთიან კომპლექსურ სატყეო მეურნეობებად, ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის შემდგომი გაუმჯობესებისა და გამარტივების გათვალისწინებით;

ბ) პროექტი დებულებისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მთავარი სამმართველოს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1963 წ. 14 ნოემბერი, № 716.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 14 ნოემბრის № 716
დადგენილების დანართი № 1

## ს ი ა

**საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწველობის სამმართველოს საწარმოებისა და ორგანიზაციებისა, რომლებიც გადაეცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობის და ხე-ტყის დამზადების მთავარ სამმართველოს**

1. ლესელიძის სატყეო-სამრეწველო მეურნეობა
2. ბზიბის სატყეო კომბინატის ხე-ტყის დამზადება
3. კოდორის სატყეო-სამრეწველო მეურნეობა
4. გინძე-ეწერის სატყეო-სამრეწველო მეურნეობა
5. სადმელის სატყეო კომბინატის ხე-ტყის დამზადება

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. საჩხერის ხე-ტყის დამამზადებელი ბაზა
7. ახალციხის სატყეო კომბინატის ხე-ტყის დამზადება
8. ახმეტის სატყეო კომბინატის ხე-ტყის დამზადება
9. ზუგდიდის სატყეო კომბინატის ხე-ტყის დამზადება და დაცურება
10. კოდორის დაცურების კანტორა
11. ენგურის სპეციალიზებული სამშენებლო სამმართველო
12. ბზიბის სპეციალიზებული სამშენებლო სამმართველო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 14 ნოემბრის [illegible]
დადგენილების დანართი

## სტრუქტურა და შტატები

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობის და ხე-ტყის დამზადების მთავარ სამმართველოსი (სამეურნეო ანგარიშზე)

| სტრუქტურული ქვეგანაყოფები და თანამდებობანი | ერთეულების რაოდენობა |
|---|---|
| **I. ხელმძღვანელობა** | |
| მთავარი სამმართველოს უფროსი | 1 |
| მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე | 1 |
| მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე | 1 |
| მთავარი მეტყევე | 1 |
| მთავარი ინჟინერი უსაფრთხობის ტექნიკის, გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის დარგში | 1 |
| უფროსი ინსპექტორი კადრების დარგში | 1 |
| უფროსი ინსპექტორი | 1 |
| სახანძრო უშიშროების ინსპექტორი | 1 |
| ს უ ლ | 8 |
| **II. ტყის სარგებლობისა და ტყის მოწყობის სამმართველო** | |
| სამმართველოს უფროსი — იგივე მთავარი მეტყევე | — |
| მთავარი ინჟინერი | 1 |
| უფროსი ინჟინერი ტყის მოწყობისა და ფართობების გამოყოფის დარგში | 1 |
| უფროსი ინჟინერი ტყის სარგებლობის დარგში | 1 |
| უფროსი ინჟინერი ტყესაკაფის გამოყოფისა და ნედლეულის ბაზების დარგში | 1 |
| ინჟინერი ტყის მოვლითი ჭრის ხაზით | 1 |
| ს უ ლ | 5 |
| **III. ხე-ტყის დამზადების სამმართველო** | |
| სამმართველოს უფროსი | 1 |
| მთავარი ინჟინერი | 1 |
| უფროსი ინჟინერი ტყის ექსპლუატაციის დარგში | 1 |
| უფროსი ინჟინერი მერქნის გადამუშავების დარგში | 1 |
| ინჟინერი ტრანსპორტის დარგში | 1 |
| მეფუტკრე-ზოოტექნიკოსი | 1 |
| ს უ ლ | 6 |

მუხ. 182
ეროვნული ბიბლიოთეკა

| სტრუქტურული ქვეგანაყოფები და თანამდებობანი | ერთეულთა რაოდენობა |
|---|---|
| **IV. ტყის კულტურებისა და მინდორსაცავი ტყის გაშენების სამმართველო** | |
| სამმართველოს უფროსი | 1 |
| მთავარი ინჟინერი | 1 |
| უფროსი ინჟინერი ტექნიკური და სწრაფმზარდი ჯიშების მომრავლების და გაშენების დარგში | 1 |
| უფროსი ინჟინერი ტყის მელიორაციის დარგში | 1 |
| უფროსი ინჟინერი სანერგეებისა და მეთესლეობის დარგში | 1 |
| უფროსი აგრონომი ტყებაღებისა და მეხილეობის დარგში | 1 |
| სულ | 6 |
| **V. ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველო** | |
| სამმართველოს უფროსი | 1 |
| მთავარი ნადირობის მცოდნე და სახელმწიფო სამონადირეო ინსპექტორი | 1 |
| მთავარი მეტყევე ინჟინერი | 1 |
| ბიოლოგი ძვირფასი სამონად. გარეული ნადირის აკლიმატიზაციის დარგში | 1 |
| უფროსი ეკონომისტი ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის დარგში | 1 |
| ნადირობის მცოდნე | 1 |
| ზოოტექნიკოსი | 1 |
| სულ | 7 |
| **VI. საგეგმო-საფინანსო სამმართველო** | |
| სამმართველოს უფროსი | 1 |
| სამმართველოს უფროსის მოადგილე | 1 |
| უფროსი ინჟინერი სატყეო მეურნეობის დაგეგმვის დარგში | 1 |
| უფროსი ინჟინერი ხე-ტყის დამზადების დაგეგმვის დარგში | 1 |
| უფროსი ეკონომისტი ფართო მოხმარებისა და დამხმარე მეურნეობათა დაგეგმვის დარგში | 1 |
| უფროსი ეკონომისტი-ფინანსისტი საბიუჯეტო საქმიანობის დარგში | 1 |
| უფროსი ეკონომისტი-ფინანსისტი სამეურნეო ანგარიშის საქმიანობის დარგში | 1 |
| უფროსი ეკონომისტი შრომის დარგში | 1 |
| ეკონომისტი თვითღირებულებისა და ფასების დარგში | 1 |
| სულ | 9 |
| **VII. ტყის მოვლისა და დაცვის განყოფილება** | |
| განყოფილების უფროსი — სახელმწიფო სატყეო დაცვის უფროსი | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| სტრუქტურული ქვეგანაყოფები და თანამდებობანი | ერთეულთა რაოდენობა |
|---|---|
| უფროსი ინჟინერი ტყის მოვლის დარგში | 1 |
| უფროსი ინჟინერი ტყის დაცვის დარგში | 1 |
| საკოლმეურნეო ტყეების ინსპექტორი | 1 |
| ს უ ლ | 4 |
| **VIII. მექანიზაციისა და კაპიტალური მშენებლობის განყოფილება** | |
| განყოფილების უფროსი | 1 |
| მთავარი მექანიკოსი | 1 |
| უფროსი ინჟინერი კაპიტალური მშენებლობის დარგში | 1 |
| უფროსი ინჟინერ-მექანიკოსი | 1 |
| ს უ ლ | 4 |
| **IX. გასაღებისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების განყოფილება** | |
| განყოფილების უფროსი | 1 |
| უფროსი ინჟინერი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დარგში | 1 |
| უფროსი ეკონომისტი გასაღების დარგში | 1 |
| ს უ ლ | 3 |
| **X. ცენტრალური ბუღალტერია** | |
| მთავარი ბუღალტერი | 1 |
| მთავარი ბუღალტრის მოადგილე | 1 |
| უფროსი ბუღალტერი საბიუჯეტო საქმიანობის დარგში | 1 |
| უფროსი ბუღალტერი სამეურნეო ანგარიშის საქმიანობის დარგში | 1 |
| უფროსი რევიზორ-ბუღალტერი | 2 |
| რევიზორ-ბუღალტერი | 2 |
| მოანგარიშე-მოლარე | 1 |
| ს უ ლ | 9 |
| **XI. ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება** | |
| განყოფილების უფროსი — საქმეთა მმართველი | 1 |
| მდივანი-სტენოგრაფისტი | 1 |
| უფროსი მემანქანე | 1 |
| მემანქანე | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| სტრუქტურული ქვეგანაყოფები და თანამდებობანი | ერთეულთა რაოდენობა |
|---|---|
| დამლაგებელი . . . . . . . . . . . . . . | 2 |
| მსუბუქი ავტომანქანის მძღოლი . . . . . . . . . | 2 |
| შიკრიკი . . . . . . . . . . . . . . . | 1 |
| ს უ ლ . . . . | 9 |
| მ თ ლ ა დ . . . | 70 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

**183** სამრეწველო საწარმოებისა და სოფლის მეურნეობის საწარმოო ობიექტების სამშენებლო დაპროექტების მოწესრიგების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 10 სექტემბრის № 978 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 10 სექტემბრის № 978 დადგენილება „სამრეწველო საწარმოებისა და სოფლის მეურნეობის საწარმოო ობიექტების სამშენებლო დაპროექტების მოწესრიგების შესახებ" დაეგზავნოთ სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, საქართველოს სსრ სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს, უწყებებს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს, საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახმშენს 1963 წლის 10 დეკემბრამდე გადასცეს სსრ კავშირის სახმშენის სისტემაში საქართველოს სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი — „საქსახპროექტი." გადაცემა მოხდეს 1963 წლის 1 იანვრის მდგომარეობის მიხედვით იმ წესით, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 22 მაისის № 556 დადგენილებით.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს 1963 წლის 10 დეკემბრამდე გადასცეს სსრ კავშირის სახმშენის სისტემაში საპროექტო ინსტიტუტი—„საქშახტპროექტის" სტრუქტურული ქვეგანაყოფები, რომლებიც ეწევიან სამშენებლო დაპროექტებას, გენერალური გეგმების, სამრეწველო ტრანსპორტის, გათბობის, ვენტილაციის, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის პროექტების შემმუშავებელი განყოფილებების, სექტორებისა და ჯგუფების ჩათვლით, საწარმოო პერსონალის 90 კაცის საერთო რიცხვით და ადმინისტრაციულ-სამეურნეო და დამხმარე პერსონალის შესაბამისი რაოდენობით.

გადაცემა მოხდეს 1963 წლის 1 ოქტომბრის გაყოფითი ბალანსით, მოწყობილობით, ინვენტარითა და სხვა მატერიალური ფასეულობებით, საპროექტო სამუშაოთა გეგმებით 1963 წლის დარჩენილი პერიოდისათვის, ხელფასის ფონდებით, თანამდებობრივი

მეხ. 183
ეროვნული
ბიბლიოთეკა

განაკვეთების პერსონალური დანამატების ფონდებით და[illegible]ბისა და მოწყობილობის ფონდებით.

4. „საქშახტპროექტიდან“ სსრ კავშირის სახმშენისათვის გადაცემულ სტრუქტურულ ქვეგანაყოფებს შეუნარჩუნდეთ უფლება ისარგებლონ სახელშეკრულებო საწყისებზე მათ მიერ დაკავებული სადგომებითა და საწარმოო ფართობებით, აგრეთვე მოწყობილობითა და ინვენტარით, რომლებიც მათ ბალანსზე არ ირიცხება.

5. საქართველოს სსრ სახმშენმა და სახალხო მეურნეობის საბჭომ წარუდგინონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ფინანსთა სამინისტროს მთელი საჭირო დოკუმენტაცია, რათა შეტანილ იქნას სახალხო მეურნეობის 1963 წლის გეგმაში საჭირო ცვლილებანი და მოხდეს ურთიერთანგარიშსწორება საკავშირო ბიუჯეტთან.

6. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ შეიტანონ 1963 წლის ბიუჯეტსა და სახალხო-სამეურნეო გეგმაში საჭირო ცვლილებანი იმასთან დაკავშირებით, რომ ამ დადგენილების თანახმად სსრ კავშირის სახმშენის სისტემაში გადაეცა საპროექტო ინსტიტუტი — „საქსახპროექტი“ და საპროექტო ინსტიტუტის—„საქშახტპროექტის“ სტრუქტურული ქვეგანაყოფები.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 1 აგვისტოს № 37/VI გადაწყვეტილების მე-2 მუხლის შესაცვლელად, საქართველოს სსრ სახმშენმა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით 1963 წლის ნოემბრის დამლევამდე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი რესპუბლიკის საპროექტო ორგანიზაციების მოწესრიგების, სპეციალიზაციისა და გამსხვილების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1963 წ. 18 ნოემბერი, № 718.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება № 978

**1963 წლის 10 სექტემბერი**

მოსკოვი, კრემლი

## სამრეწველო საწარმოებისა და სოფლის მეურნეობის საწარმოო ობიექტების სამშენებლო დაპროექტების მოწესრიგების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1962 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილების შესაბამისად, სამრეწველო საწარმოებისა და სოფლის მეურნეობის საწარმოო ობიექტების სამშენებლო დაპროექტების მოწესრიგების, კაპიტალურ დაბანდებათა ეკონომიური ეფექტიანობის ამაღლების, ახალ საწარმოო სიმძლავრეთა საექსპლუატაციოდ გადაცემის დაჩქარებისა და სამშენებლო დაპროექტებაში ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის უზრუნველყოფის მიზნით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ სამრეწველო საწარმოების, შენობებისა და ნაგებობების სამშენებლო დაპროექტებას, აგრეთვე საწარმოთა რეკონსტრუქციისა და გაფართოების იმ პროექტების სამშენებლო ნაწილის შემუშავებას, რომლებიც ითვალისწინებენ ახალი შენობებისა და ნაგებობების მშენებლობას, უნდა ეწეოდნენ მხოლოდ სსრ კავშირის სახმშენის სპეციალიზებული საპროექტო ორგანიზაციები, ხოლო მოქმედ საწარმოებში არსებული ობიექტების (შენობების დაშენებისა და მიშენების ჩათვლით) რეკონსტრუქციის იმ პროექტების შემუშავებას, რომლებიც ითვალისწინებენ ტექნოლოგიური პროცესების მოწესრიგებას, ან წარმოებაში ცალკეული ვიწრო ადგილების აღმოფხვრას, ენერგეტიკული მეურნეობის გაუმჯობესებას, არსებული კონსტრუქციებისა და მოწყობილობის შეცვლას, — შესაბამისი დარგობრივი ტექნოლოგიური საპროექტო ორგანიზაციები ან სსრ კავშირის სახმშენის საპროექტო ორგანიზაციები.

აეკრძალოთ, 1964 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, საპროექტო ორგანიზაციებს, რომლებიც სსრ კავშირის სახმშენს არ ექვემდებარებიან, მრეწველობის ყველა დარგის ობიექტების სამშენებლო დაპროექტების სამუშაოების შესრულება (გათბობის, ვენტილაციის, წყალმომარაგების კანალიზაციისა და სამრეწველო ტრან-

სპორტის სამუშაოთა ჩათვლით), გარდა სსრ კავშირის ენერგეტი-
კისა და ელექტროფიკაციის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის,
სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის ობიექტებისა და სპეციალური დანიშნულების და მრეწველობის თავდაცვითი დარგების ობიექტებისა, აგრეთვე მრეწველობის ყველა დარგის რეკონსტრუირებული ობიექტებისა, სადაც ახალი შენობებისა და ნაგებობების მშენებლობა არ არის გათვალისწინებული.

დაწესდეს, რომ აღნიშნული წესებიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ სსრ კავშირის სახმშენის ნებართვით.

დაეკისროს სსრ კავშირის სახმშენს იმის პასუხისმგებლობა, რომ დროულად იქნან უზრუნველყოფილი მშენებლობები სამუშაოთა საერთო სამშენებლო კომპლექსის ტექნიკური დოკუმენტაციით.

2. დაწესდეს, რომ სამრეწველო კვანძების, აგრეთვე მშენებლობისა და გაფართოების პროცესში მყოფი სამრეწველო საწარმოების გენერალური გეგმების პროექტების დამუშავებას, გარდა სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის, სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის საწარმოებისა, სპეციალური დანიშნულების და მრეწველობის თავდაცვითი დარგების საწარმოებისა, უნდა ახორციელებდნენ სსრ კავშირის სახმშენის საპროექტო ორგანიზაციები ტექნოლოგიური საპროექტო ორგანიზაციებთან ერთად, დარგობრივი ტექნოლოგიური საპროექტო ორგანიზაციების მიერ შედგენილი ტექნოლოგიური სქემებისა და დავალებათა საფუძველზე.

ქიმიური, ნავთობგადამმუშავებელი, მეტალურგიული, ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის რეკონსტრუირებული საწარმოების და სამთამადნო საწარმოების გენერალური გეგმების დამუშავებას, რომლებზედაც არ არის გათვალისწინებული ახალი საწარმოო ფართობების მშენებლობა, ახორციელებენ, როგორც გამონაკლისი, სამუშაო ნახაზების სტადიაში დარგობრივი ტექნოლოგიური საპროექტო ორგანიზაციები სსრ კავშირის სახმშენის საპროექტო ორგანიზაციების მონაწილეობით.

3. სსრ კავშირის სახმშენმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა, სამინისტროებმა, უწყებებმა, სახალხო მეურნეობის საბჭოებმა და საპროექტო ორგანიზაციებმა საწარმოთა დაპროექტების დროს მტკიცედ იხელ-

მძლავნელონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 5 თებერვლის № 128 დადგენილებით „სამრეწველო საწარმოების, ელექტროსადგურებისა და სატრანსპორტო ნაგებობების მშენებლობის ტექნიკური დონის ამაღლებისა და სახარჯთაღრიცხვო ღირებულების შემცირების შესახებ“, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საწარმოთა ფართო კოოპერაციის (მათი უწყებრივი კუთვნილების დამოუკიდებლად), მრეწველობის მონათესავე დარგების ძირითადი წარმოების შენობათა ბლოკირების, დამხმარე საწარმოებისა და მეურნეობების, სამრეწველო ტრანსპორტის, საინჟინრო ნაგებობათა და ენერგომომარაგების, წყალმომარაგების, კანალიზაციისა და სხვ. ქსელების გაერთიანების უზრუნველყოფას, ამასთან არ დაუშვან წვრილი, არარენტაბელური საწარმოების დაპროექტება და მშენებლობა, აგრეთვე მშენებლობის დროს ერთნაირი ობიექტების გაუმართლებელი დუბლირება.

სსრ კავშირის სახმშენმა სამი თვის ვადაში შეიმუშაოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის, სსრ კავშირის სახელმწიფო დარგობრივი კომიტეტების, სამინისტროებისა და უწყებების, შუა აზიის სახალხო მეურნეობის საბჭოს და რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის საბჭოების მონაწილეობით და დაამტკიცოს სამრეწველო კვანძების დაპროექტების ორგანიზაციის ძირითადი დებულებანი და სოფლის მეურნეობის საწარმოო ობიექტების დაპროექტების ორგანიზაციის ძირითადი დებულებანი.

4. სსრ კავშირის სახმშენმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო მეურნეობის საბჭოებმა, სსრ კავშირის სახელმწიფო დარგობრივმა კომიტეტებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა სპეციალურად გადაიყვანონ დაქვემდებარებული საპროექტო ორგანიზაციები საწარმოთა პროექტების შემუშავებაზე მრეწველობის ცალკეული დარგებისა და სამუშაოთა სახეობის მიხედვით, გააძლიერონ მთავარი საპროექტო ინსტიტუტების როლი და პასუხისმგებლობა, გაამსხვილონ წვრილი საპროექტო ორგანიზაციები და ამასთან დაკავშირებით შეამცირონ ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რაოდენობა. შედეგები მოხსენდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 1 მარტისათვის.

5. დაწესდეს, რომ სამრეწველო საწარმოებისა და ობიექტების დაპროექტების დავალებანი, მათი უწყებრივი კუთვნილების და-

მოუკიდებლად (სპეციალური დანიშნულებისა და მრეწველობის თავდაცვითი დარგების ობიექტების გამოკლებით), დამტკიცებამდე უნდა იქნას შეთანხმებული სსრ კავშირის სახმშენის ტერიტორიულ საპროექტო ინსტიტუტებთან იმ ნაწილში, რომელიც შეეხება:

დასაპროექტებელი საწარმოს (ობიექტის) საწარმოო სიმძლავრის და მისი მშენებლობის პუნქტის დადგენას იმ დავალებათა საფუძველზე, რომლებიც გათვალისწინებულია სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმებით, ან სსრ კავშირის მთავრობის ცალკეული გადაწყვეტილებებით;

ახალი მშენებლობის დასაბუთებულობას და ტექნიკურ-ეკონომიურ მიზანშეწონილობას იმასთან შედარებით, თუ რამდენად შესაძლებელია მოქმედი ანალოგიური საწარმოების გაფართოება ან რეკონსტრუქცია;

დამხმარე საწარმოების ნავარაუდევ კოოპერირებას, მოქმედი, შენდებადი და დასაპროექტებელი საწარმოების ენერგომომარაგებას, წყალმომარაგებას, კანალიზაციასა და ტრანსპორტს;

იმის შესაძლებლობას, რომ გაერთიანდნენ დასაპროექტებელი საწარმოები სამრეწველო კვანძებად — ერთიან საწარმოო კომპლექსებად ან კომბინატებად.

სსრ კავშირის სახმშენმა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოსთან ერთად, შეიმუშაოს და დაამტკიცოს მითითებანი სამრეწველო საწარმოების დაპროექტების დავალებათა შეთანხმების წესის შესახებ.

სსრ კავშირის სახმშენმა ერთი თვის ვადაში დაამტკიცოს იმ საპროექტო გაერთიანებების, სამშენებლო დაპროექტების მთავარი საპროექტო და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების ნუსხა, რომლებიც სპეციალიზებული არიან მრეწველობის დარგებისა და სამუშაოთა სახეობების მიხედვით, აგრეთვე იმ ტერიტორიული საპროექტო ორგანიზაციების ნუსხა, რომლებსაც ეკისრებათ შეიმუშაონ ქვეყნის შესაბამისი ეკონომიური რაიონებისათვის დასაპროექტებელი სამრეწველო საწარმოების განლაგების სქემები, შექმნან სამრეწველო კვანძების ერთიანი გენერალური გეგმები, უზრუნველყონ სამშენებლო გადაწყვეტილებათა ერთიანობა და დაპროექტების დავალებათა შეთანხმება.

6. სსრ კავშირის სახმშენმა უზრუნველყოს სამრეწველო საწარმოს ან ცალკეული საწარმოს დაპროექტების დროს მისდამი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაქვემდებარებული ერთ-ერთი საპროექტო ორგანიზაციის ძალე-ბით შენობების, ნაგებობებისა და კონსტრუქციების [illegible] საწარმოთა უწყებრივი კუთვნილების დამოუკიდებლად.

საპროექტო ორგანიზაციას — სამრეწველო კვანძის გენერა-ლურ დამპროექტებელს განსაზღვრავს სსრ კავშირის სახმშენი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოებთან, სახელმწიფო კომი-ტეტებთან, სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით.

7. დაწესდეს, რომ სოფლის მეურნეობის საწარმოო ობიექტე-ბის ტიპობრივ პროექტებს შეიმუშავებენ სსრ კავშირის სახმშენის მთავარი საპროექტო ინსტიტუტები საჭირო შემთხვევებში მოკავ-შირე რესპუბლიკების სახმშენების შესაბამისი საპროექტო ორ-განიზაციების მონაწილეობით; ტიპობრივი პროექტების მორგებას ადგილზე აწარმოებენ, როგორც წესი, მოკავშირე რესპუბლიკების სახმშენების ზონალური საპროექტო ინსტიტუტები, რომლებიც სპეციალიზებული არიან სასოფლო მშენებლობის ობიექტების და-პროექტებაზე, საოლქო აღმასკომების და სამხარეო აღმასკომების საპროექტო ორგანიზაციები, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში — სხვა საპროექტო ორგანიზაციებიც მოკავშირე რესპუბლიკების სახმშენების დავალებით.

ტიპობრივი პროექტები უნდა შემუშავდეს ქვეყნის ცალკეუ-ლი ზონებისათვის ბუნებრივ-კლიმატური და საწარმოო-ეკონომი-ური პირობების შესაბამისად.

8. სსრ კავშირის სახმშენმა სახელმწიფო დარგობრივი კომი-ტეტების მონაწილეობით 3 თვის ვადაში გადასინჯოს სამრეწველო და სასოფლო მშენებლობისათვის საჭირო ტიპობრივი პროექტე-ბის ნუსხა იმის გათვალისწინებით, რომ საჭიროა მკვეთრად შემ-ცირდეს მოქმედი ტიპობრივი პროექტების რაოდენობა და ფარ-თოდ დაინერგოს ეკონომიური უნიფიცირებული ტიპობრივი მა-ლები და სექციები, აგრეთვე გამოყენებულ იქნას ქარხანაში დამ-ზადებული კონსტრუქციებისა და დეტალების ტიპზომების განსა-ზღვრული რაოდენობა.

9. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავ-შირის სახელმწიფო დარგობრივმა კომიტეტებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა 3 თვის ვადაში გადასცენ სსრ კავშირის სახმშენის სისტემას:

ა) საპროექტო, სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტები და სხვა ორგანიზაციები, № 1 დანართის თანახმად.

ალნიშნული ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების [illegible] მოხდეს 1963 წლის 1 იანვრის მდგომარეობის მიხედვ[illegible] შესაბამისად, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 22 მაისის № 556 დადგენილებით;

ბ) ტექნოლოგიური საპროექტო ორგანიზაციების სტრუქტურული ქვეგანაყოფები, რომლებიც ეწევიან სამშენებლო დაპროექტებას, გენერალური გეგმების, სამრეწველო ტრანსპორტის, გათბობის, ვენტილაციის, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის პროექტების შემმუშავებელი განყოფილებების, სექტორებისა და ჯგუფების ჩათვლით, № 2 დანართის თანახმად.

სტრუქტურული ქვეგანაყოფების გადაცემა მოხდეს 1963 წლის 1 ოქტომბრის გაყოფითი ბალანსით, მოწყობილობით, ინვენტარითა და სხვა მატერიალური ფასეულობებით, საპროექტო სამუშაოთა გეგმებით 1963 წლის დარჩენილი პერიოდისათვის, საწარმოო, ადმინისტრაციულ-სამმართველო და დამხმარე პერსონალის რაოდენობითა და ხელფასის ფონდებით, თანამდებობრივი განაკვეთების პერსონალური დანამატების ფონდებით და მასალებისა და მოწყობილობის ფონდებით.

შეუნარჩუნდეთ გადაცემულ ინსტიტუტებს და სტრუქტურულ ქვეგანაყოფებს იმის უფლება, რომ ისარგებლონ სახელშეკრულებო საწყისებზე მათ მიერ დაკავებული სადგომებითა და საწარმოო ფართობებით, აგრეთვე მოწყობილობითა და ინვენტარით, რომლებიც მათ ბალანსზე არ ირიცხება.

შეუნარჩუნდეთ გადაცემული ინსტიტუტებისა და სტრუქტურული ქვეგანაყოფების მუშაკებს მათთვის დაწესებული შრომის ანაზღაურების პირობები, თანამდებობრივი განაკვეთების პერსონალური დანამატები, შეღავათები და უპირატესობანი იმ თანამდებობებზე მათი მუშაობის დროისათვის, რომლებიც მათ გადაცემის მომენტისათვის ექავათ.

10. იმასთან დაკავშირებით, რომ ამ დადგენილების შესაბამისად სსრ კავშირის სახმშენს გადეცა ორგანიზაციები და სტრუქტურული ქვეგანაყოფები, დაევალოთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს, სსრ კავშირის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს შეიტანონ სათანადო ცვლილებანი 1963 წლის გეგმის მაჩვენებლებში, ხოლო სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ — მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტებთან საკავშირო ბიუჯეტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურთიერთ ანგარიშსწორებაში და სსრ კავშირის სახმშენის შემოსავალ-გასავლის 1963 წლის ბალანსში.

11. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა 3 თვის ვადაში წარმოუდგინოს სსრ კავშირის სახმშენთან ერთად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადება ჩვენს ქვეყანაში საწარმოო ძალთა განლაგების სქემებისა და რაიონული დაგეგმარების სქემების შემუშავების ორგანიზაციის შესახებ.

12. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკმა დააფინანსოს სამრეწველო საწარმოების, შენობებისა და ნაგებობების მშენებლობის სამუშაოები, გენერალური გეგმების შემუშავების ჩათვლით, ამ დადგენილებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

13. სსრ კავშირის სახმშენმა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკმა 3 თვის ვადაში შეიტანონ ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებები ინსტრუქციებსა, დებულებებსა და მითითებებში საპროექტო-საძიებო სამუშაოთა დაგეგმვის, დაფინანსების და შესრულების წესის შესახებ.

14. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა იურიდიულმა კომისიამ, სსრ კავშირის სახმშენთან, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან ერთად, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს სსრ კავშირის მთავრობის იმ გადაწყვეტილებათა ნუსხა. რომლებიც ძალადაკარგულად ითვლება ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ხრუშჩოვი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **გ. სტეპანოვი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 10 სექტემბრის № 978
დადგენილების დანართი

# ს ი ა

## საპროექტო და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების და სხვა ორგანიზაციებისა, რომლებიც გადაეცა სსრ კავშირის სახმშენს

(ამონაწერი)

| ორგანიზაციების დასახელება | ვინ გადასცემს |
|---|---|
| საქართველოს სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი — „საქსახპროექტი“, ქ. თბილისი | საქართველოს სსრ სახმშენი |

შენიშვნა: ტექნოლოგიური განყოფილებებისა და ჯგუფების მუშაკებს, რომლებიც რჩებიან სახალხო მეურნეობის საბჭოებსა და უწყებებში, სსრ კავშირის სახმშენისათვის გადასაცემი საპროექტო ინსტიტუტებიდან, შეუნარჩუნდებათ ამ ინსტიტუტებში არსებული შრომის ანაზღაურების პირობები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი გ. სტეპანოვი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 10 სექტემბრის № 978
დადგენილების დანართი

# ს ი ა

## ტექნოლოგიური საპროექტო ორგანიზაციებისა, რომელთა გამგებლობიდან გადაეცა სსრ კავშირის სახმშენს სამშენებლო დაპროექტების სტრუქტურული ქვეგანაყოფები

(ამონაწერი)

| ორგანიზაციების დასახელება | სტრუქტურულ ქვეგანაყოფთა გადასაცემი საწარმოო პერსონალის რაოდენობა | ვინ გადასცემს |
|---|---|---|
| შახტების დაპროექტების საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტი — „საქშახტპროექტი“, ქ. თბილისი | 90 | საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო |

**შენიშვნა:** ადმინისტრაციულ-სამმართველო და დამხმარე პერსონალის რაოდენობა გადაეცემა საწარმოო პერსონალის რაოდენობის პროპორციულად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **გ. სტეპანოვი.**

**184** **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:
დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველოს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. შირაძე.**

ქ. თბილისი, 1963 წ. 22 ნოემბერი, № 725.

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 22 ნოემბრის № 725
დადგენილებით

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველოს შესახებ**

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველო არის რესპუბლიკური სახელმწიფო ორგანო, შექმნილი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 4 ნოემბრის № 777 დადგენილების შესაბამისად, და თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობითა და ამ დებულებით.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველოს ადგილობრივი ორგანოებია: აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოები, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოებთან არსებული საყოფაცხოვრებო მომსახურების სამ-

მართველოები და კომბინატები, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში ემორჩილებიან როგორც მთავარ სამმართველოს, ისე ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებს.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველოს ძირითადი ამოცანებია: მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესება მშრომელთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ყველა სახის საყოფაცხოვრებო მომსახურების მიხედვით, საყოფაცხოვრებო სამუშაოებისა და სამრეწველო და არასამრეწველო ხასიათის მომსახურების მოცულობის მაქსიმალური გადიდება, საყოფაცხოვრებო საწარმოების მშენებლობა და გაფართოება, საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი პროგრესული ფორმებისა და სახეობათა დანერგვა, საწარმოთა ტექნიკური დონის ამაღლება მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი მიღწევების დანერგვის, წარმოების ტექნოლოგიისა და საწარმოო პროცესების მექანიზაციის ყოველმხრივ გაუმჯობესების, საყოფაცხოვრებო მომსახურების ნოვატორთა და მოწინავე საწარმოთა გამოცდილების გავრცელების, რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის შემდგომი განვითარებისა და წარმოებაში დანერგვის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ხარისხისა და კულტურის გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელების საფუძველზე; მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების (ფაბრიკების, ატელიეების, სახელოსნოებისა და სხვათა) ქსელის განვითარებისა და განლაგებისადმი კონტროლი.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველო მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) განახორციელებს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოების, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომების სამმართველოებისა და კომბინატების საერთო ხელმძღვანელობას და ხელმძღვანელობას გაუწევს მისდამი დაქვემდებარებულ რესპუბლიკურ ორგანიზაციებსა და საწარმოებს;

ბ) შეიმუშავებს, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ადგილობრივი ორგანოების მასალების საფუძველზე, წარმოე-

ბის, ახალი ტექნიკის განვითარებისა და დანერგვის, კაპიტალური მშენებლობის პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების, საფინანსო გეგმების, შრომის გეგმების, აგრეთვე მთავარ სამმართველოს სისტემის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმების პროექტებს, ამასთან გამოყოფს მაჩვენებლებს ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის და ქალაქ თბილისის მიხედვით;

გ) დაამტკიცებს რესპუბლიკის ქალაქების საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობას, საერთო და სასაქონლო პროდუქციის, კაპიტალდაბანდებათა გეგმებს, შრომისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმებს, გარდა ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის და ქ. თბილისის შესაბამისი გეგმებისა;

დ) დადგენილი წესით განიხილავს სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა მიხედვით და დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე რეკონსტრუქციის პროცესში მყოფი ახალი მშენებლობების ან საწარმოების სატიტულო სიებს (ნუსხებს);

ე) დადგენილი წესით დაამტკიცებს და საჭიროების შემთხვევაში შეცვლის სამშენებლო ობიექტების საპროექტო დავალებებს და მათს სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშებებს;

ვ) მიიღებს ზომებს, რათა შემცირდეს მშენებლობის ვადები, გაუმჯობესდეს მისი ხარისხი და შემცირდეს თვითღირებულება, აგრეთვე გაიაფდეს და გაუმჯობესდეს საპროექტო სამუშაოები და მაქსიმალურად იქნას გამოყენებული ტიპობრივი პროექტები;

ზ) დადგენილი წესით შექმნის ცენტრალიზებულ ფონდებს და განაგებს მათ;

თ) განსაზღვრავს მთავარი სამმართველოს სისტემის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებში კაპიტალდაბანდებათა დაფინანსების მოცულობასა და წყაროებს;

ი) სისტემატურ კონტროლს გაუწევს საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოების მიერ სამეურნეო გეგმების შესრულებას, მათ მიერ სახელმწიფო დისციპლინის დაცვას სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაში, ძირითადი და საბრუნავი ფონდების სწორად გამოყენებას საწარმოებში;

კ) შეიმუშავებს საყოფაცხოვრებო მომსახურების საპრეისკურანტო ფასების პროექტებს დადგენილი წესით დასამტკიცებლად და კონტროლს გაუწევს საპრეისკურანტო ფასების სწორად გამოყენებას მთავარი სამმართველოს სისტემის საწარმოებსა და ორგანიზაციებში;

ლ) შეიმუშავებს, დაამტკიცებს ან დადგენილი წესით წარად-გენს დასამტკიცებლად ნედლეულის, მასალების, სათბობის და ელექტროენერგიის ხარჯვის ნორმებს, საწარმოო მარაგის ნორმებს, მიიღებს ზომებს მათი დანერგვისათვის წარმოებაში და მშენებლობაზე, განახორციელებს დამტკიცებული ნორმების შესრულებისადმი კონტროლს;

მ) მიიღებს ზომებს სამმართველოებსა, კომბინატებსა და საწარმოებში ეკონომიური მუშაობის დონის ამაღლებისათვის, წარმოების ორგანიზაციის, დანორმვისა და შრომის ანაზღაურების გაუმჯობესებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, ნედლეულისა და მასალების მომჭირნეობისათვის, მომსახურების თვითღირებულების შემცირებისათვის, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების რენტაბელობის ამაღლებისათვის;

ნ) განახორციელებს ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების შერჩევასა და განაწილებას, მოაწყობს სპეციალისტთა მომზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას, განახორციელებს სპეციალისტთა განაწილებას და კონტროლს გაუწევს მათს სწორად გამოყენებას;

ო) პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად მოაწყობს სოციალისტურ შეჯიბრებას მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებსა და ორგანიზაციებში;

პ) ხელმძღვანელობასა და კონტროლს გაუწევს საბუღალტრო და სტატისტიკური აღრიცხვისა და ანგარიშგების დაყენებას, უზრუნველყოფს მათს უტყუარობას, გააანალიზებს ბალანსებს და დადგენილი წესით წარადგენს შეჯამებულ საბუღალტრო ანგარიშებს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველოს ყველა დარგის მიხედვით.

საბუღალტრო ანგარიშებისა და ბალანსების საფუძველზე განიხილავს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოების, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომების სამმართველოებისა და კომბინატების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგებს და მიიღებს საჭირო ზომებს მათი საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესებისათვის;

ჟ) ჩაატარებს რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საფი-

ნანსო-სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტურ რევიზიებს, [illegible] ცილებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სახელმწიფო [illegible]ბის მოვლა-შენახვა მთავარი სამმართველოს სისტემის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოს უფლება ენიჭება:

ა) შეიტანოს საჭიროების შემთხვევაში ცვლილებანი წლიურ და-კვარტალურ სამეურნეო გეგმებში იმ მაჩვენებლების მიხედვით, რომლებიც დამტკიცებულია მთავარ სამმართველოს მიერ, იმ მაჩვენებლების შეუცვლელად, რომლებიც დაწესებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ მთლიანად მთავარ სამმართველოსათვის;

ბ) დატოვოს მთავარი სამმართველოს განკარგულებაში წლის განმავლობაში გამოსაყენებლად მთავრობის მიერ დაწესებული ლიმიტების ფარგლებში.

კაპიტალდაბანდებათა რეზერვი ისე, რომ არ შემცირდეს საწარმოო სიმძლავრეთა საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმით დაწესებული დავალებანი;

ნედლეულის, მასალების, სათადარიგო ნაწილებისა და მოწყობილობის რეზერვი.

რეზერვი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციებისათვის დროებითი და დაუბრუნებელი ფინანსური დახმარების გასაწევად წლიური გეგმით დაწესებული საკუთარი საბრუნავი სახსრების 3 პროცენტამდე;

გ) გადაანაწილოს საჭირო შემთხვევებში ნედლეულისა და მასალების ფონდები და შეიტანოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დამტკიცებულ გეგმებში დაზუსტებანი, რომლებიც გამომდინარეობენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებებიდან წარმოების გეგმების შეცვლის შესახებ;

დ) შეიმუშაოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დავალებით და განახორციელოს იმ დაგროვების გადანაწილება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოებს შორის, რომელიც ხმარდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოქმედი საწარმოების გაფართოებასა და ახალი საწარმოების

მშენებლობას, აგრეთვე მათი საბრუნავი სახსრების შევსებას, რის-თვისაც მოახდინოს იმ სახსრების ცენტრალიზაცია განსაკუთრებულ ანგარიშზე, რომლებიც ამოღებული იქნება ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქისა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომების სამმართველოებიდან და კომბინატებიდან;

ე) აძლიოს დავალებანი და განახორციელოს კონტროლი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოების ფონდების რეალიზაციისადმი, აგრეთვე იმისადმი, რომ სწორად და დროულად მიეცეთ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობანი მთავარი სამმართველოს სისტემის საწარმოებსა და ორგანიზაციებს;

ვ) შექმნას, გარდაქმნას და გააუქმოს დადგენილი წესით მთავარ სამმართველოსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციები და საწარმოები, აგრეთვე შეცვალოს საჭირო შემთხვევებში მათი დაქვემდებარება;

ზ) აძლიოს დავალებანი სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებს, რათა ჩამოწერონ სახსრები მთავარი სამმართველოს სისტემის იმ ორგანიზაციებისა და საწარმოების ანგარიშებიდან, რომლებიც დროზე არ ეწევიან სახსრების გადარიცხვას გეგმით გათვალისწინებული არაცენტრალიზებული ღონისძიებებისათვის;

თ) დაამტკიცოს დებულებანი მთავარი სამმართველოს დარგობრივი, ფუნქციონალური სამმართველოებისა და განყოფილებების, უწყებრივი არბიტრაჟის შესახებ, აგრეთვე მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციებისა და საწარმოების შესახებ.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველო იმყოფება სამეურნეო ანგარიშზე და მისი შენახვა ხდება იმ ანარიცხების ხარჯზე, რომლებიც შეიტანება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების პროდუქციისა და მომსახურების თვითღირებულებაში.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოს სათავეში უდგას მთავარი სამმართველოს უფროსი.

მთავარი სამმართველოს უფროსს და მის მოადგილეებს დანიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველოს უფროსი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) ხელმძღვანელობას უწევს მთავარ სამმართველოს [illegible]მი დაქვემდებარებული სამმართველოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობას;

ბ) მოქმედი კანონების, სსრ კავშირის მთავრობის და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებისა და განკარგულებების საფუძველზე და მათ შესასრულებლად გამოსცემს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებებს, ინსტრუქციებს და შეამოწმებს მათს შესრულებას;

გ) გააუქმებს დაქვემდებარებული რესპუბლიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ბრძანებებსა და ინსტრუქციებს და შეაჩერებს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოების ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, რასაც აცნობებს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, თუ ეს ბრძანებები ან ინსტრუქციები ეწინააღმდეგებიან კანონებს, სსრ კავშირის მთავრობის და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებსა და განკარგულებებს ან მთავარ სამმართველოს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს;

დ) დანიშნავს და დაითხოვს მთავარი სამმართველოს ცენტრალური აპარატის, მისდამი დაქვემდებარებული რესპუბლიკური ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელ მუშაკებს, აგრეთვე ავტონომიურ რესპუბლიკებთან, ავტონომიურ ოლქთან და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოებთან შეთანხმებით დაამტკიცებს და გაათავისუფლებს ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის სამმართველოების, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომების სამმართველოებისა და კომბინატების ხელმძღვანელ მუშაკებს.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოში შეიქმნება კოლეგია მთავარი სამმართველოს უფროსის (კოლეგიის თავმჯდომარე), მისი მოადგილეებისა და მთავარი სამმართველოს და საწარმოების ხელმძღვანელ მუშაკთა შემადგენლობით. კოლეგიის შემადგენლობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მთავარი სამმართველოს უფროსის წარდგენით.

კოლეგია თავის სხდომებზე განიხილავს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარების, მოწინავე გამოცდილების დანერგვის საკითხებს, მთავარ სამმართველოსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციებისა და საწარმოების პრაქტიკული ხელმძღვანელო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის საკითხებს, კადრების შერჩევისა და განაწილების საკითხებს, უმნიშვნელოვანესი ღონისძიებებისა და სახელმძღვანელო ინსტრუქციების პროექტებს, მოისმენს ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქისა და ქალაქების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოების, მთავარ სამმართველოსადმი დაქვემდებარებული რესპუბლიკური ორგანიზაციებისა და საწარმოების ანგარიშებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში ტარდება მთავარი სამმართველოს უფროსის ბრძანებებით. მთავარი სამმართველოს უფროსსა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში მთავარი სამმართველოს უფროსი ცხოვრებაში გაატარებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილ უთანხმოებათა შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

კოლეგიის წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ აპელაციით მიმართონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოსთან შეიქმნება სათათბირო ორგანოების უფლებებით ტექნიკური საბჭო, რომლის შემადგენლობას დაამტკიცებს მთავარი სამმართველოს უფროსი, უწყებრივი არბიტრაჟი, აგრეთვე საექსპერტო საბჭო, მშენებლობის პროექტების, ხარჯთაღრიცხვებისა და გეგმურ დავალებათა განსახილველად.

11. ნოვატორ მუშათა, ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა მოწინავე გამოცდილების რაც შეიძლება უკეთ გამოყენების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველო პერიოდულად მოიწვევს დადგენილი წესით აქტივის თათბირებს, რომლებზედაც მოისმენენ მოხსენებებს პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა შესახებ, მათი შესრულების ღონისძიებებს, ტექნიკური პროგრესის, საწარმოო და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის საკითხებს.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველოს აპარატის სტრუქტურასა და შტატებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოს აქვს შტამპი და ბეჭედი, რომლებზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და თავისი დასახელება.

---

**185** **ახალშექმნილი ადმინისტრაციული რაიონების მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების შტატების დამტკიცების შესახებ**

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 23 ნოემბრის ბრძანებულებით შექმნილია 7 ახალი ადმინისტრაციული რაიონი — მცხეთის, საგარეჯოს, გულრიფშის, ახმეტის, ორჯონიკიძის, ჩოხატაურისა და წალენჯიხის რაიონები, — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს მცხეთის, საგარეჯოს, გულრიფშის, ახმეტის, ორჯონიკიძის, ჩოხატაურისა და წალენჯიხის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების და ამ აღმასკომების განყოფილებათა შტატები და მუშაკთა თანამდებობრივი განაკვეთები 234 ერთეულის რაოდენობით, № 1 დანართის თანახმად.

ხელფასის ფონდის გადახარჯვის თავიდან აცილების მიზნით დაწესდეს, რომ აღმასკომების შტატის 50 პროცენტი უნდა დაკომპლექტდეს არა უადრეს 1963 წლის 15 დეკემბრისა.

მიეკუთვნონ საბჭოთა მუშაკების შრომის ანაზღაურების მხრივ მცხეთის, საგარეჯოს და გულრიფშის, რაიონები პირველ ჯგუფს, ხოლო ახმეტის, ორჯონიკიძის, ჩოხატაურისა და წალენჯიხის რაიონები — მესამე ჯგუფს, ამასთან ამ რაიონების მიკუთვნება შრომის ანაზღაურების ჯგუფებზე შეთანხმებულ იქნას სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან.

2. შემცირდეს მშრომელთა დეპუტატების იმ რაიონული საბჭოების აღმასკომების და მათი განყოფილებების მოქმედი შტატები, რომლებიდანაც გამოიყოფა ამ დადგენილების 1 მუხლში აღნიშნული ადმინისტრაციული რაიონები, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების ზოგიერთი აღმასკომის და სხვა უწყებების შტატები, № 2 დანართის თანახმად.

3. ქალაქ საგარეჯოს რაიონული დაქვემდებარების ქალაქად გარდაქმნასთან დაკავშირებით, გაუქმდეს საგარეჯოს მშრომელთა

დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის შტატი 20 ერთეულის რაოდენობით ხელფასის 1.323 მანეთის თვიური ფონდით.

4. დამტკიცდეს საგარეჯოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშაკთა შტატები და თანამდებობრივი განაკვეთები 5 ერთეულის რაოდენობით ხელფასის 255 მანეთის თვიური ფონდით, № 3 დანართის თანახმად.

5. გაუქმდეს ლანჩხუთის, ლენინგორის, გალის, დუშეთის, ოჩამჩირისა და თელავის მშრმელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა განთავისუფლებული მოადგილეების თანამდებობანი.

ზემოაღნიშნული რაიონების აღმასკომების თავმჯდომარეთა მოადგილეების მოვალეობანი დაეკისროთ ერთ-ერთი განყოფილების გამგეს.

6. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების ახლშექმნილი აღმასკომების ხელფასის დანაკლისი ფონდის დასაფარავად და საშტატო ერთეულების შესავსებად დაისვას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე საკითხი რესპუბლიკაში სასოფლო საბჭოების გამსხვილების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. **ჯავახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი**.

ქ. თბილისი, 1963 წ. 27 ნოემბერი, № 733.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 27 ნოემბრის № 733
დადგენილების დანართი № 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საშტატო განრიგი

### მშრომელთა დეპუტატების ახალშექმნილი რაიონული საბჭოების აღმასკომებისა და მათი განყოფილებებისა

| სტრუქტურული ქვეგანაყოფები და საშტატო ერთეულები | მცხეთის | | საგარეჯოს | | გულრიფშის | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | შტატი | თანამდებობრივი განაკვეთები | შტატი | თანამდებობრივი განაკვეთები | შტატი | თანამდებობრივი განაკვეთები |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| **I. აღმასკომის აპარატი** | | | | | | |
| 1. აღმასკომის თავმჯდომარე | 1 | 210 | 1 | 210 | 1 | 210 |
| 2. თავმჯდომარის მოადგილე | 1 | 150 | 1 | 150 | 1 | 150 |
| 3. აღმასკომის მდივანი | 1 | 88 | 1 | 88 | 1 | 88 |
| 4. სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსი | 1 | 80 | 1 | 80 | 1 | 80 |
| სულ | 4 | 528 | 4 | 528 | 4 | 528 |
| **II. საორგანიზაციო განყოფილება** | | | | | | |
| 1. განყოფილების გამგე | 1 | 55 | 1 | 55 | 1 | 55 |
| 2. ინსტრუქტორი | 2 | 36/72 | 2 | 36/72 | 2 | 36/72 |
| სულ | 3 | 127 | 3 | 127 | 3 | 127 |

| სტრუქტურული ქვედანაყოფები და საშტატო ერთეულები | ახმეტის | | ორჯონიკიძის | | ჩოხატაურის | | წალენჯიხის | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | შტატი | თანამდებობრივი განაკვეთები | შტატი | თანამდებობრივი განაკვეთები | შტატი | თანამდებობრივი განაკვეთები | შტატი | თანამდებობრივი განაკვეთები |
| 1 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 |
| **I. ალმასკომის აპარატი** | | | | | | | | |
| 1. ალმასკომის თავმჯდომარე | 1 | 180 | 1 | 180 | 1 | 180 | 1 | 180 |
| 2. თავმჯდომარის მოადგილე | — | — | — | — | — | — | — | — |
| 3. ალმასკომის მდივანი | 1 | 69 | 1 | 69 | 1 | 69 | 1 | 69 |
| 4. სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსი | — | — | — | — | — | — | — | — |
| სულ | 2 | 249 | 2 | 249 | 2 | 249 | 2 | 249 |
| **II. საორგანიზაციო განყოფილება** | | | | | | | | |
| 1. განყოფილების გამგე | 1 | 55 | 1 | 55 | 1 | 55 | 1 | 55 |
| 2. ინსტრუქტორი | 1 | 36 | 1 | 36 | 1 | 36 | 1 | 36 |
| სულ | 2 | 91 | 2 | 91 | 2 | 91 | 2 | 91 |

| სტრუქტურული ქვეგანაყოფები და საშტატო ერთეულები | მცხეთის | | საგარეჯოს | | გურჯაანის | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | შტატი | თანამდებობრივი განაკვეთები | შტატი | თანამდებობრივი განაკვეთები | შტატი | თანამდებობრივი განაკვეთები |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| **III. საერთო განყოფილება** | | | | | | |
| 1. განყოფილების გამგე იგივე ნაწილის გამგე | 1 | 55 | 1 | 55 | 1 | 55 |
| 2. უფროსი ბუღალტერი | 1 | 60 | 1 | 60 | 1 | 60 |
| 3. არქივარიუსი—საქმისმწარმოებელი | 1 | 30 | 1 | 30 | 1 | 30 |
| 4. მდივანი-მემანქანე | 1 | 30 | 1 | 30 | 1 | 30 |
| 5. მემანქანე | 1 | 30 | 1 | 30 | 1 | 30 |
| 6. მსუბუქი მანქანის მძღოლი | 1 | — | 1 | — | 1 | — |
| 7. შიკრიკი—დამლაგებელი | 1 | 30 | 1 | 30 | 1 | 30 |
| 8. დარაჯი | 1 | 30 | 1 | 30 | 1 | 30 |
| 9. დამლაგებელი—მეცეცხლური | 1 | 30 | 1 | 30 | 1 | 30 |
| სულ | 9 | 295 | 9 | 295 | 9 | 295 |
| **IV. სახალხო განათლების განყოფილება** | | | | | | |
| 1. განყოფილების გამგე | 1 | 88 | 1 | 88 | 1 | 88 |
| 2. სკოლების ინსპექტორი | 2 | — | 1 | — | 2 | — |
| 3. უფროსი ბუღალტერი | 1 | 60 | 1 | 60 | 1 | 60 |
| 4. ბუღალტერი | 1 | 50 | 1 | 50 | 1 | 50 |
| 5. სტატისტიკოსი | 1 | 30 | 1 | 30 | 1 | 30 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



შეკ. 185

| სტრუქტურული ქვეგანაყოფები და საშტატო ერთეულები | ახმეტის | | ორჯონიკიძის | | ჩოხატაურის | | წალენჯიხის | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | შტატი | თანამდებობრივი განაკვეთები | შტატი | თანამდებობრივი განაკვეთები | შტატი | თანამდებობრივი განაკვეთები | შტატი | თანამდებობრივი განაკვეთები |
| 1 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 |
| **III. საერთო განყოფილება** | | | | | | | | |
| 1. განყოფილების გამგე იგივე ნაწილის გამგე | 1 | 55 | 1 | 55 | 1 | 55 | 1 | 55 |
| 2. უფროსი ბუღალტერი | 1 | 60 | 1 | 60 | 1 | 60 | 1 | 60 |
| 3. არქივარიუსი—საქმისმწარმოებელი | 1 | 30 | 1 | 30 | 1 | 30 | 1 | 30 |
| 4. მდივანი-მემანქანე | 1 | 30 | 1 | 30 | 1 | 30 | 1 | 30 |
| 5. მემანქანე | — | — | — | — | — | — | — | — |
| 6. მსუბუქი მანქანის მძღოლი | 1 | — | 1 | — | 1 | — | 1 | — |
| 7. შიკრიკი—დამლაგებელი | 1 | 30 | 1 | 30 | 1 | 30 | 1 | 30 |
| 8. დარაჯი | 1 | 30 | 1 | 30 | 1 | 30 | 1 | 30 |
| 9. დამლაგებელი—მეცეცხლური | 1 | 30 | 1 | 30 | 1 | 30 | 1 | 30 |
| სულ | 8 | 265 | 8 | 265 | 8 | 265 | 8 | 265 |
| **IV. სახალხო განათლების განყოფილება** | | | | | | | | |
| 1. განყოფილების გამგე | 1 | 69 | 1 | 69 | 1 | 69 | 1 | 69 |
| 2. სკოლების ინსპექტორი | 1 | — | 1 | — | 1 | — | 1 | — |
| 3. უფროსი ბუღალტერი | 1 | 60 | 1 | 60 | 1 | 60 | 1 | 60 |
| 4. ბუღალტერი | — | — | — | — | — | — | — | — |
| 5. სტატისტიკოსი | 1 | 30 | 1 | 30 | 1 | 30 | 1 | 30 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| სტრუქტურული ქვეგანაყოფები და საშტატო ერთეულები | მცხეთის | | საგარეჯოს | | გულრიფშის | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | შტატი | თანამდებობრივი განაკვეთი | შტატი | თანამდებობრივი განაკვეთები | შტატი | თანამდებობრივი განაკვეთები |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 6. მემანქანე-საქმისმწარმოებელი . . | 1 | 41 | 1 | 41 | 1 | 41 |
| სულ განყოფილებებში: | 7 | 269 | 7 | 269 | 7 | 269 |
| **V. კულტურის განყოფილება** | | | | | | |
| 1. განყოფილების გამგე . . . . . | 1 | 88 | 1 | 88 | 1 | 88 |
| 2. ინსპექტორი . . . . . . . | 1 | 60 | 1 | 60 | 1 | 60 |
| სულ . . . | 2 | 148 | 2 | 148 | 2 | 148 |
| **VI. სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება** | | | | | | |
| 1. განყოფილების გამგე . . . . . | 1 | 79 | 1 | 79 | 1 | 79 |
| 2. უფროსი ინსპექტორი . . . . . | 1 | 60 | 1 | 60 | 1 | 60 |
| 3. უფროსი ბუღალტერი . . . . . | 1 | 52–50 | 1 | 52–50 | 1 | 52–50 |
| 4. ინსპექტორი . . . . . . . . | 2 | 52–50/105 | 2 | 52–50/105 | 2 | 52–50/105 |
| 5. უფროსი ინსპექტორ-რევიზორი მარტოხელა და მრავალშვილიანი დედებისათვის დახმარების მიცემის დარგში | 1 | 57 | 1 | 57 | 1 | 57 |



შეკ. 185

| სტრუქტურული ქვეგანაყოფები და საშტატო ერთეულები | ახმეტის | | ორჯონიკიძის | | ჩოხატაურის | | წალენჯიხის | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | შტატი | თანამდებობრივი განაკვეთები | შტატი | თანამდებობრივი განაკვეთები | შტატი | თანამდებობრივი განაკვეთები | შტატი | თანამდებობრივი განაკვეთები |
| 1 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 |
| 6. მემანქანე-საქმისმწარმოებელი . . | 1 | 41 | 1 | 41 | 1 | 41 | 1 | 41 |
| სულ განყოფილებებში: | 5 | 200 | 5 | 200 | 5 | 200 | 5 | 200 |
| **V. კულტურის განყოფილება** | | | | | | | | |
| 1. განყოფილების გამგე . . . . . | 1 | 69 | 1 | 69 | 1 | 69 | 1 | 69 |
| 2. ინსპექტორი . . . . . . . | — | — | — | — | — | — | — | — |
| სულ . . . | 1 | 69 | 1 | 69 | 1 | 69 | 1 | 69 |
| **VI. სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება** | | | | | | | | |
| 1. განყოფილების გამგე . . . . . | 1 | 60 | 1 | 60 | 1 | 60 | 1 | 60 |
| 2. უფროსი ინსპექტორი . . . . . | 1 | 52—50 | 1 | 52—50 | 1 | 52—50 | 1 | 52—50 |
| 3. უფროსი ბუღალტერი . . . . . | 1 | 44 | 1 | 44 | 1 | 44 | 1 | 44 |
| 4. ინსპექტორი . . . . . . . | 1 | 52—50 | 2 | 52—50[105 | 1 | 52—50 | 1 | 52—50 |
| 5. უფროსი ინსპექტორ-რევიზორი მარტოხელა და მრავალშვილიანი დედებისათვის დახმარების მიცემის დარგში | 1 | 52—50 | 1 | 52—50 | 1 | 52—50 | 1 | 52—50 |

| სტრუქტურული ქვეგანაყოფები და საშტატო ერთეულები | მცხეთის | | საგარეჯოს | | გულრიფშის | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | შტატი | თანამდებობრივი განაკვეთები | შტატი | თანამდებობრივი განაკვეთები | შტატი | თანამდებობრივი განაკვეთები |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 6. უფროსი მოანგარიშე | 2 | 42/84 | 2 | 42/81 | 3 | 42/126 |
| 7. დამლაგებელი—შიკრიკი | 1 | 30 | 1 | 30 | 1 | 30 |
| სულ | 9 | 467—50 | 9 | 467—50 | 10 | 509—50 |
| VII. საგეგმო კომისია | | | | | | |
| კომისიის თავმჯდომარე | 1 | 88 | 1 | 88 | 1 | 88 |
| VIII. საგზაო განყოფილება | | | | | | |
| 1. განყოფილების გამგე | 1 | 88 | 1 | 88 | 1 | 88 |
| 2. ბუღალტერი | 1 | 55 | 1 | 55 | 1 | 55 |
| სულ | 2 | 143 | 2 | 143 | 2 | 143 |
| მმართველობის ბიურო | | | | | | |
| ბიუროს გამგე | 1 | 45 | 1 | 45 | 1 | 45 |
| სულ | 38 | 2.110—50 | 37 | 2.110 | 39 | 2.152 |





ეროვნული ბიბლიოთეკა

| სტრუქტურული ქვეგანაყოფები და საშტატო ერთეულები | ახმეტის | | ორჯონიკიძის | | ჩოხატაურის | | წალენჯიხის | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | შტატი | თანამდებობრივი განაკვეთები | შტატი | თანამდებობრივი განაკვეთები | შტატი | თანამდებობრივი განაკვეთები | შტატი | თანამდებობრივი განაკვეთები |
| 1 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 |
| 6. უფროსი მოანგარიშე | 1 | 36–50 | 2 | 36–50/73 | 2 | 36–50/73 | 2 | 36–50/73–00 |
| 7. დამლაგებელი—შიკრიკი | 1 | 30 | 1 | 30 | 1 | 30 | 1 | 30 |
| სულ | 7 | 328 | 9 | 417–00 | 8 | 364–50 | 8 | 364–50 |
| VII. საგეგმო კომისია | | | | | | | | |
| კომისიის თავმჯდომარე | 1 | 69 | 1 | 69 | 1 | 69 | 1 | 69 |
| VIII. საგზაო განყოფილება | | | | | | | | |
| 1. განყოფილების გამგე | 1 | 69 | 1 | 69 | 1 | 69 | 1 | 69 |
| 2. ბუღალტერი | 1 | 45 | 1 | 45 | 1 | 45 | 1 | 45 |
| სულ | 2 | 114 | 2 | 114 | 2 | 114 | 2 | 114 |
| მმაჩის ბიურო | | | | | | | | |
| ბიუროს გამგე | 1 | 41 | 1 | 41 | 1 | 41 | 1 | 41 |
| სულ | 29 | 1426 | 31 | 1.514 | 30 | 1462–50 | 30 | 1462–50 |

შენიშვნა: 1. სკოლების ინსპექტორებს თანამდებობრივი განაკვეთ[illegible] დებათ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს [illegible] აპრილის № 923 დადგენილების და სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 10 მარტის № 295 დადგენილების შესაბამისად.

2. მსუბუქი ავტომანქანების მძღოლებს თანამდებობრივი განაკვეთები დაენიშნებათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 11 აგვისტოს № 896 დადგენილების შესაბამისად.

3. ახმეტის, ორჯონიკიძის, ჩოხატაურის და წალენჯიხის რაიონებში აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობა ეკისრება ერთ-ერთი განყოფილების გამგეს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 27 ნოემბრის № 733
დადგენილების დანართი № 2

## სია

### თანამდებობებისა, რომლებიც ახალი რაიონების შექმნასთან დაკავშირებით მცირდება მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებსა და სხვა დაწესებულებებში

| საქალაქო და რაიონული აღმასკომები და შესამცირებელი საშტატო ერთეულები | საშტატო ერთეულების რაოდენობა | ხელფასის თვიური ფონდი |
|---|---|---|
| **1. საგარეჯოს საქალაქო საბჭოს აღმასკომში:** | 20 | 1323 |
| **2. დუშეთის რაისაბჭოს აღმასკომში:** | | |
| საორგანიზაციო განყ. ინსტრუქტორი | 1 | 36 |
| სკოლების ინსპექტორი | 2 | 105/210 |
| კულტურის განყოფილების ბუღალტერი | 1 | 60 |
| სოცუზრუნველყოფის განყოფილებაში | | |
| 1. ინსპექტორი | 1 | 52 მ. 50 კ. |
| 2. უფრ. მოანგარიშე | 2 | 42/84 |
| საგეგმო განყოფილების უფროსი ეკონომისტ-მგეგმავი | 1 | 67 |
| მმაჩის ბიუროს საქმისმწარმოებელი | 1 | 36 |
| სულ | 9 | 545—50 |
| **3. გორის რაისაბჭოს აღმასკომში:** | | |
| საორგანიზაციო განყოფილების ინსპექტორი | 1 | 36 |
| აღმასკომის დარაჯი | 1 | 30 |
| სკოლების ინსპექტორი | 2 | 105/210 |
| კულტურის განყოფილების ბუღალტერი | 1 | 60 |
| სოცუზრუნველყოფის განყოფილებაში: | | |
| ინსპექტორი | 2 | 52—50/105 |
| ინსპექტორი მრავალშვილიანი დედებისათვის დახმარების მიცემის დარგში | 1 | 52—50 |
| უფროსი მოანგარიშე | 2 | 42/84 |
| სულ | 10 | 577 მ. 50 კ. |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| საქალაქო და რაიონული აღმასკომები და შესამცირებელი საშტატო ერთეულები | საშტატო ერთეულების რაოდენობა | თვიური ფონდი |
|---|---|---|
| **4. კასპის საქალაქო აღმასკომში** | | |
| აღმასკომის ბუღალტერი . . . . . . . . | 1 | 50 |
| **5. გურჯაანის რაიაღმასკომში:** | | |
| საორგანიზაციო განყოფილების ინსპექტორი . . | 2 | 36/72 |
| სკოლების ინსპექტორი . . . . . . . . . | 2 | 105·210 |
| კულტურის განყოფილების ბუღალტერი . . . | 1 | 60 |
| სოცუზრუნველყოფის განყოფილებაში: | | |
| ინსპექტორი . . . . . . . . . . | 1 | 52 - 50 |
| მთანგარიშე . . . . . . . . . . | 2 | 42/84 |
| მმართველობის ბიუროს საქმისმწარმოებელი . . . . | 1 | 36 |
| ს ულ . . . . . . . . | 9 | 514 მ. 50 კ. |
| **6. ოჩამჩირის რაისაბჭოს აღმასკომში:** | | |
| საორგანიზაციო განყოფილების ინსპექტორი . . | 2 | 36/72 |
| სკოლების ინსპექტორი . . . . . . . . . | 4 | 105/210 |
| სახალხო განათლების განყოფილების ბუღალტერი | 1 | 55 |
| კულტურის განყოფილების ბუღალტერი . . . | 1 | 60 |
| სოცუზრუნველყოფის განყოფილებაში: | | |
| ინსპექტორი . . . . . . . . . | 2 | 52 - 50/105 |
| უფროსი მთანგარიშე . . . . . | 3 | 42/126 |
| ინსპექტორი მრავალშვილიანი დედებისათვის დახმარების მიცემის დარგში | 1 | 48 - 50 |
| ბუღალტერ-კონტროლიორი . . . | 1 | 48 |
| საქმისმწარმოებელი . . . . . . | 1 | 60 |
| საგეგმო განყ. უფროსი ეკონომისტ-მგეგმავი . . | 1 | 75 |
| ს უ ლ . . . . . . . | 17 | 1039 - 50 |
| **7. თელავის რაისაბჭოს აღმასკომში:** | | |
| საორგანიზაციო განყოფილების ინსპექტორი . . | 1 | 36 |
| სკოლების ინსპექტორი . . . . . . . . . | 2 | 105/210 |
| კულტურის განყოფილების ბუღალტერი . . . | 1 | 60 |
| სოცუზრუნველყოფის განყოფილებაში: | | |
| ინსპექტორი . . . . . . . . . | 1 | 52 - 50 |
| უფროსი მთანგარიშე . . . . . . . | 1 | 42 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| საქალაქო და რაიონული აღმასკომები და შესამცირებელი საშტატო ერთეულები | საშტატო ერთეულების რაოდენობა | ყოველ- თვიური ფონდი |
|---|---|---|
| საგეგმო განყოფილების უფროსი ეკონომისტ-მგეგმავი . . . . . . . . . . . . . . | 1 | 75 |
| ს უ ლ . . . . . . . | 7 | 475 – 50 |
| **8. ზესტაფონის რაისაბჭოს აღმასკომში:** | | |
| საორგანიზაციო განყოფილების ინსპექტორი . | 2 | 36 72 |
| სკოლების ინსპექტორი . . . . . . . . | 1 | 105 |
| კულტურის განყოფილების ბუღალტერი . . . | 1 | 60 |
| სოცუზრუნველყოფის განყოფილებაში: | | |
| ინსპექტორი . . . . . . . . . | 2 | 52 – 50/105 |
| ბუღალტერ-კონტროლიორი . . . . | 1 | 48 |
| უფროსი მოანგარიშე . . . . . . | 3 | 42/126 |
| საქმისმწარმოებელი . . . . . . | 1 | 30 |
| ს უ ლ . . . . . . . | 11 | 546 |
| **9. მახარაძის რაისაბჭოს აღმასკომში:** | | |
| საორგანიზაციო განყოფილების ინსპექტორი . . | 1 | 36 |
| დარაჯი . . . . . . . . . . . . . . . . | 1 | 30 |
| სკოლების ინსპექტორი . . . . . . . . . | 1 | 105 |
| კულტურის განყოფილების ბუღალტერი . . . | 1 | 60 |
| სოცუზრუნველყოფის განყოფილებაში: | | |
| ინსპექტორი . . . . . . . . . . | 1 | 52 – 50 |
| ბუღალტერ-კონტროლიორი . . . . | 1 | 48 |
| უფროსი მოანგარიშე . . . . . . | 3 | 42 – 126 |
| ს უ ლ . . . . . . . | 9 | 457 – 50 |
| **10. ზუგდიდის რაისაბჭოს აღმასკომში:** | | |
| საორგანიზაციო განყოფილების ინსპექტორი . . | 2 | 36/72 |
| სკოლების ინსპექტორი . . . . . . . . . | 2 | 105/210 |
| კულტურის განყოფილების ბუღალტერი . . . | 1 | 60 |
| სოცუზრუნველყოფის განყოფილებაში: | | |
| ინსპექტორი . . . . . . . . . . | 1 | 52 – 50 |
| ინსპექტორი მრავალშვილიანი დედებისათვის დახმარების მიცემის დარგში | 1 | 52 – 50 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| საქალაქო და რაიონული აღმასკომები და შესამცირებელი საშტატო ერთეულები | საშტატო ერთეულების რაოდენობა | ხელფასის თვიური ფონდი |
|---|---|---|
| ბუღალტერ-კონტროლიორი . . . | 1 | 48 |
| უფროსი მოანგარიშე . . . . . . | 2 | 42/84 |
| სულ . . . . . . | 10 | 579 |
| 11. უფროსი ეკონომისტები რაიაღმასკომების საგეგმო კომისიებში (ყველა რაიონში) . . . . . | 20 | 1415 |
| 12. ლანჩხუთის, ლენინგორის, გალის, დუშეთის, ოჩამჩირის, თელავის აღმასკომების თავმჯდომარეების მოადგილეები . . . . . . . . . | 6 | 560 |
| 13. კულტურის განყოფილებათა ბუღალტრები . . | 32 | 1850 |
| **14. თბილისის საქალაქო აღმასკომის კულტურის განყოფილების შტატი:** | | |
| კულტურის განყოფილების გამგის მოადგილე . . . . . . . . . | 1 | 117 |
| უფროსი ინსპექტორი . . . . . . | 1 | 69 |
| ინსპექტორი . . . . . . . . | 1 | 60 |
| ბუღალტერი . . . . . . . . | 1 | 60 |
| ინჟინერი . . . . . . . . . | 1 | 69 |
| ბუღალტერ-რევიზორი . . . . . . | 1 | 69 |
| უფროსი ბუღალტერი . . . . . . | 1 | 69 |
| დისპეტჩერი . . . . . . . . | 1 | 64 |
| სულ . . . . . . | 8 | 577 |
| **15. ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილება** | | |
| უფროსი ინსპექტორი . . . . . | 1 | 69 |
| **16. ქიათურის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილება** | | |
| ბუღალტერი . . . . . . . . . | 1 | 60 |
| **17. გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილება** | | |
| ბუღალტერი . . . . . . . . . | 1 | 60 |
| **18. სოხუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილება** | | |
| უფროსი ბუღალტერი . . . . . . . | 1 | 60 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| საქალაქო და რაიონული აღმასკომები და შესამცირებელი საშტატო ერთეულები | საშტატო ერთეულების რაოდენობა | ხელფასის თვიური ფონდი |
|---|---|---|
| **19. აფხაზეთის ასსრ კულტურის სამინისტრო** | | |
| უფროსი ინჟინერი . . . . . . . | 1 | 79 |
| უფროსი ეკონომისტი . . . . . . | 1 | 64 |
| უფროსი ბუღალტერ-რევიზორი . . | 1 | 60 |
| ინსპექტორი კადრების დარგში . . | 1 | 69 |
| სულ . . . . . . . | 4 | 272 |
| **20. აჭარის ასსრ კულტურის სამინისტრო** | | |
| უფროსი ინსპექტორი . . . . . . | 1 | 79 |
| უფროსი ეკონომისტი . . . . . . | 1 | 64 |
| ინსპექტორი კადრების დარგში . . | 1 | 69 |
| ბუღალტერი . . . . . . . . . | 1 | 60 |
| სულ . . . . . . . | 4 | 272 |
| **21. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კულტურის განყოფილება** | | |
| დისპეტჩერი . . . . . . . . . | 1 | 60 |
| უფროსი ბუღალტერი . . . . . . | 1 | 60 |
| სულ . . . . . . . | 2 | 120 |
| 22. ინსტრუქტორის თითო თანამდებობა ამბროლაურის, ბოლნისის, გარდაბნის, გუდაუთის, სიღნაღის, წყალტუბოს, ხაშურის რაისაბჭოების აღმასკომების საორგანიზაციო განყოფილებებში . | 7 | 36/252 |
| 23. საგზაო განყოფილების ინჟინრის თითო თანამდებობა ყველა რაიონში . . . . . . . . | 30 | 2034 |
| 24. ზოგიერთი სასოფლო საბჭოს აღმასკომების გამსხვილების შედეგად მიღებული ეკონომია . . | 27 | 1220 |
| სულ რესპუბლიკაში: . . | 247 | 14929 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 27 ნოემბრის № 731
დადგენილების დანართი № 3

## საშტატო განრიგი

### საგარეჯოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომისა

| | საშტატო ერთეულების რაოდენობა | თანამდებობრივი განაკვეთი |
|---|---|---|
| აღმასკომის თავმჯდომარე | 1 | 75 |
| აღმასკომის მდივანი | 1 | 60 |
| ბუღალტერი | 1 | 45 |
| საქმისმწარმოებელი-მემანქანე | 1 | 45 |
| შიკრიკი-დამლაგებელი | 1 | 30 |
| სულ | 5 | 255 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე დ. ქიტიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**186** **ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს იმის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ, რომ გადასცეს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებისა და სხვა ორგანიზაციების განკარგულებაში საცხოვრებელი ფართობი ლიანდაგის სამანქანო სადგურებისათვის აშენებულ სახლებში**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

განთავისუფლდეს, როგორც გამონაკლისი, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო იმისაგან, რომ გადასცეს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების და სხვა ორგანიზაციების განკარგულებაში საცხოვრებელი ფართობი იმ სახლებში, რომლებიც აშენებულია ლიანდაგის სამანქანო სადგურების მუშაკებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1963 წ. 29 ნოემბერი, № 734

**187** **სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 29 ოქტომბრის № 1107 დადგენილება „სსრ კავშირში სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის შესახებ“ და ამავე დადგენილებით დამტკიცებული „დებულება სსრ კავშირში სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის შესახებ“ დაეგზავნოთ სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს.

2. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში შემოღებულ იქნას მთავარი სანიტარული ექი-

მის — მინისტრის მოადგილის თანამდებობა, ნაცვლად მთავარი სახელმწიფო სანიტარული ინსპექტორის — მინისტრის მოადგილის თანამდებობისა.

3. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს მიიღონ ზომები სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის (სადგომების გამოყოფა და რემონტი, საავტომობილო ტრანსპორტით უზრუნველყოფა და ა. შ.), აგრეთვე იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნან კადრები საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობებით.

4. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს:

ა) მიიღოს ზომები სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის ორგანოებისა და დაწესებულებების დასაკომპლექტებლად ექიმებით, მათი მომზადების გაუმჯობესებისა და სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის (მოწყობილობით, აპარატურით, სპეციალური ინვენტარით, ავტოტრანსპორტით უზრუნველყოფა და ა. შ.);

ბ) მკვეთრად გააძლიეროს სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობა იმ ღონისძიებათა განხორციელებისადმი, რომელთა მიზანია გარემოს (წყალსატევების, ნიადაგის, ატმოსფერული ჰაერის) გაბინძურების ლიკვიდაცია და თავიდან აცილება, მოსახლეობის შრომის პირობების, სწავლებისა და ყოფა-ცხოვრების გაჯანსაღება, აგრეთვე კონტროლი გაუწიოს დაავადების თავიდან აცილების ღონისძიებათა მოწყობასა და განხორციელებას.

5. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროებმა ორი თვის ვადაში შეიმუშაონ და დაგზავნონ ერთობლივი საინსტრუქციო წერილი იმის შესახებ, თუ რა ფუნქციები უნდა შეასრულონ სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ორგანოებმა დასახლებული ადგილების, ობიექტების სანიტარული მდგომარეობისადმი კონტროლის ხაზით და მილიციამ იმ მხრივ, რომ დახმარება გაუწიოს სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ორგანოებს თავიანთ მოვალეობათა შესრულებაში.

6. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 11 აპრილის № 406 დადგენილება „სახელმწიფო

სანიტარული ინსპექციისა და სანიტარულ-ეპიდემიისსაწინააღმდეგო სამსახურის ორგანოების შესახებ“.

ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1963 წ. 29 ნოემბერი, № 737.

ასლი

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

## დადგენილება № 1107

**1963 წლის 29 ოქტომბერი**

მოსკოვი, კრემლი

**სსრ კავშირში სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის შესახებ**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ იმისადმი სახელმწიფო სანიტარულ ზედამხედველობას, რომ სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა, უწყებებმა, სახალხო მეურნეობის საბჭოებმა, საწარმოებმა, ორგანიზაციებმა, დაწესებულებებმა და მოქალაქეებმა დაიცვან ჰიგიენური ნორმები, სანიტარულ-ჰიგიენური და სანიტარულ-ეპიდემიისსაწინააღმდეგო წესები, ახორციელებენ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის ორგანოები და დაწესებულებები.

2. დამტკიცდეს თანდართული დებულება სსრ კავშირში სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის შესახებ.

3. „სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის ფუნქციებისა და სტრუქტურის შეცვლის შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 9 იანვრის № 42 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად, შეიქმნას სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის შემა-

დგენლობაში მთავარი სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამმართვე-ლო, ნაცვლად სახელმწიფო სანიტარული ინსპექციისა [illegible]-ლი უშიშროებისა და განსაკუთრებით საშიში ინფექციების განყოფილებებით.

4. დაწესდეს, რომ მშენებლობის პროექტებისა და დაპროექტების ნორმების დამტკიცება იწარმოებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაბამისად სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ან მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის ორგანოების (დაწესებულებების) დადებითი დასკვნა.

5. გზათა სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის, მოკავშირე რესპუბლიკების საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროების ობიექტებზე და სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქალაქებისა და სასწავლო ცენტრების ტერიტორიაზე განლაგებულ ობიექტებზე სანიტარულ ზედამხედველობას ახორციელებენ ამ სამინისტროებისა და უწყებების სამედიცინო სამსახურები სსრ კავშირში სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის დებულების 6, 7 და 8 მუხლების შესაბამისად, აგრეთვე სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ჰიგიენური ნორმების, წესების, ინსტრუქციებისა და მეთოდური მითითებების შესაბამისად.

6. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, გზათა სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარ სამმართველოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს მიიღონ ზომები სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის (შენობათა მშენებლობა, სადგომების გამოყოფა, ავტოტრანსპორტით უზრუნველყოფა და ა. შ.), აგრეთვე იმისათვის, რომ დაკომპლექტებულ იქნან ამ სამსახურის ორგანოები და დაწესებულებები ექიმებით, საშუალო სამედიცინო პერსონალითა და სხვა სპეციალისტებით.

7. გზათა სამინისტრომ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარ სამმართველომ, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტრომ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა და

მოკავშირე რესპუბლიკების საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროებმა დაამტკიცონ 1963 წელს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით დებულებანი დაქვემდებარებულ ობიექტებზე სანიტარული ზედამხედველობის შესახებ.

8. სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან და სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომთან ერთად 3 თვის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს ღონისძიებანი, რომელთა მიზანია საზოგადოებრიობის უფრო ფართოდ მოზიდვა იმისათვის, რომ მან მონაწილეობა მიიღოს ჰიგიენური ნორმებისა და სანიტარულ-ჰიგიენური და სანიტარულ-ეპიდემიისსაწინააღმდეგო წესების დაცვისადმი კონტროლში.

9. დაევალოთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შეიმუშაონ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინონ წინადადებანი იმის შესახებ, რომ გადიდდეს 1964-1965 წლებში წარმოება სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის საჭიროებისათვის ლაბორატორიული მოწყობილობისა, აპარატებისა, ხელსაწყოებისა და რეაქტივებისა, აგრეთვე სპეციალური ტიპის ავტომობილებისა და სანიტარული კატარღებისა მოძრავი ლაბორატორიებისათვის და ინფექციურ ავადმყოფთა გადასაყვანად.

10. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი: 1949 წლის 21 ნოემბრისა № 5272 „სრულიად საკავშირო სახელმწიფო სანიტარული ინსპექციისა და სანიტარულ-ეპიდემიისსაწინააღმდეგო სამსახურის ორგანოების შესახებ“, 1951 წლის 23 იანვრისა № 199 „სსრ კავშირის სანიტარულ-ეპიდემიისსაწინააღმდეგო სამსახურის შესახებ“ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განკარგულებანი: 1950 წლის 5 მაისისა № 6684, 1952 წლის 21 ოქტომბრისა № 27508, 1954 წლის 13 ნოემბრისა № 12309, 1955 წლის 20 ივნისისა № 4910.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **გ. სტეპანოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 29 ოქტომბრის № 1107
დადგენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## სსრ კავშირში სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის შესახებ

1. სსრ კავშირში სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ძირითადი ამოცანაა კონტროლი გაუწიოს იმ ღონისძიებათა განხორციელებას, რომელთა მიზანია გარემოს (წყალსატევების, ნიადაგისა და ატმოსფერული ჰაერის) მავნე სამრეწველო გადანაყრითა და სამეურნეო საყოფაცხოვრებო ნარჩენებით გაბინძურების ლიკვიდაცია და თავიდან აცილება, მოსახლეობის შრომის, სწავლებისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაჯანსაღება, აგრეთვე იმას, რომ მოეწყოს და განხორციელდეს დაავადებათა თავიდან აცილებისაკენ მიმართული ღონისძიებანი.

2. სსრ კავშირში სახელმწიფო სანიტარულ ზედამხედველობას ახორციელებენ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის ორგანოები და დაწესებულებები იმისადმი გამაფრთხილებელი და მიმდინარე ზედამხედველობის ფორმით, რომ სამინისტროებმა სახელმწიფო კომიტეტებმა, უწყებებმა, სახალხო მეურნეობის საბჭოებმა, საწარმოებმა, ორგანიზაციებმა, დაწესებულებებმა და მოქალაქეებმა შეასრულონ დაწესებული ჰიგიენური ნორმები, სანიტარულ-ჰიგიენური და სანიტარულ-ეპიდემიისსაწინააღმდეგო წესები.

3. სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ სამსახურს, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო სანიტარულ-ზედამხედველობას, სათავეში უდგანან შესაბამისად:

სსრ კავშირის მთავარი სანიტარული ექიმი — სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის, მოადგილე;

მოკავშირე რესპუბლიკების მთავარი სანიტარული ექიმები — მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილეები;

ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ოკრუგების, ქალაქების, რაიონული დაყოფის მქონე ქალაქების რაიონების

მთავარი სანიტარული ექიმები — ავტონომიური რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილეები ან ჯანმრთელობის დაცვის შესაბამის განყოფილებათა გამგის მოადგილეები სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ საკითხებზე;

სასოფლო რაიონების მთავარი სანიტარული ექიმები — რაიონების მთავარი ექიმების მოადგილეები სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ საკითხებზე;

აუზების, ნავსადგურებისა და წყალთა ტრანსპორტის სახაზო უბნების მთავარი სანიტარული ექიმები.

სსრ კავშირის მთავარ სანიტარულ ექიმს დანიშნავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ოკრუგების, რაიონული დაყოფის მქონე ქალაქების რაიონების, სასოფლო რაიონების, აუზების, ნავსადგურებისა და სახაზო უბნების მთავარ სანიტარულ ექიმებს დანიშნავენ შესაბამისად მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები და მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო, რაიონული საბჭოების აღმასკომები ჯანმრთელობის დაცვის ზემდგომ ორგანოებთან შეთანხმებით.

4. იმ სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის ორგანოებისა და დაწესებულებების სისტემაში, რომელიც სახელმწიფო სანიტარულ ზედამხედველობას ახორციელებს, შედიან:

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამმართველო;

მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მთავარი სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამმართველოები, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკებში, რომლებსაც საოლქო დაყოფა არა აქვთ, — მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამმართველოები;

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ოკრუგების, ქალაქების და რაიონული დაყოფის მქონე ქალაქების რაიონების, სასოფლო რაიონების, აუზების, ნავსადგურებისა და წყალთა ტრანსპორტის სახაზო უბნების სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურები;

სასოფლო რაიონების რაიონული საავადმყოფოების სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური განყოფილებები.

5. სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის სფეროში:

ა) შეიმუშავებს და დაამტკიცებს სსრ კავშირის მოქმედი კანონებისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების საფუძველზე, ჰიგიენურ ნორმებს, სანიტარულ-ჰიგიენურ და სანიტარულ-ეპიდემიისსაწინააღმდეგო წესებს ჰიგიენისა და ეპიდემიოლოგიის ყველა საკითხზე, რომელთა შესრულება სავალდებულოა ყველა სამინისტროსა, სახელმწიფო კომიტეტისა, უწყებებისა, სახალხო მეურნეობის საბჭოებისა, საწარმოებისა, ორგანიზაციებისა, დაწესებულებებისა და მოქალაქეებისათვის;

ბ) განახორციელებს იმისადმი კონტროლს, რომ დაცულ იქნას მშენებლობის საერთო-საკავშირო ტიპობრივ პროექტებსა და დაპროექტების ნორმებში ჰიგიენური ნორმების მოთხოვნები და მისცემს სათანადო დასკვნებს;

გ) განახორციელებს კონტროლს იმ ბაქტერიული, ვირუსული, რიკეტსიოზური, დიაგნოსტიკური პრეპარატების, ვაქცინებისა და შრატების ხარისხისადმი, რომლებსაც ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებისათვის უშვებენ;

დ) ხელმძღვანელობას გაუწევს მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის, სხვა სამინისტროებისა და უწყებების საექიმო-სანიტარული სამსახურების (გარდა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროსი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და მოკავშირე რესპუბლიკების საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროებისა) ორგანოების მუშაობას მათ მიერ სანიტარული ზედამხედველობისა და ეპიდემიისსაწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელებისათვის, აგრეთვე კონტროლს გაუწევს ამ მუშაობას.

6. სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის ორგანოები და დაწესებულებები განახორციელებენ იმისადმი სახელმწიფო კონტროლს, რომ:

ა) საწარმოებმა, დაწესებულებებმა, ორგანიზაციებმა და მოქალაქეებმა შეასრულონ სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების გადაწყვეტილებანი სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ საკითხებზე, პროფილაქტიკური ღონისძიებანი, ჰიგიენური ნორმები, სანიტარულ-ჰიგიენური და სანიტარულ-ეპიდემიისსაწინააღმდეგო წესები, მოთხოვნები, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ჯანმ-

რთელობის დაცვის სამინისტროების და ჯანმრთელობის [illegible] გილობრივი ორგანოების ბრძანებები და ინსტრუქციებ

ბ) შესრულდეს ღონისძიებანი, რომელთა მიზანია პროფესიულ და ინფექციურ დაავადებათა თავიდან აცილება და ლიკვიდაცია, სსრ კავშირის ტერიტორიის სანიტარული დაცვა საკარანტინო და სხვა ინფექციურ დაავადებათა შემოტანისა და გავრცელებისაგან;

გ) განხორციელდეს ღონისძიებანი, რათა თავიდან იქნას აცილებული და ლიკვიდირებული მოსახლეობის სასმელად და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის გამოსაყენებელი ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების, ნიადაგისა და ატმოსფერული ჰაერის გაბინძურება მავნე სამრეწველო გადანაყრითა და სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ნარჩენებით;

დ) დაცულ იქნას ჰიგიენური ნორმები და სანიტარულ-ჰიგიენური წესები მრეწველობის განვითარების პერსპექტიული დაგეგმვის დროს, საწარმოების, კომუნალური ნაგებობებისა და სხვა ობიექტების დაპროექტების, მშენებლობის, რეკონსტრუქციის, წარმოების პროფილისა და ტექნოლოგიის შეცვლის დროს, აგრეთვე დასახლებული ადგილების დაგეგმვისა და განაშენიანების, საცხოვრებელი სახლების, საზოგადოებრივი და სხვა შენობების მშენებლობის დროს და აძლევენ დასკვნებს ამ საკითხებზე;

ე) განხორციელდეს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის რადიაციულ უშიშროებას;

ვ) განხორციელდეს ღონისძიებანი მოსახლეობაში სანიტარული კულტურის პროპაგანდისათვის.

7. სსრ კავშირის მთავარ სანიტარულ ექიმს, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარ სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამმართველოს უფროსს და უფროსის მოადგილეს, მოკავშირე რესპუბლიკების მთავარ სანიტარულ ექიმებს, მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მთავარი სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამმართველოებისა და სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამმართველოების უფროსებს და უფროსთა მოადგილეებს. ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ოკრუგების, ქალაქების, რაიონული დაყოფის ქალაქების რაიონების, სასოფლო რაიონების, აუზების, ნავსადგურებისა და წყალთა ტრანსპორტის სახაზო უბნების მთავარ სანიტარულ ექიმებს შესაბამისად ენიჭებათ უფლება:

ა) აძლიონ სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს, უწყებებს, სახალხო მეურნეობის საბჭოებს, საწარმოთა ორგანიზაციათა

და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, აგრეთვე ცალკეულ მოქალაქეებს მათთვის სავალდებულო წინადადებანი სანიტარულ-ჰიგიენური და ეპიდემიისსაწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარების შესახებ, მათი შესრულების ვადების აღნიშვნით;

ბ) აძლიონ სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს, უწყებებს, სახალხო მეურნეობის საბჭოებს, საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, მოქმედ ჰიგიენურ ნორმებსა, სანიტარულ-ჰიგიენურ და სანიტარულ-ეპიდემიისსაწინააღმდეგო წესებზე დამყარებული სავალდებულო დასკვნები;

დასახლებული ადგილების დაგეგმვის, განაშენიანებისა და კეთილმოწყობის პროექტებზე;

რაიონული დაგეგმვის პროექტებსა და მრეწველობის განლაგების პერსპექტიულ გეგმებზე;

სამრეწველო, კომუნალური, ჰიდროტექნიკური, საბინაო-სამოქალაქო, სატრანსპორტო და სხვა სახის მშენებლობის დაპროექტების ნორმებსა და პროექტებზე;

ყველა სახის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის პროექტებსა და წყალსაღები ადგილების განსაზღვრისა და ჩამდინარე წყლების გაშვების პირობების საკითხებზე;

სამრეწველო საწარმოების რეკონსტრუქციის, გაფართოების, წარმოების პროფილისა და ტექნოლოგიის შეცვლის პროექტებზე;

ახალი სახის ნედლეულის, სასმელი წყლის, კვების პროდუქტების და სამრეწველო ნაკეთობათა სახელმწიფო სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების პროექტებზე, რომლებიც უნდა დაინერგოს წარმოებაში და რომლებსაც შეუძლიათ მავნე გავლენა მოახდინონ მომუშავეთა და მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ან გამოიწვიონ გარემოს გაბინძურება;

სერიული გამოშვებისათვის განკუთვნილი ახალი სახის ტექნოლოგიური მოწყობილობისა და სამუშაო ინსტრუმენტების, პროექტებსა და კონსტრუქციებზე, რომლებსაც სპეციალურ მოთხოვნებს უყენებენ მათი გამოყენების უვნებლობის მიმართ;

გ) აძლიონ სავალდებულო დასკვნები იმის შესახებ, თუ რამდენად შეესაბამებიან საექსპლუატაციოდ გადასაცემი საცხოვრებელი სახლები, სამოქალაქო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობები და მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, სოფლის მეურნეობის საწარმოო ობიექტები, ჰიდროტექნიკური და კომუნალური ნაგებობანი, საზოგადოებრივი კვების, ვაჭრობის საწარმოები და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა ნაგებობანი და ობიექტები მოქმედ ჰიგიენურ ნორმებსა და სანიტარულ-ჰიგიენურ წესებს;

დ) აკრძალონ მანამ, ვიდრე საჭირო სანიტარული და ეპიდემიისსაწინააღმდეგო ღონისძიებანი განხორციელდებოდეს მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, კავშირგაბმულობის მოქმედი საწარმოო ობიექტების, ჰიდროტექნიკური და კომუნალური ნაგებობების, საზოგადოებრივი კვების, ვაჭრობის საწარმოებისა და სხვა ნაგებობების, სამოქალაქო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობებისა და სხვა ობიექტების ექსპლუატაცია, აგრეთვე გემებით, მოძრავი შემადგენლობითა და თვითმფრინავებით სარგებლობა იმ შემთხვევებში, თუ დადგენილია მათი არადამაკმაყოფილებელი სანიტარული მდგომარეობა ან თუ არსებობს იმის საფრთხე, რომ ეს მავნე გავლენას მოახდენს ადამიანთა ჯანმრთელობაზე;

შეაჩერონ დაწესებული ჰიგიენური ნორმებისა და სანიტარულ-ჰიგიენური და სანიტარულ-ეპიდემიისსაწინააღმდეგო წესების დარღვევის შემთხვევებში შენობებისა და ნაგებობების მშენებლობა, მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, კავშირგაბმულობის ახალაშენებული, აღდგენილი და რეკონსტრუირებული საცხოვრებელი სახლების, სამოქალაქო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობების, საწარმოო ობიექტების ჰიდროტექნიკური და კომუნალური ნაგებობების, საზოგადოებრივი კვების, ვაჭრობის საწარმოებისა და სხვა ნაგებობებისა და ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემა.

ობიექტების ექსპლუატაციის აკრძალვისა და მშენებლობის შეჩერების შესახებ სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის თანამდებობის პირები აცნობებენ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების, სახალხო მეურნეობის, საბჭოების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებს, რომლებსაც ემორჩილებიან ობიექტები, აგრეთვე იმ ბანკებს, რომლებიც აფინანსებენ ამ ობიექტების მშენებლობასა და ექსპლუატაციას;

ე) გამოიტანონ საჭირო შემთხვევებში დადგენილებანი კვების იმ პროდუქტების მოსპობის, გადამუშავების ან სხვანაირად გამოყენების შესახებ, რომლებიც გამოუსადეგარია ადამიანის საჭმელად;

ვ) დააკისრონ საჭირო შემთხვევებში სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური პროფილის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებსა და ლაბორატორიებს, მათი დაქვემდებარების მიუხედავად, ჰიგიენური ექსპერტიზის ჩატარება;

ზ) სამუშაოდან გადააყენონ ინფექციური ავადმყოფები მათ განკურნებამდე, აგრეთვე ბაქტერიებისა და მუცლის ჰი[illegible] რებლები, თუ მათ შეუძლიათ გადასდონ ავადმყოფობა სხვ[illegible];

თ) მოითხოვონ იმ ინფექციურ ავადმყოფთა სავალდებულო ჰოსპიტალიზაცია, რომლებიც საშიშროებას წარმოადგენენ მოსახლეობისათვის იმ შემთხვევაში, თუ ისინი უარს ამბობენ ჰოსპიტალიზაციაზე;

ი) მოათავსონ კარანტინში, აგრეთვე არ დაუშვან სამუშაოზე ცალკეული პირები, რომლებსაც კონტაქტი ჰქონდათ ინფექციურ ავადმყოფებთან;

კ) მოითხოვონ იმ სადგომებისა და საგნების სავალდებულო დეზინფექცია, რომლებითაც ავადმყოფი სარგებლობდა და რომლებიც საშიშია ინფექციურ დაავადებათა გავრცელების მხრივ;

ლ) გადაწყვიტონ მოსახლეობის ან მისი ცალკეული ჯგუფების სავალდებულო პროფილაქტიკური აცრების საკითხი ჩვენების მიხედვით;

მ) დაუბრკოლებლივ დაათვალიერონ ზედამხედველობის ობიექტები დღეღამის ყოველ დროს დაწესებული ფორმის სამსახურებრივი მოწმობის წარდგენისთანავე და აძლიონ წინადადებანი გამოვლინებული სანიტარული დარღვევების აღმოფხვრის შესახებ;

ნ) მოსთხოვონ თანამდებობის პირებს ან ცალკეულ მოქალაქეებს ცნობები და დოკუმენტები, რომლებიც საჭიროა შესაბამისი ობიექტის სანიტარული და ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამოსარკვევად;

ო) აწარმოონ საკვები პროდუქტების, საგნებისა და მასალების სინჯის აღება ლაბორატორიული ანალიზისა და ჰიგიენური ექსპერტიზისათვის, აგრეთვე საკვები პროდუქტების გასინჯვა.

8. სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის თანამდებობის პირები, რომლებიც სახელმწიფო სანიტარულ ზედამხედველობას ახორციელებენ, მოვალენი არიან:

შეიტანონ მოსახლეობის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის და დაავადების შესწავლის საფუძველზე შესაბამისი ორგანოების განსახილველად წინადადებანი საჭირო გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა გატარების შესახებ;

აცნობონ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, რომ მათდამი დაქვემდებარებული მუშაკები არ იცავენ ჰიგიენურ ნორმებს, სანიტარულ-ჰიგიენურ და სანიტარულ-

ეპიდემიისსაწინააღმდეგო წესებსა და ეპიდემიისსაწინააღმდეგო ღონისძიებებს, და სთხოვონ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს დამნაშავე პირებზე დისციპლინური სასჯელის დადება;

აცნობონ პარტიულ, პროფკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ჰიგიენური ნორმების, სანიტარულ-ჰიგიენური და სანიტარულ-ეპიდემიისსაწინააღმდეგო წესების დარღვევის ფაქტები დამნაშავე პირთა მიმართ საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების გამოსაყენებლად.

9. უკეთუ დისციპლინური სასჯელისა და საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომები საკმარისი არ იქნება, დამნაშავე პირებს შეიძლება დაედოთ ფულადი ჯარიმა.

დასახლებული ადგილების დაგეგმვისა და განაშენიანების, ატმოსფერული ჰაერის დაცვის, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების, ნიადაგის, რადიაციული უშიშროების, მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, კავშირგაბმულობის, სამოქალაქო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობების, საწარმოო ობიექტების, ჰიდროტექნიკური და კომუნალური ნაგებობების, საზოგადოებრივი კვების, ვაჭრობის საწარმოებისა და სხვა ნაგებობებისა და ობიექტების დაპროექტების, მშენებლობის, რეკონსტრუქციის, ექსპლუატაციისა და შენახვის სანიტარულ-ჰიგიენური და სანიტარულ-ეპიდემიისსაწინააღმდეგო წესების დარღვევისათვის ჯარიმებს დაადებენ:

სსრ კავშირის მთავარი სანიტარული ექიმი და მისი მოადგილეები — თანამდებობის პირებს 50 მანეთამდე და მოქალაქეებს — 10 მანეთამდე;

მოკავშირე რესპუბლიკების მთავარი სანიტარული ექიმები და მათი მოადგილეები — თანამდებობის პირებს 30 მანეთამდე და მოქალაქეებს — 10 მანეთამდე;

ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ოკრუგების, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების მთავარი სანიტარული ექიმები და აუზების მთავარი სანიტარული ექიმები — თანამდებობის პირებს 20 მანეთამდე და მოქალაქეებს — 10 მანეთამდე;

ქალაქებისა და რაიონების მთავარი სანიტარული ექიმები და ნავსადგურების, წყალთა ტრანსპორტის სახაზო უბნების მთავარი სანიტარული ექიმები—თანამდებობის პირებსა და მოქალაქეებს — 10 მანეთამდე;

ჯარიმების დადება და გადახდევინება, აგრეთვე ამ დებულებით გათვალისწინებული ჯარიმების დადების შესახებ გამოტანილი დად-

გენილებების გასაჩივრება წარმოებს, შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 21 ივნისის ბრძანებულებისა „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების დადების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“.

ხაჭირო შემთხვევებში სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის თანამდებობის პირებს უფლება აქვთ აღძრან პროკურატურის ორგანოების წინაშე საკითხი დამნაშავეთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

10. მთავარი სანიტარული ექიმების მოქმედება, გარდა ამ დებულების მე-9 მუხლით გათვალისწინებულისა, შეიძლება გასაჩივრებულ იქნას 5 დღის ვადაში სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის ზემდგომ თანამდებობის პირთა, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკების მთავარი სანიტარული ექიმების მოქმედება — სსრ კავშირის მთავარ სანიტარულ ექიმთან.

სსრ კავშირის მთავარი სანიტარული ექიმის მოქმედება შეიძლება გასაჩივრებულ იქნას სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრთან.

საჩივრის შეტანა ყველა შემთხვევაში ვერ შეაჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების შესრულებას.

11. სახელმწიფო სანიტარულ ზედამხედველობას ახორციელებენ სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის ორგანოები და დაწესებულებები მოსახლეობის, პროფკავშირული აქტივის, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა აქტივის, სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ და სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებთან არსებული საზოგადოებრივი საბჭოების, სამეცნიერო სამედიცინო და ტექნიკური საზოგადოებებისა და მათი სექციების ფართო მონაწილეობით.

12. სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის განხორციელების წესი განისაზღვრება აგრეთვე იმ დებულებებითა და ინსტრუქციებით, რომლებსაც სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო დაამტკიცებს.

13. სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის ორგანოებსა და დაწესებულებებს აქვთ ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია შესაბამისად სსრ კავშირის სახელმწიფო გერბი ან მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი და თავისი დასახელება.

**188** გუდაუთის № 3 საშუალო სკოლისათვის ნ. ა. ლაკობას, კულაშის საშუალო სკოლისათვის კ. თ. მკურნალის და სამტრედიის მუსიკალური სკოლისათვის დ. ბ. შანიძის სახელის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შუამდგომლობა და მიეკუთვნოს:

გუდაუთის № 3 საშუალო სკოლას გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის ნ. ა. ლაკობას სახელი.

კულაშის საშუალო სკოლას — საზოგადო მოღვაწის, პედაგოგის კ. თ. მკურნალის სახელი.

სამტრედიის მუსიკალურ სკოლას — საზოგადო მოღვაწის, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის დ. ბ. შანიძის სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1963 წ. 29 ნოემბერი, № 738.

**189** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 27 იანვრის № 83 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების გაუქმებისა და ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 27 იანვრის № 83 დადგენილებისა „რკინიგზებისა და საავტომობილო გზებისათვის ამოსაშრობი და სარწყავი არხებისა და სხვა სახაზო ნაგებობებისათვის მიწების გამოყოფის მოწესრიგების შესახებ“ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 2 ოქტომბრის № 1025 დადგენილებისა „რკინიგზებისა და საავტომობილო გზებისათვის, ამოსაშრობი და სარწყავი არხებისა და სხვა სახაზო ნაგებობებისათვის მიწების გამოყოფის მოწესრიგების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 27 იანვრის № 83 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა გაუქმების თაობაზე“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1935 წლის 25 ოქტომბრის № 1473 დადგენილება „ავტოსაჭაპანო ტრანსპორტისათვის გადაცემული მიწების შესახებ“ (კან. კრ. 1935 წ. № 31, მუხ. 197);

ბ) მუხ. 6 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 8 ივნისის № 610 დადგენილებისა „ნაკრძალებზე ტყეების მიმაგრებისა და ნაკრძალებში სატყეო მეურნეობის გაძღოლისადმი კონტროლის შესახებ“;

გ) მუხლები 1, 2, 3, 4, 5 და 6 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 22 იანვრის № 58 დადგენილებისა „სატყეო მეურნეობის, რკინიგზისა და საავტომობილო ტრანსპორტის ზოგიერთი მუშაკის სამსახურებრივი ნადელების შესახებ“;

დ) „საქართველოს სს რესპუბლიკაში სამონადირეო მეურნეობის გაძღოლის გაუმჯობესების შემდგომი ზომების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 12 სექტემბრის № 702 დადგენილების მე-3 მუხლის მეორე აბზაცი.

2. მუხლი 25 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 27 დეკემბრის № 846 დადგენილებით დამტკიცებული „ინსტრუქციისა საავტომობილო გზების განსხვისების ზოლის მიწების გამოყოფისა და გამოყენების წესის შესახებ“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„25. გზების რემონტისა და შენახვის სამსახურის იმ სახაზო მუშაკთა კონტინგენტში, რომლებსაც აქვთ სამსახურებრივი მიწის ნადელების მიღების უფლება, შედიან: გზის მუშები, მერემონტეები, ხიდების დარაჯები, მებორნეები, გზის ოსტატები, ხიდის ოსტატები, გზის ათისთავები, თოვლსაცავი და მერქნის დეკორაციული ნარგავების ოსტატები.“

3. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 2 ოქტომბრის № 1025 დადგენილებით გაუქმებულია:

ა) „ქალაქებსა და დაბებში სურსათითა და სამრეწველო საქონლით კოოპერაციული ვაჭრობის გაშლის და კოოპერაციული საწარმოების მიერ სურსათისა და ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 9 ნოემბრის № 2445 დადგენილების 27-ე მუხლის ქვეპუნქტი „გ“. აღნიშნული დადგენილება დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 27 ნოემბრის № 1093 დადგენილებასთან ერთად;

ბ) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 23 თებერვლის № 298 დადგენილება „საავტომობილო გზებისათვის მიწების გამოყოფის ნორმების შესახებ, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 28 თებერვლის № 154 განკარგულებასთან ერთად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1963 წ. 29 ნოემბერი, № 739.

**190** **საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ**

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 30 სექტემბრის № 1022 დადგენილებისა „მოკავშირე რესპუბლიკის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის ტიპობრივი დებულების დამტკიცების შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის შესახებ.

2. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 30 სექტემბრის № 1022 დადგენილებით:

ა) დამტკიცებულია:

სსრ კავშირის ქუჩებში და გზებზე მოძრაობის წესების ისეთ დარღვევათა ნუსხა, რომლებიც იწვევენ ჯარიმების დადებას ადმინისტრაციული წესით;

იმ გამოსაღებთა ნუსხა, რომელთა გადახდევინება წარმოებს ავტომოტოტრანსპორტის საშუალებათა ექსპლუატაციასთან დაკავშირებით;

ბ) დაწესებულია, რომ უცხოეთის დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობანი სსრ კავშირში, მათი თანამშრომლები,

უცხოეთის პრესისა და უცხოეთის სხვა ორგანიზაციების მუდმივი წარმომადგენლები (გარდა სსრ კავშირის მოქალაქეებისა) თავისუფლდებიან, თანაზიარობის საფუძველზე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარდგენით, გამოსაღებთა გადახდისაგან, რაც გათვალისწინებულია იმ გამოსაღებთა ნუსხით, რომელთა გადახდევინება წარმოებს ავტომოტოტრანსპორტის საშუალებათა ექსპლუატაციასთან დაკავშირებით.

აღნიშნულ გამოსაღებთა გადახდისაგან განთავისუფლებული არიან: ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭო, ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მუდმივი წარმომადგენლები, ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს თანამდებობის პირები და მუდმივ წარმომადგენლობათა მათი შესაბამისი კატეგორიის თანამშრომლები (გარდა სსრ კავშირის მოქალაქეებისა).

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას ორი კვირის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს სსრ მთავრობის იმ გადაწყვეტილებათა სია, რომლებმაც ძალა დაკარგეს ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1963 წ. 4 დეკემბერი, № 751.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 4 დეკემბრის № 751
დადგენილებით

## დებულება

### საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის შესახებ

1. სახელმწიფო საავტომობილო ინსპექცია შედის საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მილიციის ორგანოების შემადგენლობაში და მოწოდებულია უზრუნველ-

ყოს ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის უსაფრთხოება ქუჩებში და გზებზე, ხელი შეუწყოს ავტომოტოტრანსპორტის ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და აწარმოოს მისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი აღრიცხვა.

2. თავის საქმიანობაში სახელმწიფო საავტომობილო ინსპექცია ხელმძღვანელობს სსრ კავშირის, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ და ასს რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ და ასს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებებითა და განკარგულებებით, სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებებით, საბჭოთა მილიციის დებულებით და ამ დებულებით, აგრეთვე საქართველოს სსრ და ასს რესპუბლიკების საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროების ბრძანებებითა და ინსტრუქციებით.

3. სახელმწიფო საავტომობილო ინსპექცია თავის მოვალეობებს ასრულებს მილიციის სხვა სამსახურებთან, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ადმინისტრაციასთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებით, მუდმივ კავშირს ამყარებს მშრომელთა ფართო მასებთან, ეყრდნობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების, საზოგადოებრივი ავტოინსპექტორების, ავტომობილების ტექნიკური მდგომარეობისადმი საზოგადოებრივი კონტროლის კომისიების, აგრეთვე სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების დახმარებასა და მხარდაჭერას.

4. საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მილიციის სამმართველოში, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასრულებელი კომიტეტის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოში, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მილიციის სამმართველოში, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მილიციის განყოფილებებში (ქვეგანყოფილებებში) შეიქმნება სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის განყოფილებები, ქვეგანყოფილებები ან ჯგუფები.

საერთო-სახელმწიფო და რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე შეიძლება შეიქმნას სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის განყოფილებები და უბნები.

სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის საშტატო რაოდენობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრი, სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი მილიციის იმ საერთო-საშტატო რაოდენობის ფარგლებში, რასაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო დააწესებს.

ქუჩებში მოძრაობის მარეგულირებელი მილიციის ქვეგანაყოფები, რომელთა შენახვა წარმოებს მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი ადგილობრივი საბჭოების ბიუჯეტებით გაღებულ ასიგნობათა ხარჯზე, ემორჩილებიან სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციას და მოქმედებენ ამ დებულების შესაბამისად.

5. სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციას მის წინაშე დასახული ამოცანების შესასრულებლად ეკისრება შემდეგი მოვალეობანი:

ა) განახორციელოს ზედამხედველობა მოძრაობის წესების დაცვისადმი, მოაწესრიგოს ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობა ქუჩებში და გზებზე;

ბ) კონტროლი გაუწიოს აქვთ თუ არა მძღოლებს მოცემული სახის სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება და საგზურები, თუ რამდენად შეესაბამება მარშრუტები და ტვირთები საგზურების ჩანაწერებს, აგრეთვე განახორციელოს ბრძოლა ავტომობილებისა და მოტოციკლების პირადი გამორჩენის მიზნით სარგებლობის წინააღმდეგ;

გ) კონტროლი გაუწიოს ექსპლუატაციაში მყოფი ავტომობილების, საავტომობილო მისაბმელების, მოტოციკლების, მოტოროლერების, მოპედების, მოტოეტლების, ტროლეიბუსებისა და ტრამვაის ვაგონების წესივრობას, კერძოდ, სპიდომეტრების წესივრობას, საავტომობილო სალტეების ექსპლუატაციიდან მოხსნისა და აღსადგენად მათი შერჩევის წესების შესრულებას, აგრეთვე აქვს თუ არა ტრანსპორტს მოწყობილობანი, რომლებიც უზრუნველყოფენ რადიომიმღების ხელშემშლელი ხმაურის მოსპობას;

დ) შეიმუშაოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის ორგანიზაციის გაუმჯობესებას ქუჩებში და გზებზე, ქუჩებსა და გზებზე მოძრაობის მარეგულირებელი საჭირო ტექნიკური საშუალებების მოწყობას (საგზაო სპეციალური ნიშნები, მაჩვენებლები, შუქნიშნები, უშიშროების კუნძულები, ზღუდეები, გადასასვლელები და სხვ.); კონტროლი გაუწიოს ქუჩების, გზებისა და ხელოვნური საგზაო ნაგებობების შენახვას წესიერ მდგომარეობაში და მათ განათებულობას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) აწარმოოს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების აღრიცხვა და მათი მიზეზების გამოვლინება, მოაწყოს მუშაობა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილებისათვის, კერძოდ იმით, რომ განუმარტოს მოსახლეობას მოძრაობის წესები პრესის, კინოს, რადიოსა და ტელევიზიის მეშვეობით;

ვ) განახორციელოს მოქმედი წესების შესაბამისად ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაცია და აღრიცხვა, ყოველწლიურად ჩაატაროს ავტომობილებისა და მოტოციკლების ტექნიკური გასინჯვა;

ზ) მონაწილეობა მიიღოს საავტომობილო გზების, ქუჩებისა და ხელოვნურ საგზაო ნაგებობათა ექსპლუატაციაში მიმღები კომისიების მუშაობაში;

თ) აძლიოს დასკვნები სახელმწიფო სტანდარტების პროექტების მიხედვით ავტომობილების, საავტომობილო მისაბმელების, მოტოციკლების, მოტოროლერების, მოპედების, მოტოეტლების, ტროლეიბუსებისა და ტრამვაის ვაგონების შესახებ იმის გამოსარკვევად თუ რამდენად აკმაყოფილებენ ისინი მოძრაობის უშიშროების მოთხოვნებს, და მონაწილეობა მიიღოს ამ სატრანსპორტო საშუალებათა საგზაო გამოცდებში;

ი) ჩაიბაროს გამოცდები და გასცეს მოწმობები ავტომობილების, მოტოციკლების, მოტოროლერების, მოპედების, მოტოეტლების, ტროლეიბუსებისა და ტრამვაის ვაგონების მართვის უფლების შესახებ;

კ) კონტროლი გაუწიოს იმას, რომ სამინისტროებმა, უწყებებმა და სატრანსპორტო მეურნეობებმა განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ავტომოტოტრანსპორტისა და საქალაქო ელექტროტრანსპორტის ავარიულობის თავიდან აცილებას და სატრანსპორტო საშუალებათა შენახვას წესიერ მდგომარეობაში;

ლ) მოახდინოს ინდივიდუალურ მეპატრონეთა მონაწილეობით მათი კუთვნილი უვარგისი მსუბუქი ავტომობილებისა და მოტოციკლების დაწუნება; აწარმოოს მუშაობა, რათა მსუბუქი ავტომობილებისა და მოტოციკლების ინდივიდუალურ მფლობელებს გადახდეთ კანონმდებლობით დაწესებული გამოსაღები;

მ) აწარმოოს გადაუდებელი მოქმედებანი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების ადგილზე (მძღოლების დაკავება, მოწმეთა დადგენა, კვალის შენარჩუნება და დამაგრება და ა. შ.).

190 ბიბლიოთეკა

6. სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციას მასზე დაკისრებულ მოვალეობათა შესასრულებლად უფლება ენიჭება:

ა) მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ან საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მმართველობის შესაბამისი ორგანოების თანხმობით, ხოლო გადაუდებელ შემთხვევებში — დამოუკიდებლად — აკრძალოს ან შეზღუდოს ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობა ქუჩების ან გზების ცალკეულ უბნებზე, როდესაც მათი სარგებლობა საფრთხეს უქმნის მოძრაობას;

ბ) მოიზიდოს საჭირო შემთხვევებში ქალაქის ელექტროტრანსპორტის მუშაკები ექსპლუატაციაში მყოფი ტრამვაის ვაგონებისა და ტროლეიბუსების ტექნიკური მდგომარეობის შესამოწმებლად;

გ) შეამოწმოს საჭირო შემთხვევებში, თუ რამდენად იცნობენ ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებათა, ტროლეიბუსების და ტრამვაის ვაგონების მძღოლები მოძრაობის წესებს, აგრეთვე გაგზავნოს ისინი სამედიცინო შემოწმებისათვის, რათა დადგენილ იქნას, თუ რამდენად არიან ისინი გამოსადეგი ამ სატრანსპორტო საშუალებათა მართვისათვის;

დ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ჩამოართვას მძღოლებს ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებათა, ტროლეიბუსების და ტრამვაის ვაგონების მართვის უფლება მოძრაობის წესების დარღვევისათვის, ავტომობილებისა და მოტოციკლების გამოყენებისათვის პირადი გამორჩენის მიზნით, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებათა მართვისათვის არაფხიზელ მდგომარეობაში ან დააყენოს შესაბამისი ორგანოების წინაშე საკითხი მძღოლებისათვის აღნიშნულ უფლებათა ჩამორთმევის შესახებ.

7. სახელმწიფო საავტომობილო ინსპექტორებს უფლება აქვთ:

ა) დაუბრკოლებლივ დაათვალიერონ სატრანსპორტო მეურნეობანი, აძლიონ აღნიშნულ მეურნეობათა ხელმძღვანელებს რეკომენდაციები ისეთ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფენ ავარიულობის თავიდან აცილებას და სატრანსპორტო საშუალებათა შენახვას წესიერ მდგომარეობაში;

ბ) გააჩერონ სატრანსპორტო საშუალებანი, მოსთხოვონ მოძრაობის წესების დამრღვევ პირებს წესების დარღვევის შეწყვეტა, დაადონ დამრღვევებს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ადმინისტრაციული სასჯელი;

გ) სატრანსპორტო საშუალებათა მართვას ჩამოაშორონ არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი პირები, ის პირები, რომლებსაც არა

აქვთ მოცემული სახის სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება და ისეთი პირები, რომლებიც უხეშად არღვევენ მოძრაობის წესებს;

დ) აკრძალონ ისეთ სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლუატაცია, რომელთა ტექნიკური მდგომარეობა საფრთხეს უქმნის მოძრაობის უშიშროებას, ან ისეთი სატრანსპორტო საშუალებებისა, რომელთაც არა აქვთ რადიომიღების ხელშემშლელი ხმაურის მომსპობი მოწყობილობანი, აგრეთვე ისეთი ავტომობილებისა, რომლებსაც აქვთ უწესივრო ან დაუპლომბავი სპიდომეტრები ან სალტეები, რომლებიც გადაცემულ უნდა იქნან აღსადგენად (საჭირო შემთხვევებში მოიხსნება სანომრე ნიშნები უწესივრობის აღმოფხვრამდე);

ე) გამოიყენონ საჭირო შემთხვევებში ფასგადაუხდელად სატვირთო ავტომობილები ავარიების დროს დაზიანებული ან უწესივრო სატრანსპორტო საშუალებათა ტრანსპორტირებისათვის.

ამ მუხლის „ბ", „გ", „დ" და „ე" ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი უფლებები ენიჭებათ აგრეთვე საგზაო ზედამხედველობის ინსპექტორებს.

8. ავტომოტოტრანსპორტისა და საქალაქო ელექტროტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესებისა და ამ სახის ტრანსპორტის სარგებლობის წესების დარღვევისათვის სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის მუშაკებს მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს შეუძლიათ დაადონ ადმინისტრაციული წესით ჯარიმა შემდეგი ოდენობით:

| | |
|---|---|
| მოძრაობის მარეგულირებელ მილიციელებს | — 50 კაპიკამდე |
| საგზაო ზედამხედველობის ინსპექტორებს | — 3 მანეთამდე |
| სახელმწიფო საავტომობილო ინსპექტორებს | — 10 მანეთამდე |
| სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის განყოფილებათა (ქვეგანყოფილებათა) უფროსებს | — 30 მანეთამდე (თანამდებობის პირებზე) |

ერთ მანეთამდე ჯარიმა გადახდევინებულ იქნება ადგილზე.

9. სახელმწიფო საავტომობილო ინსპექცია განახორციელებს იმ გამოსაღებთა გადახდევინებას, რომლებიც დაკავშირებულია ავტომოტოტრანსპორტის საშუალებათა ექსპლუატაციასთან.

10. სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის მუშაკები სარგებლობენ მილიციის მუშაკებისათვის მინიჭებული ყველა უფლებით.

11. სახელმწიფო საავტომობილო ინსპექცია ახორციელებს ამ დებულებით გათვალისწინებულ რწმუნებებს სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ჯარების ავტომოტოტრანსპორტის მიმართაც მხოლოდ იმ დროს, როდესაც ეს ავტომოტოტრანსპორტი იმყოფება ქუჩებში და გზებზე და მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც შეეხება მძღოლთა მიერ მოძრაობის წესების დაცვისა და ავტომოტოტრანსპორტის ტექნიკური მდგომარეობისადმი კონტროლს.

---

ასლი

დამტკიცებულია
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 30 სექტემბრის № 1022 დადგენილებით

## ნუსხა

### სსრ კავშირის ქუჩებში და გზებზე მოძრაობის წესების დარღვევებისა, რომლებიც იწვევენ ჯარიმების დადებას ადმინისტრაციული წესით

სსრ კავშირის ქუჩებში და გზებზე მოძრაობის წესების დარღვევისათვის შეიძლება დადებულ იქნას ადმინისტრაციული წესით ჯარიმები შემდეგი ოდენობით:

ა) ტექნიკურად გაუმართავი სატრანსპორტო საშუალებების ხაზზე გაშვებისათვის, სატრანსპორტო საშუალებათა სამართავად არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მძღოლების ან ისეთი პირების დაშვებისათვის, რომელთაც არა აქვთ ამ საშუალებათა მართვის უფლების სათანადო მოწმობები, ზომების მიუღებლობისათვის, რათა დროზე აკრძალონ ან შეზღუდონ ტრანსპორტის და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობა ქუჩების და გზების ცალკეულ უბნებზე, როდესაც ტრანსპორტით სარგებლობა საფრთხეს უქმნის მოძრაობის უშიშროებას, — 30 მანეთამდე (თანამდებობის პირებს);

ბ) უწესივრო მდგომარეობაში მყოფი სატრანსპორტო საშუალებათა მართვისათვის, რაც საფრთხეს უქმნის მოძრაობის უშიშროებას; სატვირთო ავტომობილებით ადამიანთა გადაყვანის, წესების დარღვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისათვის ისეთ სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლუატაციისათვის, რომლებიც არ არიან რეგისტრირებული დადგენილი წესით სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციაში ან, რომლებსაც მოხსნილი აქვთ სანომრო ნიშნები; იმ პირთა მიერ სატრანსპორტო საშუალებათა მართვისათვის, რომლებსაც არა აქვთ მართვის უფლების სათანადო მოწმობები ან ჩამორთმეული აქვთ მძღოლის უფლებები; სატრანსპორტო საშუალებათა მართვის ისეთ პირებზე გადაცემისათვის, რომლებსაც არა აქვთ მართვის უფლების სათანადო მოწმობები ან იმყოფებიან არაფხიზელ მდგომარეობაში; მოძრაობის წესების სხვა უხეში დარღვევებისათვის, რომლებმაც გამოიწვიეს ან შეეძლოთ გამოეწვიათ მძიმე შედეგები — 10 მანეთამდე.

აღნიშნული მოქმედებისათვის ადმინისტრაციული წესით ჯარიმების დადება არ იწარმოებს იმ შემთხვევებში, როდესაც დამნაშავე პირები, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მიცემულ უნდა იქნან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

**შენიშვნა:** იმ წესების სხვა დარღვევებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ ავტომოტოტრანსპორტის და საქალაქო ელექტროტრანსპორტის მოძრაობის უშიშროებას და ამ სახის ტრანსპორტით სარგებლობის წესების დარღვევისათვის ჯარიმები ადმინისტრაციული წესით შეიძლება დაედოს იმ შემთხვევებში, როდესაც ეს გათვალისწინებულია მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

---

ასლი

დამტკიცებულია
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963
წლის 30 სექტემბრის № 1022
დადგენილებით

## ნუსხა

**გამოსაღებისა, რომლის გადახდევინება წარმოებს ავტომოტოტრანსპორტის საშუალებათა ექსპლუატაციასთან დაკავშირებით**

ავტომოტოტრანსპორტის საშუალებათა ექსპლუატაციასთან დაკავშირებული გამოსაღების გადახდა იწარმოებს შემდეგი ოდენობით:

ყოველწლიური ტექნიკური გასინჯვისათვის: ავტომობილებისა, საავტომობილო საწევარისა — 1 მან. და 50 კაპიკი, მოტოციკლისა, საავტომობილო მისაბმელისა — 1 მანეთი;

ინდივიდუალურ მფლობელთა კუთვნილი. ავტოტრანსპორტის დაწუნებისას ტექნიკური გასინჯვისათვის: ავტომობილისა — 5 მანეთი, მოტოციკლისა, — 3 მან. და 50 კაპიკი;

სანომრო ნიშნის გაცემისათვის: ავტომობილისა, საავტომობილო საწევარისა — 1 მან. და 50 კაპიკი, მოტოციკლისა, მოტოროლერისა, მოპედისა, მოტოეტლისა, საავტომობილო მისაბმელისა — 1 მანეთი;

ტექნიკური პასპორტის გაცემისათვის: ავტომობილისა, საავტომობილო საწევარისა — 1 მანეთი, მოტოციკლისა, მოტოროლერისა, მოტოეტლისა, საავტომობილო მისაბმელისა — 50 კაპიკი;

რეგისტრაციისათვის ტექნიკური პასპორტის მიუცემლად: ავტომობილისა, საავტომობილო საწევარისა — 50 კაპიკი, მოტოციკლისა, მოტოროლერისა, მოპედისა, მოტოეტლისა, საავტომობილო მისაბმელისა — 30 კაპიკი;

გამოცდის ჩაბარებისათვის: მოძრაობის წესებში — 75 კაპიკი; მართვის ჩვევებში, დამოუკიდებლად იმისა, ეძლევა თუ არა ავტომობილის, მოტოციკლის, მოტოროლერის, მოპედის, მოტოეტლის, ტროლეიბუსის და ტრამვაის ვაგონის მართვის უფლების მოწმობა — 75 კაპიკი;

ჩამოთვლილ სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მოწმობის მიცემისათვის, ნაცვლად დაკარგულისა — 5 მანეთი;

აღნიშნული გამოსაღები შეიტანება მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტების შემოსავალში.

**შენიშვნა:** ვადიანი სამსახურის რიგითი, სერჟანტთა და ზემდეგთა შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურეებს და იმ სამხედრო ვალდებულთ, რომლებიც სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს მიერ არიან გაწვეული სასწავლებლად არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ავტომეურნეობებსა და ორგანიზაციებში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის სასწავლო კომბინატებში, აგრეთვე შოფრის სპეციალობის საწარმოოსწავლებიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებს გამოცდების ჩაბარებისათვის (სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მოწმობების მიცემით) — გამოსაღები არ გადახდებათ.

**191** **საქართველოს სს რესპუბლიკაში სამოქალაქო მშენებლობის, ქალაქთა დაგეგმარებისა და განაშენიანების საპროექტო საქმის გაუმჯობესების შესახებ**

„სამოქალაქო მშენებლობის, ქალაქთა დაგეგმარებისა და განაშენიანების საპროექტო საქმის გაუმჯობესების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 21 აგვისტოს № 903 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სახმშენს გადასცეს სსრ კავშირის სახმშენთან არსებული სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტის გამგებლობაში საპროექტო ინსტიტუტის — „საქქალაქმშენპროექტის“ ტიპობრივი დაპროექტების განყოფილება იმისათვის, რომ შეიქმნას ქ. თბილისში საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების ტიპობრივი და ექსპერიმენტული დაპროექტების ზონალური სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო ინსტიტუტი.

გადაცემა მოხდეს 1963 წლის 1 იანვრის მდგომარეობის მიხედვით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 22 მაისის № 556 დადგენილებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

მიემაგროს გადასაცემ განყოფილებას მის მიერ დაკავებული საწარმოო, დამხმარე, სასაწყობო სადგომები, საავტომობილო ტრანსპორტი და დაეტოვოს განყოფილებას უფლება გამოიყენოს სახელშეკრულებო საწყისებზე მის მიერ დაკავებული სადგომები და საწარმოო ფართობები, აგრეთვე მოწყობილობა და ინვენტარი, რომელიც მის ბალანსზე არ ირიცხება.

განყოფილების გადაცემა მოხდეს 1963 წლის 1 ივლისის გაყოფითი ბალანსის მიხედვით, მოწყობილობით, ინვენტარით, სატრანსპორტო საშუალებებით, მატერიალური ფასეულობებით, საპროექტო სამუშაოთა გეგმებით 1963 წლის დარჩენილი პერიოდისათვის, საწარმოო დამხმარე და ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რაოდენობითა და ხელფასის ფონდებით თანამდებობრივი განაკვეთების პერსონალური დანამატების ფონდებით, აგრეთვე მასალებისა და მოწყობილობის ფონდებით.

იმასთან დაკავშირებით, რომ საპროექტო ინსტიტუტის — „საქქალაქმშენპროექტის“ ტიპობრივი დაპროექტების განყოფილება გადაეცა სსრ კავშირის სახმშენთან არსებულ სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტს, დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და სახმშენს შეიტანონ შესაბამისი ცვლილებანი 1963 წლის გეგმებში, ხოლო საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ ფინანსთა სამინისტრომ — საქართველოს სსრ ბიუჯ[illegible] შირო ბიუჯეტის ურთიერთანგარიშსწორებაში.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახმშენს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროსთან ერთად ორი კვირის ვადაში მოამზადოს წინადადება სასოფლო დასახლებული ადგილების დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების შემუშავების წესის შესახებ და სსრ კავშირის სახმშენთან მისი შეთანხმების შემდეგ დასამტკიცებლად წარმოუდგინოს იგი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 20 დეკემბრამდე.

3. დაწესდეს, რომ ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დაბების გენერალური გეგმების, საცხოვრებელი რაიონების და მიკრორაიონების, ქალაქთა ცენტრებისა და ქალაქმშენებლობის სხვა კომპლექსების დეტალური დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების შემუშავებას, აგრეთვე სამოქალაქო და საბინაო მშენებლობისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენას ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში უნდა ახორციელებდნენ, 1964 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, მხოლოდ საქართველოს სსრ სახმშენის სისტემაში შემავალი საპროექტო ორგანიზაციები: საპროექტო ინსტიტუტი „საქალაქმშენპროექტი“ — რესპუბლიკაში და „თბილქალაქპროექტი“ — ქ. თბილისში.

4. საჭიროდ ჩაითვალოს, რომ გაძლიერდეს საქართველოს სსრ ქალაქთა მთავარი არქიტექტორების პასუხისმგებლობა გენერალური გეგმების შემუშავებისა და სწორად განხორციელებისათვის, მშენებლობის მიზანშეწონილად და ეკონომიურად განლაგებისათვის, განაშენიანებისათვის. კეთილმოწყობისა და არქიტექტურის ხარისხობრივი დონისათვის, რის გამო მთავარი არქიტექტორების მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებისათვის დამორჩილებასთან ერთად, დაუმორჩილდნენ ისინი საქართველოს სსრ სახმშენს.

საპროექტო ინსტიტუტი „თბილქალაქპროექტი“ დაუმორჩილდეს ქალაქ თბილისის მთავარ არქიტექტორს.

5. დაწესდეს, რომ სამხრეთ ოსეთის მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა განყოფილების უფროსი ამავე დროს არის ოლქის მთავარი არქიტექტორი და მას ეკისრება ოლქის იმ ქალაქებისა და დაბების დაგეგმარებისა და განაშენიანების ხელმძღვანელობა, რომ-

ლებშიაც არ არის დაწესებული მთავარი არქიტექტორის თანამდებობანი, აგრეთვე სოფლის დასახლებული ადგილებისა[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. საქართველოს სსრ სახმშენმა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა ქალაქთა განვითარების გენერალური გეგმების შემუშავების დროს გაითვალისწინონ სამრეწველო კომპლექსების სპეციალიზაციისა და მათი კოოპერირების აუცილებლობა იმ ნაწილში, რომელიც შეეხება წყალმომარაგების, კანალიზაციის, ენერგეტიკის საერთო სისტემების, რკინიგზის ტრანსპორტის მისასვლელი ლიანდაგების, საავტომობილო გზების, სანავსადგურო ნაგებობებისა და სარემონტო-სასაწყობო მეურნეობის მშენებლობას.

7. დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტს გაანაწილონ უმაღლესი სასწავლებლებისა და ასპირანტურის კურსდამთავრებული არქიტექტორები, ინჟინრები და სხვა სპეციალისტები ქალაქმშენებლობის, საბინაო და სამოქალაქო მშენებლობის დარგში საქართველოს სსრ სახმშენთან და სსრ კავშირის სახმშენთან არსებულ სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით.

8. დაევალოს საქართველოს სსრ სახმშენს წარუდგინოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს საჭირო საფინანსო მაჩვენებლები „საქქალაქმშენპროექტის“ 1963 წლის შემოსავალ-გასავლის ბალანსის მიხედვით ტიპობრივი დაპროექტების მოცულობის გადაცემასთან დაკავშირებით, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან ურთიერთანგარიშსწორებისათვის.

9. ქალაქმშენებლობის, საბინაო და სამოქალაქო მშენებლობის ორგანიზაციის და საერთო ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად შემოღებულ იქნას საქართველოს სსრ სახმშენში თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა და მოეწყოს სახმშენში საბინაო და სამოქალაქო მშენებლობის, ქალაქთა დაგეგმარებისა და განაშენიანების და სახელმწიფო არქიტექტურულ სამშენებლო კონტროლის განყოფილებები.

10. დაევალოს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს, საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების ტიპობრივი და ექსპერიმენტული დაპროექტების ზონალურ სამეცნიერო-საკვლევ და საპროექტო ინსტიტუტთან ერთად, ორი კვირის

ვადაში მოამზადოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარუ-მოუდგინოს წინადადებანი ზონალური ინსტიტუტისათვის [illegible] მის გამოყოფის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟორჟაძე.**

ქ. თბილისი, 1963 წ. 11 დეკემბერი, № 761.

## 192 ხილისა და ბოსტნეულის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის მოწყობის შესახებ

ხარისხოვანი ხილისა და ბოსტნეულის დამზადება-გაგზავნის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მოეწყოს 1964 წლის იანვრიდან საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროში ხილისა და ბოსტნეულის ხარისხის სახელმწიფო ინსპექცია.

2. დაეკისროს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს ხილისა და ბოსტნეულის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციას იმ ხილისა და ბოსტნეულის ხარისხის კონტროლი, რომელიც მზადდება საქართველოს სსრ რესპუბლიკაში და იგზავნება როგორც რესპუბლიკის ფარგლებში, ისე მის ფარგლებს გარეთაც, და სათანადო სერტიფიკატების გაცემა.

3. ხილისა და ბოსტნეულის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის შტატი განისაზღვროს 23 ერთეულით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ გაითვალისწინოს 1964 წლისათვის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროსათვის ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რაოდენობისა და ხელფასის ფონდის გადიდება.

ხილისა და ბოსტნეულის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის მუშაკთა თანამდებობრივი განაკვეთები შეთანხმებულ იქნას სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან.

4. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს ხილისა და ბოსტნეულის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის შენახვა მოხდეს იმ სპეციალური ანარიცხების ანგარიშზე, რომლებსაც გადარიცხავენ ცეკავშირი, საქკონსერვტრესტი, თბილხილბოსტანვაჭრობა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც არიან ხილისა და ბოსტნეულის დამამზადებლები და მიმწოდებლები.

აღნიშნულ ანარიცხთა ოდენობას ყოველწლიურად დააწესებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

5. დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს და ფინანსთა სამინისტროს:

ა) წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, თუ რა თანხა უნდა გადაირიცხოს დამამზადებელ ორგანიზაციებში 1964 წლისათვის ხილისა და ბოსტნეულის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის აპარატის შესანახად, ხილისა და ბოსტნეულის დამზადება-გაგზავნის მოცულობის საფუძველზე.

ამასთან ერთად დაადგინონ ამ ანარიცხების გადარიცხვის წესი;

ბ) შეიმუშაონ დაინტერესებულ ორგანიზაციათა მონაწილეობით და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინონ დებულება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს ხილისა და ბოსტნეულის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟიჟიაძე.**

ქ. თბილისი, 1963 წ. 11 დეკემბერი, № 762.

**193** **თბილისის მეოთხე მუსიკალური სასწავლებლისათვის მ. ა. ბალანჩივაძის სახელის მიკუთვნების შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს შუამდგომლობა და მიეკუთვნოს თბილისის მეოთხე მუსიკალურ სას-

წავლებელს საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, კომპოზიტორ
მელიტონ ანტონის ძე ბალანჩივაძის სახელი.

ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1963 წ. 23 დეკემბერი, № 768.

**194** **1962 წელს სახელმწიფოსათვის მაღალი ხარისხის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის მიყიდვის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ახალქალაქის საწარმოო სამმართველოს სოფ. მერენიასა და სოფ. უჩმანის კოლმეურნეობების დაჯილდოების შესახებ**

შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 23 სექტემბრის № 596 დადგენილებით დამტკიცებული დებულებისა სახელმწიფოსათვის მაღალი ხარისხის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის მიყიდვის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დაჯილდოების შესახებ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაჯილდოებულ იქნან 1962 წელს სახელმწიფოსათვის მაღალი ხარისხის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების და ნედლეულის მიყიდვის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის:

ა) ახალქალაქის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს სოფელ მერენიას კოლმეურნეობა — 5,5 ათასი მანეთით, რომელმაც შეასრულა სახელმწიფოსათვის პირუტყვისა და ფრინველის მიყიდვის გეგმა 126,1 პროცენტით, რძისა — 102,7 პროცენტით, მატყლისა — 112,3 პროცენტით, კარტოფილისა — 133,4 პროცენტით, ბოსტნეულისა — 102,5 პროცენტით და თივისა — 100 პროცენტით. ამასთან შეასრულა სახელმწიფოსათვის აღნიშნული პროდუქციის მიყიდვის ვალდებულებანი ფულადი გამოხატულებით 126,3 პროცენტით;

ბ) ამავე საწარმოო სამმართველოს სოფელ უჩმანის [illegible] ნეობა — 5,5 ათასი მანეთით, რომელმაც შეასრულა სახელმწიფოსათვის პირუტყვისა და ფრინველის მიყიდვის გეგმა 120,7 პროცენტით, რძისა — 105 პროცენტით, მატყლისა — 102,7 პროცენტით, კარტოფილისა და თივისა — 100 პროცენტით, ამასთან შეასრულა სახელმწიფოსათვის აღნიშნული პროდუქციის მიყიდვის ვალდებულებანი ფულადი გამოხატულებით 122,3 პროცენტით.

2. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ უზრუნველყოს საპრემიო თანხების მიცემა ამ დადგენილებაში აღნიშნული კოლმეურნეობებისათვის იმ კრედიტების ანგარიშში, რომლებიც რესპუბლიკას გაეხსნა საკავშირო ბიუჯეტით, რისთვისაც გადაურიცხოს პრემიის თანხა უშუალოდ კოლმეურნეობებს შრომის ანაზღაურების განსაკუთრებულ ანგარიშებზე სახელმწიფო ბანკის რაიონულ განყოფილებაში.

3. განემარტოთ ამ დადგენილებით დაჯილდოებულ კოლმეურნეობათა გამგეობებს, რომ საპრემიო თანხები გამოყენებულ უნდა იქნას იმ წესით, რაც გათვალისწინებულია მე-6, 7 და 8 მუხლებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 23 სექტემბრის № 596 დადგენილებით დამტკიცებული დებულებისა სახელმწიფოსათვის მაღალი ხარისხის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის მიყიდვის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დაჯილდოების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1963 წ. 24 დეკემბერი. № 770.

**195 საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის იურიდიული განყოფილების, მთავარი (უფროსი) იურისკონსულტის, იურისკონსულტის დებულების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის იურიდიული განყოფილების, მთავარი (უფროსი) იურისკონსულტისა და იურისკონსულტის შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 21 დეკემბრის № 1823 დადგენილება „სახელმწიფო კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოების იურისკონსულტთა დებულების დამტკიცების შესახებ" და მუხ. 2 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 16 ივნისის № 370 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 21 მარტის №254 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და გაუქმების შესახებ".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1963 წ. 24 დეკემბერი, № 771.

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 24 დეკემბრის № 771
დადგენილებით

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

**საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის იურიდიული განყოფილების, მთავარი (უფროსი) იურისკონსულტისა და იურისკონსულტის შესახებ**

1. იურიდიული განყოფილების, მთავარი (უფროსი) იურისკონსულტის, იურისკონსულტის ძირითადი ამოცანებია სოციალისტური კანონიერების განმტკიცება საწარმოთა, დაწესებულებათა და ორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განიზაციათა მუშაობაში, აქტიური ხელშეწყობა სამართლებრივი საშუალებებით მათი საქმიანობის გაუმჯობესებისა და ინტელექ-ტური საკუთრების დაცვა-შენახვის უზრუნველყოფისათვის.

2. იურიდიულ განყოფილებას, მთავარ (უფროს) იურისკონ-სულტს, იურისკონსულტს ეკისრება:

ა) შეამოწმოს, თუ რამდენად შეესაბამება მოქმედ კანონმდებ-ლობას იმ დადგენილებების, გადაწყვეტილებების, განკარგულებე-ბის, ბრძანებების, ინსტრუქციებისა და სხვა უფლებრივი აქტების პროექტები, რომლებსაც საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია გამოსცემს;

ბ) მონაწილეობა მიიღოს იმ ნორმატიული აქტების პროექტების გამო დასკვნების მომზადებაში, რომლებიც საწარმომ, დაწესებულე-ბამ, ორგანიზაციამ მიიღო შესათანხმებლად;

გ) სამართლებრივი დახმარება გაუწიოს საწარმოს, დაწესებუ-ლების, ორგანიზაციის შესაბამის სტრუქტურულ ქვეგანაყოფებს საპრეტენზიო მუშაობაში და შეადგინოს ხელშეკრულებათა პროექ-ტები ამ ქვეგანაყოფთა მასალების მიხედვით;

დ) იმ სამეურნეო ხელშეკრულებათა შემოწმება და ვიზირება, რომლებსაც საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია დადებს;

ე) აძლიოს დასკვნები, კონსულტაციები და ცნობები იმ სამარ-თლებრივ საკითხებზე, რომლებიც საწარმოს, დაწესებულების, ორგა-ნიზაციის საქმიანობაში წამოიჭრება;

ვ) დააყენოს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის წინაშე საკითხები საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მიერ გამო-ცემული იმ სამართლებრივი აქტების შეცვლის ან გაუქმების შესა-ხებ, რომლებიც მოქმედ კანონმდებლობას ეწინააღმდეგებიან;

ზ) აწარმოოს სასამართლო და საარბიტრაჟო საქმეები საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მინდობილო-ბით;

თ) სისტემატურად გააანალიზოს და განაზოგადოს სასამართლო და საარბიტრაჟო საქმეთა განხილვის, სამეურნეო ხელშეკრულებათა დადებისა და შესრულების პრაქტიკის შედეგები და შესაბამისი ხელ-მძღვანელის წინაშე დააყენოს საკითხები საწარმოს, დაწესებულე-ბის, ორგანიზაციის საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ;

ი) პერიოდულად შეამოწმოს იურიდიული მუშაობის მდგომა-რეობა დაქვემდებარებულ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორ-განიზაციებში;

კ) ინსტრუქტაჟი გაუწიოს დაქვემდებარებული საწარმოების, და-წესებულებების, ორგანიზაციების იურისკონსულტებს, [illegible] მათ კონსულტაციები სამართლებრივ საკითხებზე;

ლ) აწარმოოს საკანონმდებლო, სამთავრობო და სხვა ნორმატიული აქტების აღრიცხვა და გააკეთოს აღნიშვნები ამ აქტების გაუქმების, შეცვლის ან დამატების შესახებ;

მ) მიაწოდოს ინფორმაცია საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მუშაკებს მიმდინარე კანონმდებლობის შესახებ და გაუწიოს სამართლებრივი დახმარება კონსულტაციის სახით საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტებს, ამხანაგურ სასამართლოს და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

3. უკეთუ შესამოწმებლად წარმოდგენილი დოკუმენტის პროექტი ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, იურიდიული განყოფილების უფროსმა, მთავარმა (უფროსმა) იურისკონსულტმა, იურისკონსულტმა უნდა დაურთოს მას ცნობა, რომელშიაც აღნიშნოს, თუ რითი გამოიხატება პროექტის შეუსაბამობა მოქმედ კანონმდებლობასთან და ჩამოაყალიბოს წინადადებანი პროექტში აღნიშნული საკითხების გადაწყვეტის კანონიერი წესის შესახებ.

4. იურიდიული განყოფილების უფროსი, მთავარი (უფროსი) იურისკონსულტი, იურისკონსულტი მოვალეა უარი განაცხადოს სასამართლო და საარბიტრაჟო საქმეების წარმოებაზე, თუ არ არსებობს საფუძველი სარჩელის წარსადგენად ან იმ სარჩელის წინააღმდეგ გამოსასვლელად, რომელიც დასაბუთებულადაა წარდგენილი მოცემული საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მიმართ.

5. საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის საქმიანობაში კანონიერების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში იურიდიული განყოფილების უფროსი, მთავარი (უფროსი) იურისკონსულტი, იურისკონსულტი მოვალეა აცნობოს ეს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელს, ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც ხელმძღვანელი არ იღებს ზომებს დარღვევათა აღმოსაფხვრელად — ზემდგომი ორგანიზაციის ხელმძღვანელს.

6. იურიდიული განყოფილების უფროსი, მთავარი (უფროსი) იურისკონსულტი, იურისკონსულტი ესწრება სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროს, უწყების კოლეგიის, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებს, აგრეთვე თათბირებს, რომლებსაც საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელი მოიწვევს, და აძლევს დასკვნებს წამოჭრილ იურიდიულ საკითხებზე.

7. იურიდიული განყოფილების უფროსი, მთავარი (უფროსი) იურისკონსულტი, იურისკონსულტი მიიღებს საწარმოს, დაწესებულე-ლების, ორგანიზაციის ყველა სტრუქტურული ქვეგანაყოფისაგან დოკუმენტებსა და ცნობებს, რომლებიც საჭიროა მასზე დაკისრე-ბულ მოვალეობათა შესასრულებლად.

8. იურიდიული განყოფილების უფროსის, მთავარი (უფროსი) იურისკონსულტის, იურისკონსულტის დანიშვნა და დათხოვნა წარ-მოებს შრომის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად: საქართვე-ლოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებში მათ დანიშნავენ და დაით-ხოვენ მინისტრები და უწყებათა ხელმძღვანელები, როგორც წესი, შესაბამისი წარდგენების განხილვით კოლეგიის (კომიტეტის) სხდო-მაზე, სახალხო მეურნეობის საბჭოში, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და საოლქო აღმასკომში — სახალხო მეურნე-ობის საბჭოს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებებით და საოლქო აღმასკომის გადაწყვეტილებებით, სხვა დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და საწარმოებში — საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით ზემ-დგომ ორგანიზაციასთან შეთანხმებით.

9. იურიდიული განყოფილების უფროსის, მთავარი (უფროსი) იურისკონსულტის, იურისკონსულტის თანამდებობაზე დაინიშნე-ბიან უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირები.

ცალკეულ შემთხვევებში ამ თანამდებობებზე შეიძლება დაინიშ-ნულ იქნან საშუალო იურიდიული განათლების მქონე პირები, უკე-თუ მათ ექნებათ იურისტის სპეციალობაზე მუშაობის სულ ცოტა 5 წლის სტაჟი.

10. იურიდიული განყოფილების უფროსი, მთავარი (უფროსი) იურისკონსულტი, იურისკონსულტი უშუალოდ ემორჩილება სა-წარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელს.

11. იურიდიული განყოფილების მუშაკების, მთავარი (უფროსი) იურისკონსულტის, იურისკონსულტის გამოყენება ისეთ სამუშაოზე, რომელსაც დამოკიდებულება არა აქვს მათ პირდაპირ მოვალეო-ბასთან, — არ დაიშვება.

12. საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია მოვალეა უზრუნველყოს იურიდიული განყოფილება, მთავარი (უფ-როსი) იურისკონსულტი ნორმატიული აქტებით და სხვა მასალებით სამართლებრივ საკითხებზე (ცნობარები, დამხმარე სახელმძღვანე-ლოები და ა. შ.).

13. იურისკონსულტების მეთოდური ხელმძღვანელობა [illegible] საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ [illegible] კომისიას.

---

**196** **საქართველოს სსრ სამინისტროებში, უწყებებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და საწარმოებში საქმისწარმოების გაუმჯობესების ზომების შესახებ**

საქმისწარმოების სწორად დაყენება სახელმწიფო აპარატისა და სხვა დაწესებულებათა მუშაობის ზუსტი ორგანიზაციის ერთ-ერთი პირობაა, იგი უზრუნველყოფს დოკუმენტური მასალების დაცვა-შენახვას და ყოველმხრივ გამოყენებას რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების არქივებში.

მაგრამ მუშაობის ამ დარგში აღინიშნება სერიოზული ნაკლოვანებანი, საქმისწარმოების შესახებ ინსტრუქციის უქონლობის გამო, იგი სხვადასხვანაირად წარმოებს. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა შრომის მექანიზაციას და საქმისწარმოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული სანიმუშო ინსტრუქცია საქართველოს სსრ სამინისტროებში, უწყებებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და საწარმოებში საქმისწარმოების შესახებ.

2. დაევალოთ რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს:

ა) ამ დადგენილებით დამტკიცებული საქმისწარმოების სანიმუშო ინსტრუქციის საფუძველზე შეიმუშაონ თვითეული სამინისტროს — უწყების თავისებურებათა გათვალისწინებით და არა უგვიანეს 1964 წლის 15 იანვრისა დაამტკიცონ და შემოიღონ სამოქმედოდ ინსტრუქცია საქმისწარმოების შესახებ;

ბ) სისტემატურად აუმჯობესონ საქმისწარმოება, აამაღლონ მექანიზაციისა და იმ მუშაკთა შრომის ნაყოფიერების დონე, რომლებიც საქმისწარმოებაზე მუშაობენ, აგრეთვე აამაღლონ მათი კვალიფიკაცია.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოს მოაწყოს ყოველწლიური კურს-სემინარები რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებების დაწესებულე-

ბების, ორგანიზაციების და საწარმოების საქმისწარმოებისა და არქივების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაძაძე.**

ქ. თბილისი, 1963 წ. 24 დეკემბერი, № 772.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 24 დეკემბრის № 772
დადგენილებით

## სანიმუშო ინსტრუქცია

### საქართველოს სსრ სამინისტროებში, უწყებებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და საწარმოებში საქმისწარმოების შესახებ

### I. საერთო დებულებანი

1. აღნიშნული ინსტრუქცია განსაზღვრავს საქართველოს სსრ სამინისტროებში, უწყებებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და საწარმოებში საქმისწარმოების წესებს.

2. აღნიშნული ინსტრუქციით დადგენილი საქმისწარმოების წესები ვრცელდება არასაიდუმლო ხასიათის სამსახურებრივ დოკუმენტებზე. საიდუმლო საქმისწარმოებისათვის დადგენილია სპეციალური ინსტრუქცია.

3. საქმისწარმოების ორგანიზაციის პრინციპი ყოველ დაწესებულებაში დადგენილ უნდა იქნას მოცემული სანიმუშო ინსტრუქციის შესაბამისად დამუშავებული ინსტრუქციით, უწყების სამუშაოს თავისებურებათა გათვალისწინებით.

4. დაწესებულებების სტრუქტურულ დანაყოფებს, რომლებიც განაგებენ საქმისწარმოებას, წარმოადგენენ: სამმართველოები, სამდივნოები, ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილებები, კანცელარიები, საერთო განყოფილებები (შემდგომ ტექსტში — კანცელარიები).

5. არა დიდ დაწესებულებებში საქმისწარმოებას უძღვებიან მდივნები ან საქმისმწარმოებლები, ხოლო იმ დაწესებულებებში, სადაც შტატით არ არის გათვალისწინებული საქმისწარმოებისათვის სპეციალური მუშაკი, დაინიშნება ამ სამუშაოზე პასუხისმგებელი პირი.

6. საქმისწარმოების ორგანიზაცია ხდება ცენტრალიზაციის პრინციპით. ეს ნიშნავს მთელი სამუშაოს (კორესპონდენციის მიღება, მისი აღრიცხვა, გამრავლება, დოკუმენტების ვადაზე შესრულების კონტროლი, გაგზავნა, გაფორმება და მიმდინარე საქმეების შენახვა) ერთ ადგილზე თავმოყრას — დაწესებულების, ორგანიზაციის და საწარმოს კანცელარიაში.

**შენიშვნა:** გამონაკლის წარმოადგენენ დიდი დაწესებულებები რთული სტრუქტურით და დიდი რაოდენობის დოკუმენტთა მიმოქცევით. ასეთ შემთხვევაში დასაშვებია საქმისწარმოების შერეული სისტემა, რომლის მიხედვითაც ცალკეული ოპერაციები (კორესპონდენციის მიღება და გაგზავნა) ხორციელდება მთლიანად დაწესებულების კანცელარიის მიერ (ექსპედიციის მიერ), ხოლო სხვა ოპერაციები (რეგისტრაცია, დოკუმენტების, საქმეების გაფორმება და შენახვა) — როგორც კანცელარიის, ისე სტრუქტურული დანაყოფების მიერ.

7. კანცელარიის ფუნქციებში შედის:

ა) კორესპონდენციის მიღება და აღრიცხვა;

ბ) დოკუმენტების მომზადება დაწესებულების ხელმძღვანელისათვის მოსახსენებლად;

გ) შემოსული კორესპონდენციის განაწილება;

დ) ყოველდღიური მეთვალყურეობა სამსახურებრივი დოკუმენტების სწორ და დროულ შედგენაზე;

ე) დაწესებულებიდან კორესპონდენციის გაგზავნა;

ვ) კონტროლი დაწესებულების შტამპების, ბეჭდებისა და ბლანკების შენახვასა და სწორად გამოყენებაზე;

ზ) დაწესებულების საქმეებზე ნაერთი ნომენკლატურის შედგენა;

თ) მიმდინარე საქმისწარმოების საქმეთა ფორმირება ნომენკლატურის შესაბამისად, მათი შენახვა, მომზადება და სათანადო ვადების გასვლის შემდეგ დაწესებულების არქივში ჩაბარება;

ი) საქმისწარმოების მდგომარეობაზე კონტროლი და საქმისწარმოების დარგში ხელმძღვანელობის გაწევა როგორც დაწესებულე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის შიგნით — სტრუქტურულ დანაყოფებში, ისე დაქვემდებარებულ დაწესებულებებში;

კ) დოკუმენტების ვადაზე შესრულების კონტროლი.

8. დაწესებულებების ხელმძღვანელებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა დაწესებულებაში საქმისწარმოების დაყენებისა და სწორი ორგანიზაციის, დოკუმენტების დროულად შესრულებასა და დაცვის საქმეში.

9. ერთი დაწესებულების ფარგლებში სტრუქტურულ დანაყოფებს შორის სამსახურებრივი მიმოწერა, როგორც წესი, აკრძალულია.

10. დაწესებულებებში მიმდინარე საქმისწარმოების დოკუმენტური ნაწილის დაყენების კონტროლს ახორციელებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველო და მისი ადგილობრივი ორგანოები.

## II. შემოსული კორესპონდენციის მიღება, რეგისტრაცია და განხილვა

11. შემოსული კორესპონდენცია ეწოდება დაწესებულების მიერ მიღებულ სამსახურებრივ ფოსტას.

12. თანამშრომელი, რომელიც ღებულობს ფოსტას, ხელს აწერს, მის მიღებაზე თარიღის ჩვენებით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — მიღების ზუსტ დროს.

13. კონვერტები მიღებული კორესპონდენციით იხსნება კანცელარიაში (გარდა კონვერტებისა წარწერით „პირადად"); სადაც მოწმდება მათი მიღების სისწორე, კონვერტების მთლიანობა და მათში მოთავსებული დოკუმენტების რაოდენობა.

იმ შემთხვევაში, თუ კონვერტის გახსნის დროს აღმოჩნდება დაზიანება, დოკუმენტის ან დანართის დანაკლისი, კონვერტზე ნაჩვენები ნომრის შეუსაბამობა მასში მოთავსებული დოკუმენტის ნომერთან, უნდა ეცნობოს გამომგზავნს. არასწორად გამოგზავნილი დოკუმენტები გადაეცემა ან გადაიგზავნება დანიშნულებისამებრ.

14. მიღებული კორესპონდენციის კონვერტები შეინახება და დაერთვის დოკუმენტს იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტზე არ არის აღნიშნული გამგზავნის მისამართი, ან კიდევ, როდესაც საფოსტო შტემპელი გვჭირდება დოკუმენტის გაგზავნის ან მიღების დროის დასადგენად.

15. მიღებული კორესპონდენცია, როგორც წესი, განიხილება მისი მიღების დღესვე.

16. იმ შემთხვევაში, თუ მიღებულ კორესპონდენციაში არის დაწესებულების — ადრესატის დოკუმენტზე რაიმე მითითება, მაშინ

 მეხ. 186

აღნიშნული დოკუმენტები შეირჩევა კანცელარიის მიერ და გადაეცემა დაწესებულების ხელმძღვანელს მიღებულ დოკუმენტთან ერთად.

17. რეზოლუცია იწერება დოკუმენტზე, ტექსტისაგან თავისუფალ ადგილზე. რეზოლუციის წერა ცალკე ფურცლებზე აკრძალულია.

დოკუმენტი რეზოლუციით გადაეცემა შემსრულებელს.

თუ სათანადო დოკუმენტი, საჭიროების შემთხვევაში, გადაეცა რამდენიმე შემსრულებელს, რეზოლუციაში აღინიშნება შემსრულებლების გვარები, გარკვეულ პირზე პასუხისმგებლობის დაკისრებით.

რეზოლუცია უნდა იყოს კონკრეტული, მოკლე და გასაგები.

18. ყველა მიღებული დოკუმენტი აუცილებლად უნდა გატარდეს რეგისტრაციაში (მთავრობის უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოებიდან, ზემდგომი დაწესებულებებიდან და დაქვემდებარებულ დაწესებულებათა ხელმძღვანელებისაგან; ანგარიშები, გეგმები, ხარჯთაღრიცხვები, ბალანსები და სხვა ძირითადი ანგარიშიანობა და საგეგმო დოკუმენტაცია; ხელშეკრულებები, შეთანხმებები, სასამართლო, საძიებო და საარბიტრაჟო დოკუმენტაცია, აღმასრულებელი ფურცლები, რევიზიის აქტები, პირადი საქმეები, შრომის წიგნაკები და სხვა დოკუმენტები; შეკითხვები მოცემული უწყების ყველა ორგანოების მოღვაწეობის საკითხებზე).

აღრიცხვას ექვემდებარება აგრეთვე მნიშვნელოვანი შინაგანი დოკუმენტები (ბრძანებები, ინსტრუქციები, განკარგულებები, ხელშეკრულებები და სხვა). შინაგანი დოკუმენტების რეგისტრაცია წარმოებს ჟურნალში ან ბარათებზე.

**შენიშვნა:** რეგისტრაციას არ ექვემდებარება სტატისტიკური და საბუღალტრო პერიოდული ანგარიშგება და სხვა. ასეთი სახის დოკუმენტებს კანცელარია უგზავნის შესაფერის სტრუქტურულ დანაყოფს, სადაც ისინი გადაეცემა შემსრულებელს.

შემსრულებელი დაწესებულებების სიაში, რომელთაგან უნდა შემოვიდეს ანგარიშები, აკეთებს აღნიშვნას მათი მიღების შესახებ თარიღის ჩვენებით. გამოყენების შემდეგ ეს მასალები მოთავსდება სათანადო საქმეში დოკუმენტის პირთან ერთად.

რეგისტრაციას არ ექვემდებარებიან პირადი წერილები, რომლებიც არ შეეხებიან სამსახურებრივ

საკითხებს, მოსაწვევი ბარათები, ფორმულარე-ბი, დასტურები მათი მიღების შესახებ და ა. შ.

19. სასწრაფო კორესპონდენცია დაუყოვნებლივ იგზავნება დანიშნულებისამებრ, ხოლო დანარჩენი კორესპონდენცია გადაეცემა სტრუქტურულ დანაყოფებს სამუშაო დღის განმავლობაში. შემსრულებლის დოკუმენტები გადაეცემა, როგორც წესი, ხელწერილქვეშ.

20. დოკუმენტების რეგისტრაციის ძირითადი ფორმებია: საჟურნალო და საბარათო. დიდ დაწესებულებებში, სადაც დიდი რაოდენობით იყრის თავს შემოსული და გასული კორესპონდენცია, რეკომენდირებულია დოკუმენტების რეგისტრაცია მხოლოდ ბარათებზე.

21. შემოსული დოკუმენტების სარეგისტრაციო ჟურნალში ჩაწერა (ფორმა № 1) ხდება კორესპონდენციის შემოსვლის ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

22. რეგისტრაციის საბარათო სისტემის დროს ყოველი გარედან მიღებული დოკუმენტი რეგისტრირებულ უნდა იქნას ცალკე საკონტროლო-საალრიცხვო ბარათზე (ფორმა № 2).

საკონტროლო-საალრიცხვო ბარათი მოიცავს ისეთ ცნობებს დოკუმენტის შესახებ, რომლებიც საჭიროა საქმისწარმოებაში და არქივისათვის.

საკონტროლო-საალრიცხვო ბარათის პირველი გვერდი შეივსება საქმისწარმოებაში.

ბარათის სვეტში „საიდან არის მიღებული, ვის გაეგზავნა, ვის მიერაა დოკუმენტი შედგენილი" უნდა მიეთითოს დაწესებულების დასახელება, ვისგან შემოვიდა დოკუმენტი (მიღებული დოკუმენტებისათვის), დაწესებულების დასახელება, სად იგზავნება დოკუმენტი (გაგზავნილი დოკუმენტისათვის) და იმ სტრუქტურული დანაყოფის დასახელება, რომელშიც შედგა დოკუმენტი;

სვეტში „დოკუმენტის ინდექსი" ნაჩვენები უნდა იქნას მიღებული ან შედგენილი დოკუმენტის ინდექსი, რომელიც შედგება სტრუქტურული დანაყოფის ნომრისა ან სხვა რაიმე ნიშნისაგან და საქმის ნომრისაგან. დოკუმენტისათვის ინდექსი აიღება საქმეთა ნომენკლატურის შესაფერის სვეტიდან;

სვეტში „დოკუმენტის მიღების ან ხელის მოწერის თარიღი" ნაჩვენები უნდა იქნას თვით დაწესებულების მიერ შედგენილი დოკუმენტის ხელის მოწერის თარიღი ან გარედან მიღებული დოკუმენტის შემოსავლის თარიღი;

სვეტში „მიღებული დოკუმენტის თარიღი და ინდექსი" ნაჩვენები უნდა იქნას შემოსული დოკუმენტის თარიღი და ინდექსი.

სვეტში „დოკუმენტის შინაარსი“ ნაჩვენები უნდა იქნას დოკუმენტის სახეობა, მისი სათაური ან მოკლე შინაარსი, ხოლო განკარგულებებისათვის, ოქმებისათვის, ბრძანებებისა და სხვა მსგავსი დოკუმენტებისათვის მათი ნომრები.

სვეტში „რეზოლუცია“ ჩაიწერება დაწესებულების ხელმძღვანელის რეზოლუცია.

ბარათის პირველი გვერდის დანარჩენ სვეტში ჩაიწერება დოკუმენტის შესასრულებლად გადაცემის თარიღი, შემსრულებლის გვარი და აღნიშვნა შესრულებაზე.

საკონტროლო-საღრიცხვო ბარათის მეორე გვერდი საქმისწარმოებაში არ შეივსება.

მუდმივად შესანახი დოკუმენტების რეგისტრაცია ხდება საკონტროლო საღრიცხვო ბარათებზე, რომლებიც განსხვავდებიან დროებით შესანახ დოკუმენტების სარეგისტრაციო ბარათებისაგან ფერადი ზოლით.

საქმისწარმოებაში კონტროლისა და საცნობარო მუშაობისათვის საკონტროლო-საღრიცხვო ბარათებისაგან იქმნება კარტოთეკები (კატალოგები), რისთვისაც აღნიშნული ბარათები მრავლდება საჭირო ეგზემპლარების რაოდენობით.

სახეობათა შერჩევა და ბარათების რაოდენობა დამოკიდებულია დოკუმენტების მიმოქცევასა, დაწესებულების მოღვაწეობის ხასიათსა და საკონტროლო-საცნობარო მუშაობის საჭიროებისაგან.

კარტოთეკა წარმოადგენს საქმისმწარმოებლურ საცნობარო აპარატის ყველაზე მიზანშეწონილ სახეობას, რომელიც შედგენილია საქმეთა ნომენკლატურის შესაბამისად.

23. სარეგისტრაციო ჟურნალებში ან ბარათებში ყველა ჩანაწერი კეთდება მელნით, გარკვეული ხელწერით ან საწერ მანქანაზე. ჟურნალებსა და ბარათებში ჩანაწერები ფანქრით ან სხვა რაიმე შესწორებების გაკეთება დაუშვებელია.

24. მიღებულ რეგისტრირებულ დოკუმენტებს უკანასკნელი გვერდის ქვედა მარცხენა კუთხეში დაესმება შტამპი (ფორმა № 3), სადაც აღინიშნება დოკუმენტის მიღების თარიღი და შემოსვლის ნომერი, რომელიც შედგება შემოსული დოკუმენტის რეგისტრაციის რიგითი ნომრისაგან სტრუქტურული დანაყოფის ინდექსისაგან და იმ საქმის ნომრისაგან, რომელშიც შესრულების შემდეგ უნდა იქნას ჩაკერებული.

საქმის ნომერი (შემოსული დოკუმენტის მეორე შემადგენელი ნაწილი), აგრეთვე შემსრულებლის გვარი აღინიშნება სტრუქტურულ დანაყოფში.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სასოფლო და სადაბო აღმასკომებში შტამპზე ნაჩვენებია დოკუმენტის მიღების თარიღი, შემოსვლის რიგითი ნომერი და საქმის ნომერი.

25. კორესპონდენციის გადაცემა ერთი სტრუქტურული დანაყოფიდან მეორეში ხდება ამ დანაყოფების ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით ან დაწესებულების ხელმძღვანელის განკარგულებით, რის შესახებაც ჟურნალში ან სარეგისტრაციო ბარათში კეთდება სათანადო აღნიშვნა.

26. იმ დოკუმენტებზე, რომელთა მიხედვითაც ოპერატიულად შესრულდა მათში დასმული საკითხები, შემსრულებელი პირველ გვერდზე აკეთებს აღნიშვნას როდის და როგორ გადაწყდა საკითხი და ამოწმებს მას ხელის მოწერით.

27. იმ შემთხვევაში, თუ სტრუქტურული დანაყოფიდან დოკუმენტი უნდა დაბრუნდეს კანცელარიაში, დოკუმენტის პირველ გვერდზე დაისმება შტამპი „დასაბრუნებელია“.

### III. კონტროლი დოკუმენტების შესრულების ვადებზე

28. დოკუმენტები უნდა შესრულდეს იმ ვადებში, რომლებიც მითითებულია დოკუმენტებში და დაწესებულების ხელმძღვანელობის რეზოლუციებში.

29. იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტის შესრულების ვადა არ არის მითითებული, დოკუმენტი შესრულებულ უნდა იქნას არა უგვიანეს ათი დღის ვადისა.

თუ ხელმძღვანელობის რეზოლუციაში ვადა ნაჩვენებია დღეებით, მაშინ შესრულების ვადა ითვლება შემსრულებლის მიერ დოკუმენტის მიღების დღიდან.

30. შემოსული დოკუმენტების დროულად შესრულებაზე კონტროლი შეიძლება განხორციელდეს ორი საშუალებით — სარეგისტრაციო ბარათის ან შემოსული დოკუმენტების სარეგისტრაციო ჟურნალის მეშვეობით, აგრეთვე სვეტის „აღნიშვნა შესრულების შესახებ და საქმის ნომერი, სადაც ჩაკერებულია დოკუმენტი“ სისტემატურად გადასინჯვის გზით.

სარეგისტრაციო ბარათში ან ჟურნალში ჩაიწერება რეზოლუციის შინაარსი, კონტროლზე მყოფი დოკუმენტის შესრულების ვადა, შემსრულებლის გვარი; საბუთზე დაისმება შტამპი „კონტროლი“,

რის შედეგადაც დოკუმენტი გადაეცემა შემსრულებელს, ხოლო სარეგისტრაციო ბარათი მოთავსდება შესრულების ვადიან კარტოთეკაში.

31. კონტროლზე მყოფი დოკუმენტის ერთი შემსრულებლისაგან მეორეზე გადაცემის შემთხვევაში, სარეგისტრაციო ბარათში ან ჟურნალში აღინიშნება თარიღი და იმ შემსრულებლის გვარი, რომელსაც გადაეცა დოკუმენტი შემდგომი შესრულებისათვის.

32. დოკუმენტი ჩაითვლება შესრულებულად და ჩაიკერება სათანადო საქმეში მხოლოდ მაშინ, როდესაც ადრესატს გაეგზავნება საბოლოო პასუხი.

33. კონტროლზე აყვანილი დოკუმენტის შესრულებაზე სარეგისტრაციო ბარათში, ჟურნალში ჩაიწერება საჭირო ცნობები (თარიღი, ადრესატის დასახელება, გვარი და თანამდებობა იმ პირისა, რომელმაც მოაწერა ხელი პასუხზე), ამის შემდეგ ბარათი მოთავსდება შესრულებულ დოკუმენტთა კარტოთეკაში.

34. გასულ დოკუმენტებზე კონტროლს აწარმოებენ უშუალოდ ის დაწესებულებები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან პასუხის მიღებით. კონტროლზე, როგორც წესი, აიყვანება მხოლოდ ის გასული დოკუმენტი, რომელიც თავისი შინაარსის მიხედვით საჭიროებს პასუხის მიღებას.

35. გასულ დოკუმენტზე კანცელარიაში შემოღებულ უნდა იქნას საკონტროლო ბარათი, რომელშიც აღინიშნება შემდეგი მონაცემები: ვის და როდის გაეგზავნა დოკუმენტი, მისი გასავლის ნომერი, მოკლე შინაარსი და შესრულების ვადა.

კონტროლზე აყვანილი გასული დოკუმენტების პირები ინახება „პასუხის მოლოდინის" საქმეში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

საპასუხო დოკუმენტის მიღების შემდეგ დოკუმენტის პირი ამოიღება „პასუხის მომლოდინე" საქმიდან, შეუერთდება შემოსულ წერილს და მთელი მასალა გადაეცემა დაწესებულების ხელმძღვანელს მოხსენებისათვის, ხოლო საკონტროლო ბარათი განადგურდება.

36. საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტის შემდეგ მთელი მიმოწერა ჩაკერდება სათანადო საქმეში.

### IV. მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების მიღება, რეგისტრაცია და განხილვა

37. მშრომელთა წერილებს, განცხადებებსა და საჩივრებს მარჯვენა ზემო კუთხეში დაესმება შტამპი, რომლებზედაც აღინიშნება:

შემოსვლის თარიღი, განმცხადებლის გვარის პირველი ასო და რიგითი ნომერი (შემოსვლის).

38. წერილების, განცხადებებისა და საჩივრების რეგისტრაცია ხდება ბარათებზე ან ჟურნალში (ფორმა № 4 და 5) და ამის შესახებ იმავე დღეს მოხსენდება დაწესებულების ხელმძღვანელობას. დოკუმენტის დაბრუნების შემდეგ სარეგისტრაციო ბარათში აღინიშნება ხელმძღვანელის რეზოლუცია და შემსრულებლის გვარი.

39. ყოველ წერილზე, განცხადებასა და საჩივარზე ივსება ორი ბარათი, რომელთაგან, ერთი ინახება საცნობარო კარტოთეკაში — მეორე კი წერილთან, განცხადებასა და საჩივართან ერთად გადაეცემა სათანადო სტრუქტურულ დანაყოფს ან შემსრულებელს.

თუ წერილების, განცხადებებისა და საჩივრების რეგისტრაცია ხდება ჟურნალში, რეკომენდირებულია იქონიონ ბარათები (ფორმა № 6), რომლებიც მოთავსდება კარტოთეკაში ანბანური რიგით.

სტრუქტურულ დანაყოფებში მათი განმეორებითი რეგისტრაცია არ წარმოებს.

40. კონტროლზე აყვანილი წერილების, განცხადებებისა და საჩივრების ბარათები მოთავსდება კარტოთეკაში მათი შესრულების ვადების მიხედვით.

41. თუ წერილი, განცხადება, საჩივარი გადაეგზავნა დაწესებულებას ზომების მისაღებად, ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს განმცხადებელს წერილობით; საჩივარი აყვანილ უნდა იქნას კონტროლზე.

42. საჩივრები, როგორც წესი, არ გადაეგზავნება იმ დაწესებულებებსა და პირებს, რომლებზედაც ისინი არიან შეტანილი.

43. კონტროლზე აყვანილი წერილები, განცხადებები და საჩივრები ჩაითვლება შესრულებულად მხოლოდ მაშინ, როდესაც გადაიჭრება მათში დასმული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობება განმცხადებელს.

დოკუმენტის შესრულების შესახებ აღნიშვნა კეთდება სარეგისტრაციო ბარათში ან ჟურნალში.

44. მიღებაზე გამოცხადებულ მოქალაქეთა და ზეპირი განცხადებებით გამოტანილ გადაწყვეტილებათა აღრიცხვა წარმოებს ბარათებზე ან ჟურნალში (ფორმა № 7 და 8).

45. წერილებზე, განცხადებებსა და საჩივრებზე პასუხის გაცემისას გასვლის ნომრად ჩაითვლება მიღებული წერილის, განცხადების, საჩივრის შემოსვლის ნომერი.

46. წერილების, განცხადებებისა და საჩივრებისაგან საქმეების ფორმირება ხდება მათი შესრულების ადგილზე (კანცელარიაში) ცალკე, საერთო მიმოწერისაგან.

### V. სამსახურებრივი დოკუმენტების შედგენა, გაფორმება და გამრავლება

47. დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოთა საქმიანობის პროცესში შეიძლება წარმოიქმნან შემდეგი ძირითადი სახეობის დოკუმენტები: დადგენილებები, გადაწყვეტილებები, განკარგულებები, ბრძანებები, ინსტრუქციები, დებულებები, წესდებები, ოქმები, გეგმები, ანგარიშები, მოხსენებები, მოხსენებითი ბარათები, ცნობები, წერილები და სხვა.

48. დოკუმენტები თავისი გაფორმებისა და ხასიათის მიხედვით იყოფიან: დედნები (ორიგინალი) და პირები.

დედანი (ორიგინალი) არის სათანადო წესით გაფორმებული დოკუმენტის პირველი ეგზემპლარი (დოკუმენტი დაწერილი ბლანკზე, თანამდებობრივი პირის მიერ ხელმოწერილი, საჭიროების შემთხვევაში დამოწმებული ბეჭდით).

დოკუმენტის პირი (შემოწმებული) — დედნის ზუსტი წარმოქმნა.

49. დადგენილებები, გადაწყვეტილებები, განკარგულებები, ბრძანებები, ინსტრუქციები, წერილები უნდა იქნან გულდასმით რედაქტირებული და დაბეჭდილი ბლანკზე, დადგენილი ნიმუშის მიხედვით (ფორმა № 9-14).

50. საჭიროების შემთხვევაში დადგენილებები, გადაწყვეტილებები, განკარგულებები, ბრძანებები, ინსტრუქციები ვიზირებულ უნდა იქნან (შემსრულებლების, დაინტერესებული სამმართველოების და უწყებების ხელმძღვანელების, განყოფილებების, იურისკონსულტის მიერ); ვიზირების შემდეგ დოკუმენტს ხელს აწერს დაწესებულების ხელმძღვანელი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში — მისი მოადგილე.

51. ხელმოწერილი დადგენილებები, გადაწყვეტილებები, განკარგულებები, ბრძანებები, ინსტრუქციები გადაეცემა კანცელარიას ჟურნალში რეგისტრაციისათვის (ფორმა № 15-19); მათი ნუმერაცია წარმოებს ცალკე, წლის დასაწყისიდან ბოლომდე, ხოლო გამოშვების თარიღად ჩაითვლება დოკუმენტზე ხელის მოწერის დღე. განკარგულების რიგით ნომერს დაემატება ასო „რ“ (მაგალითად, 1-რ).

52. ბრძანებები პირად შემადგენლობაზე ტარდება რეგისტრაციაში, დაინომრება და გაფორმდება საქმეებად საორგანიზაციო და საწარმოო ხასიათის ბრძანებებისაგან განცალკევებით.

53. დადგენილებები, გადაწყვეტილებები, განკარგულებები, ბრძანებები, ინსტრუქციები დაეგზავნება დაქვემდებარებულ დაწესებულებებს რეგისტრაციის დროს მიკუთვნებული ნომრით, ან ცალკეულ შემთხვევაში თანხლებული მიმართვის ნომრით.

**შენიშვნა:** თანხლებული მიმართვები დაერთვის მხოლოდ იმ დოკუმენტებს, რომლებიც აუცილებლად საჭიროებენ შეტყობინებას მათი მიღების შესახებ.

54. დადგენილების, გადაწყვეტილების, განკარგულების, ბრძანების, ინსტრუქციის ყოველ დანართს პირველი გვერდის ზემო მარჯვენა კუთხეში მიეთითება „დანართი № ———; ——————— თან „ “ ——————— 19 ——————— წელს № ———————“, ხოლო მომდევნო გვერდებზე „დანართის გაგრძელება № ———————“ ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება აღვნიშნოთ გრიფი — „დამტკიცებულია დადგენილებით, განკარგულებით, ბრძანებით „———“ ——————— ——————— 19 ——————— წელს № ———————“.

55. დადგენილებების, გადაწყვეტილებების, განკარგულებების, ბრძანებების და ინსტრუქციების კონცენტრაცია ხდება, როგორც წესი, კანცელარიაში. მათგან ფორმდება ცალკე საქმეები, სადაც დოკუმენტები განლაგდება ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

56. დანართები, მიუხედავად მათი თარიღისა, შეუერთდება იმ დოკუმენტებს, რომლებსაც ისინი შეეხება. თუ ინსტრუქცია მტკიცდება ბრძანებით, მაშინ მისი დედანი ეგზემპლარი დაერთვის ამ ბრძანებას (დედანს).

57. დადგენილებების, გადაწყვეტილებების, განკარგულებების, ბრძანებების, ინსტრუქციების დედნები ფორმდება მათ მომზადებასთან დაკავშირებული დოკუმენტებისაგან განცალკევებით.

58. დადგენილებების, გადაწყვეტილებების, განკარგულებების და ბრძანებების პირებისაგან, რომლებიც შეეხებიან ამა თუ იმ დაქვემდებარებული დაწესებულების საქმიანობას, ფორმდება ცალკე საქმე და ინახება მუდმივად.

**შენიშვნა:** ანალოგიური ხასიათის დოკუმენტების პირებისაგან, რომლებიც იგზავნება ცნობისათვის, ფორმდება ცალკე საქმე და ინახება დროებით.

59. პრეზიდიუმების, საბჭოების, კოლეგიების, კომისიების, გამგეობების სხდომებისა და თათბირებისათვის შემოღებულია ოქმი

(ფორმა № 20), რომელიც უნდა შედგეს მოკლედ და რომელშიაც წარმო-ჩვენები უნდა იქნას განხილული საკითხები, სიტყვებში გამოსულთა გვარები, განხილული საკითხების და მიღებულ წინადადებათა არსი.

60. ოქმები ღებულობენ რიგით ნომერს წლის დასაწყისიდან. მორიგი ოქმის ნომერი განისაზღვრება საქმეში ჩაკერებული წინა ოქმის დედნით.

61. სათანადოდ გაფორმებული ოქმი და დანართები ჩაიკერება საქმეში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით (ჩატარებული სხდომების თარიღის მიხედვით). დანართები მოთავსდება იმ ოქმების შემდეგ, რომლებსაც ისინი მიეკუთვნებიან.

სხდომების, თათბირების, საერთო კრებების სტენოგრამები, აგრეთვე ის დოკუმენტები, რომლებიც დაკავშირებული არიან მათ მომზადებასთან, ჩაიკერება ცალკე საქმეში.

62. სამსახურებრივი წერილი, როგორც წესი, უნდა შედგეს ერთ საკითხზე და უნდა იყოს მოკლე და გასაგები.

63. წერილის ტექსტამდე მოთავსდება მისი მოკლე შინაარსი (სათაური), გადმოცემული ერთი ფრაზით (არა უმეტეს ერთი-ორი სტრიქონისა). წერილებს, რომელთა შინაარსი არ აღემატება 4-6 სტრიქონს, სათაური არ გაუკეთდება.

წერილობით შეკითხვაზე პასუხის გაცემისას, ადრესატის დასახელების შემდეგ, აუცილებლად კეთდება მითითება შეკითხვის ნომერსა და თარიღზე.

სამსახურებრივ დოკუმენტებში ნაკლებად ცნობილი შემოკლებების ან ცნებების ხმარება აკრძალულია.

64. თუ წერილს დართული აქვს ესა თუ ის დოკუმენტი, მაშინ წერილის ტექსტის ბოლოს სიტყვა „დანართის“ შემდეგ უნდა აღინიშნოს დართული დოკუმენტების დასახელება და ფურცელთა რაოდენობა.

65. სამსახურებრივ დოკუმენტებს ხელს აწერს ერთი თანამდებობრივი პირი თუ დოკუმენტის შინაარსი არ სცილდება მისი რწმუნების ფარგლებს.

ორი ხელის მოწერა აქვთ დადგენილებებს, გადაწყვეტილებებს, ოქმებს და იმ ფულადი ხასიათის დოკუმენტებს, რომლებზედაც, გარდა ბუღალტრის ხელის მოწერისა, საჭიროა კრედიტების განმკარგულებლის ხელის მოწერაც. კოლექტიური ხასიათის დოკუმენტები დამოწმდება რამდენიმე ხელის მოწერით (ხელშეკრულებები, კოლეგიის სხდომების ოქმები და სხვა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმნიშვნელოვანეს შინაგან დოკუმენტებს (ბრძანებები, განკარგულებები, გეგმები, ანგარიშები და სხვ.), აგრეთვე იმ დოკუმენტებს, რომლებიც იგზავნება ზემდგომ ორგანიზაციებში, ხელს აწერს დაწესებულების ხელმძღვანელი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში — მოადგილე.

სტრუქტურული დანაყოფების ხელმძღვანელები ხელს აწერენ იმ დოკუმენტებს, რომლებიც ეგზავნებათ დაქვემდებარებულ დაწესებულებებს მათი კომპეტენციის ფარგლებში.

ხელის მოწერა შედგება ხელის მომწერი პირის თანამდებობისა, მისი გვარისა და ინიციალებისაგან. როგორც წესი, ხელის მოწერა წარმოებს სამსახურებრივი დოკუმენტების დედნებზე, ხოლო პირები უნდა შემოწმდეს.

როდესაც დოკუმენტი იგზავნება რამდენიმე მისამართით უმაღლეს ინსტანციებში, მაშინ დაწესებულების ხელმძღვანელი ხელს აწერს ყველა ეგზემპლარს, ხოლო საქმეში რჩება შემოწმებული პირი.

როდესაც დოკუმენტი იგზავნება დაქვემდებარებულ დაწესებულებაში რამდენიმე მისამართით, მაშინ ხელს აწერენ ერთ ეგზემპლარს, რომელიც რჩება დაწესებულების საქმეში შესანახად, ხოლო კანცელარიის ან შემსრულებლის მიერ შემოწმებული პირები იგზავნება.

დოკუმენტის პირის შემოწმებისას აღინიშნება თანამდებობრივი პირის ხელის მოწერის ქვეშ დოკუმენტის შემმოწმებელის თანამდებობა და ხელის მოწერა.

შენიშვნა: დოკუმენტების პირები, რომლებიც შეეხება მოქალაქეთა პირად უფლებებს და ინტერესებს, იბეჭდება დაწესებულების ბლანკზე და დამოწმდება დაწესებულების ხელმძღვანელის პირადი ხელის მოწერით და ბეჭდით.

66. დოკუმენტის პროექტის მომზადების ან შეთანხმების პროცესში კეთდება ვიზა — იმ პირთა ხელის მოწერა, რომლებმაც მოამზადეს და ვისთანაც შეთანხმებული იყო პროექტი. ვიზა მოთავსდება: შინაგან დოკუმენტებზე (ბრძანებები, განკარგულებები და სხვა) — დედნის ქვედა მარცხენა აშიაზე; საგარეო დოკუმენტებზე — პირის ქვედა მარცხენა აშიაზე. დოკუმენტის ვიზირების დროს აუცილებლად ნაჩვენები უნდა იქნას თარიღი და თანამდებობა.

67. დაწესებულების ბეჭედი დაესმება იმ დოკუმენტებს, რომლებიც მოითხოვენ აუცილებელ დამოწმებას (მოწმობები, ცნობე-

ბი, მინდობილობები, ხელშეკრულებები, დოკუმენტების [illegible] და სხვა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

68. სამსახურებრივი დოკუმენტების ძირითად თარიღს წარმოადგენს მათი ხელის მოწერის დღე, რომელიც ნაჩვენებია დოკუმენტის ბლანკზე. გამონაკლისს წარმოადგენენ ოქმები, მათთვის ძირითად თარიღად ჩაითვლება ჩატარებული სხდომების, თათბირების დღე.

69. სამსახურებრივი დოკუმენტის შედგენა იწყება ადრესატის ჩვენებით. ცნება ადრესატში იგულისხმება დაწესებულების სახელწოდება ან იმ პირის თანამდებობა და გვარი, ვისი მისამართითაც იგზავნება დოკუმენტი. წერილი, რომელიც იგზავნება რამდენიმე მისამართით, აუცილებლად ხაზგასმულ უნდა იქნას ის ადრესატი, რომელსაც ეგზავნება მოცემული წერილის ეგზემპლარი.

ადრესატი აღინიშნება დოკუმენტის დასაწყისში (თუ ბლანკი მოთავსებულია ზედა მარცხენა კუთხეში), ან ბლანკის ქვეშ, თუ უკანასკნელი მოთავსებულია დოკუმენტის ზედა აშიაზე.

70. აღნიშვნები დოკუმენტზე „ავია“, „ფასიანი“, „დაზღვეული“ და სხვა კეთდება შემსრულებლის მიერ მხოლოდ დოკუმენტის პირზე, ზედა მარჯვენა კუთხეში, ადრესატის ზევით.

71. დეპეშა იწერება ორ ეგზემპლარად, სიტყვების გადატანისა და შესწორების გარეშე. დეპეშის შინაარსი უნდა გადმოიცეს მოკლედ, კავშირების, თანდებულების გარეშე ისე, რომ არ დამახინჯდეს დეპეშის შინაარსი. დეპეშის სახეობათა განსაკუთრებული აღნიშვნები („სასწრაფო“, „ელვა“) კეთდება ადრესატის დასახელებამდე, ხოლო ხელის მოწერა — ახალი სტრიქონიდან.

დოკუმენტის დასაბეჭდად გადაცემისას შემსრულებელი ხელნაწერის პირველ გვერდზე მიუთითებს საჭირო ეგზემპლართა რაოდენობაზე, თავის გვარს და მასალის ჩაბარების თარიღს.

72. დადგენილებების, გადაწყვეტილებების, განკარგულებების, ბრძანებების, ინსტრუქციების, მოხსენებითი ბარათების, წლიური გეგმების, წლიური ანგარიშების დედნები და მათი პირები უნდა სრულდებოდეს უმაღლესი ხარისხის ქაღალდზე.

73. დასაბეჭდად გადასაცემი სამსახურებრივი დოკუმენტები უნდა დაიწეროს გარკვევით და, აუცილებლად, მელნით.

74. დოკუმენტი უნდა დაიბეჭდოს ისე, რომ დატოვებულ იქნას თავისუფალი აშია რეზოლუციისა, საქმისმწარმოებლური აღნიშვნებისა და ჩასაკერებლად. პირველ გვერდზე — არანაკლებ 4 სმ., მომდევნო გვერდებზე 3 სმ. იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტი

იბეჭდება ფურცლის ორთავე მხარეს, მაშინ აშია პირველ გვერდზე დატოვებულ იქნება მარცხნივ, ხოლო მეორე მხარეს — მარჯვნივ.

75. ყოველი დოკუმენტის დედნის უკანასკნელი ფურცლის მეორე გვერდზე, მარცხნივ, ბოლოში აღინიშნება მემანქანის ინიციალები და დაბეჭდილი ეგზემპლარების რაოდენობა, ხოლო დოკუმენტის პირზე — შემსრულებლის გვარი.

### VI. გასული კორესპონდენციის გაფორმება და გაგზავნა

76. გასული კორესპოდენცია ეწოდება დაწესებულებიდან გაგზავნილ სამსახურებრივ ფოსტას.

77. გასაგზავნად განკუთვნილი დოკუმენტები ხელის მოწერის შემდეგ, ყველა დანართებით, გადაეცემა კანცელარიას. დოკუმენტის მასობრივად დაგზავნისათვის შემსრულებელი კანცელარიას გადასცემს იმ დაწესებულებებისა და პირთა სიას, რომელთაც უნდა დაეგზავნოთ კორესპოდენცია.

78. კანცელარიაში შემოსული კორესპოდენცია გადაისინჯება გულდასმით, იმ მიზნით, რომ შემოწმდეს მისამართები, დანართები დოკუმენტებთან, ხელის მოწერა და სხვა.

79. სტრუქტურული დანაყოფის ხელმძღვანელი ყოველ შესრულებულ დოკუმენტზე აკეთებს აღნიშვნას შესრულებისა და მისი საქმეში მოთავსების შესახებ, ამასთანავე მიუთითებს საქმის ნომერს ნომენკლატურასთან შეფარდებით. დოკუმენტს, რომელიც არ საჭიროებს პასუხს, გაუკეთდება წარწერა: „პასუხს არ საჭიროებს. № ——— საქმეში“.

80. გასული დოკუმენტების რეგისტრაცია ხდება საჟურნალო და საკარტოთეკო სისტემის მიხედვით (ფორმა № 21 და 2).

81. საბარათო სისტემის დროს ყოველ გასულ დოკუმენტს გაუკეთდება რეგისტრაცია ცალკე ბარათზე.

82. სარეგისტრაციო ჟურნალში ან ბარათში სათანადო ჩანაწერების გაკეთების შემდეგ რეგისტრირებული დოკუმენტის ბლანკში და პირის ზედა მარცხენა კუთხეში ჩაიწერება გასვლის ნომერი და თარიღი. გასვლის ნომერი შედგება გასული დოკუმენტის რეგისტრაციის რიგითი ნომრისაგან, სტრუქტურული დანაყოფის ინდექსისა და საქმის ნომრისაგან, რომელშიც უნდა ჩაკერდეს პირი.

დოკუმენტები, რომლებიც არ საჭიროებენ სათანადო განმარტებებს, იგზავნებიან მიმართვის წერილის გარეშე, თუ ასეთი სახის დოკუმენტები იბეჭდება ბლანკის გარეშე, მაშინ გასვლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნომერი და თარიღი დაიწერება ხელის მოწერის შემდეგ ქვემო მარცხენა კუთხეში.

თუ გაგზავნილი დოკუმენტის დედანი უნდა დაუბრუნდეს გამგზავნს, მაშინ დოკუმენტის პირველი გვერდის მარჯვენა ქვედა კუთხეში დაისმის შტამპი „დასაბრუნებელია“. დოკუმენტები, რომლებიც ერთდროულად ეგზავნება ერთ და იგივე ადრესატს, უნდა მოთავსდეს ერთ კონვერტში.

83. კონვერტზე მისამართი დაიწერება მელნით, ზუსტად, შემოკლებების გარეშე (ქალაქი, დაწესებულების დასახელება და მიმღების გვარი, თუ დოკუმენტი ეგზავნება გარკვეულ პირს).

კონვერტის ქვედა მარცხენა ნაწილში დაიწერება მასში მოთავსებული ყველა დოკუმენტის ნომერი, დაწესებულების—გამგზავნის მისამართი.

84. კონვერტის დაწებებამდე უნდა შემოწმდეს მასში მოთავსებული საბუთებისა და მისამართის დაწერის სისწორე.

85. კანცელარიის მიერ გასული კორესპონდენცია იგზავნება მისი მიღების დღეს. დეპეშები და სასწრაფო კორესპონდენცია კი იგზავნება დაუყოვნებლივ.

86. მუდმივ კორესპონდენტებს დოკუმენტები ეგზავნებათ სტამბური წესით დაბეჭდილი კონვერტებით, რომლებზედაც აღნიშნულია მიმღებისა და გამგზავნის მისამართები.

87. ფოსტით გასაგზავნ კორესპონდენციაზე უნდა შედგეს რეესტრი ორ ეგზემპლარად. ადგილობრივ ადრესატებს დოკუმენტები ჩაბარდებათ დასატარებელი წიგნის საშუალებით ხელწერილქვეშ (ფორმა № 23).

## VII. ნომენკლატურის შედგენა და მიმდინარე საქმისწარმოებაში საქმეთა ფორმირება

88. დაწესებულების საქმისწარმოების ორგანიზაციის სწორად დაყენებისა და მისი მოღვაწეობის პროცესში შექმნილი დოკუმენტებისაგან საქმეების ფორმირების ერთიანი სისტემის შემოღების მიზნით უნდა შედგეს საქმეთა ნომენკლატურა (ფორმა № 24).

ნომენკლატურა წარმოადგენს საქმეების დასახელების სისტემატურ ნუსხას, რომლებიც განსაზღვრულია შემოღებულ იქნეს მომავალი წლიდან.

89. საქმეთა ნომენკლატურის შესადგენად, როგორც წესი, გამოიყენება დოკუმენტურ მასალათა საუწყებო ნუსხა შენახვის ვა-

დების ჩვენებით (თუ უწყებას არ გააჩნია თავისი ნუსხა, მაშინ ხელმძღვანელობს ტიპიურ დოკუმენტურ მასალათა ნუსხით).

საქმეთა ნომენკლატურის შესადგენად გამოიყენება აგრეთვე დაწესებულებისა და მისი სტრუქტურული დანაყოფების დამტკიცებული წესდება ან დებულება, სამუშაო გეგმები და ანგარიშები, შემოსული კორესპოდენციის საალრიცხვო მასალები და არქივში ჩაბარებული საქმეების აღწერები.

90. დაწესებულების სტრუქტურული დანაყოფები (სამმართველოები, განყოფილებები, სექტორები) ყოველწლიურად მომავალი წლის დასაწყისისათვის ადგენენ საქმეთა ნომენკლატურას, რომელიც შეუთანხმდება კანცელარიას ან მოცემული დაწესებულების არქივს, ან არქივზე პასუხისმგებელ პირს და მტკიცდება სტრუქტურული დანაყოფების ხელმძღვანელების მიერ.

91. სტრუქტურული დანაყოფების საქმეთა ნომენკლატურის საფუძველზე კანცელარია ადგენს დაწესებულების საერთო (ნაერთ) საქმეთა ნომენკლატურას, რომელიც შეთანხმებულ უნდა იქნას:

ა) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოსთან (საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების დაწესებულება-ორგანიზაციებისა და საწარმოთა დოკუმენტალური მასალები, რომლებიც უნდა ჩაბარდეს განსაზღვრულ ვადებში სახელმწიფო შენახვაზე საქ. სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალურ სახელმწიფო არქივს და მის ფილიალს ქ. ქუთაისში);

ბ) აფხაზეთის და აჭარის ასსრ საარქივო განყოფილებებთან (აფხაზეთის და აჭარის იმ დაწესებულება-ორგანიზაციებისა და საწარმოების დოკუმენტური მასალები, რომლებიც უნდა ჩაბარდეს აფხაზეთისა და აჭარის შესაბამის საოლქო სახელმწიფო არქივებს);

გ) საოლქო აღმასკომის საარქივო განყოფილებასთან (სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დაწესებულება-ორგანიზაციებისა და საწარმოთა დოკუმენტური მასალები, რომლებიც უნდა ჩაბარდეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო არქივს);

დ) საქალაქო-სარაიონო სახელმწიფო არქივებთან (ყველა დანარჩენი საქალაქო და რაიონული დაქვემდებარების დაწესებულება-ორგანიზაციებისა და საწარმოების, აგრეთვე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დოკუმენტური მასალები, რომლებიც უნდა ჩაბარდეს საქალაქო-სარაიონო სახელმწიფო არქივს).

შეთანხმებული ნომენკლატურა მტკიცდება დაწესებულების ხელმძღვანელობის მიერ და ძალაში შედის 1 იანვრიდან.

საქმეთა ნომენკლატურა უმნიშვნელო ცვლილებების შემთხვევაში არ მოითხოვს ხელმეორედ დამტკიცებას და შედგენას, არამედ ყოველწლიურად გადაიბეჭდება არსებული ცვლილებების გათვალისწინებით.

92. საქმეთა ნომენკლატურის პრაქტიკულად გამოყენებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ინდექსაციას. ყოველ სტრუქტურულ დანაყოფს მიეკუთვნება ინდექსი.

93. ინდექსების სისტემა შეიძლება იყოს სამი სახის: ციფრობრივი (არაბული და რომაული ციფრები), ანბანური (ასოები რუსული, ქართული და ლათინური ალფაბეტის) და შერეული (ასოებისა და ციფრების შეხამება).

94. სტრუქტურული დანაყოფების სახელწოდებები ნაერთ ნომენკლატურაში ასრულებენ განყოფილებების როლს, რომლებიც განლაგებულია მნიშვნელობისდა მიხედვით თანახმად დამტკიცებული სტრუქტურისა.

განყოფილებების შიგნით საქმეების სათაურები განლაგდება იმ რიგზე, როგორც ისინი შეტანილი არიან სტრუქტურული დანაყოფების საქმეთა ნომენკლატურაში.

ნომენკლატურაში თავდაპირველად შეტანილ უნდა იქნას საქმეთა სათაურები ზემდგომი დაწესებულებების დოკუმენტებით, შემდეგ კი სხვა სათაურები მათი მნიშვნელობისდა მიხედვით.

95. ნაერთ ნომენკლატურაში ყოველი სტრუქტურული დანაყოფისათვის დატოვებულ უნდა იქნას სარეზერვო რიგითი ნომრები.

96. მომდევნო წლის ნომენკლატურაში, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება შეტანილ იქნეს დამატებითი საქმეების სათაურები, რომლებსაც მიეკუთვნებათ სარეზერვო რიგითი ნომრები.

97. საქმეთა სათაურები, რომელთა საკითხის გადაჭრა მიმდინარეობს ორი და მეტი წელი (გადასული საქმეები), შეტანილ უნდა იქნან ნომენკლატურაში ყოველწლიურად, მთელი იმ ვადის განმავლობაში, რამდენიც დასჭირდება საკითხის გადაჭრას.

98. სხვა დაწესებულებიდან მიღებული საქმისწარმოებით დაუმთავრებელი საქმე შეტანილ უნდა იქნას მოქმედ ნომენკლატურაში.

99. დაწესებულების მიერ დამუშავებული საქმეთა ნომენკლატურა უნდა მოიცავდეს როგორც მისი მოღვაწეობის პროცესში შექმნილ, ისე გარედან მიღებულ მთელ დოკუმენტაციას. ნომენ-

კლატურის დასაწყისში უნდა შეტანილ იქნას საქმეები ზემდგომი ორგანიზაციების დადგენილებებით და ბრძანებებით, ქვემოთ თანმიმდევრულად განლაგდება საქმეები გეგმიანობის, ანგარიშგების და სხვა საკითხებზე.

სათაურები განლაგდება დაახლოებით შემდეგი თანმიმდევრობით: დებულებები, ბრძანებები, გეგმები, ანგარიშები და სხვა; დოკუმენტები ერთგვაროვანი შინაარსით მოთავსდება ერთი მეორის თანმიყოლებით: წლიურ საბუღალტრო ანგარიშებს მიჰყვება კვარტალური, კვარტალურს ყოველთვიური ანგარიშები და სხვა.

ნომენკლატურაში ერთგვაროვანი სათაურები შეიძლება განლაგდეს კორესპონდენტების (ანბანზე) ან გეოგრაფიულ დასახლებათა მიხედვით.

თუ კორესპოდენტების დასახელება შეცვლილია ნომრებით — შიფრით (სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები, ფაბრიკა-ქარხნები და სხვა), მაშინ სათაურები ნომენკლატურაში განლაგდება კორესპონდენტების ნომრების რიგზე.

100. საქმისწარმოებით დამთავრებული დოკუმენტებისაგან ფორმდება საქმეები, დამტკიცებულ ნომენკლატურასთან შეფარდებით.

101. საქმეთა ფორმირების დროს საჭიროა დავიცვათ შემდეგი აუცილებელი მოთხოვნები:

ა) დოკუმენტების სწორი მიკუთვნება ამა თუ იმ საქმისათვის;

ბ) საქმის შიგნით დოკუმენტების თანმიმდევრული დაჯგუფება — ანბანის, ქრონოლოგიური ან საკითხის გადაჭრის მიხედვით;

გ) საქმის ერთი მიმდინარე წლის დოკუმენტებისაგან გაფორმება. გამონაკლისს წარმოადგენს პირადი, სასამართლო საქმეები, აგრეთვე საქმეები, რომელთა ხანგრძლივი ფორმირება გამოწვეულია საკითხის გადაჭრის მიმდინარეობით;

დ) მუდმივი და დროებითი შენახვის ვადებიანი დოკუმენტების ცალ-ცალკე საქმეებად ფორმირება.

**შენიშვნა:** არის შემთხვევები, როდესაც დროებით ერთ საქმეში ხვდება სხვადასხვა შენახვის ვადებიანი დოკუმენტები ერთი გარკვეული საკითხის გადაჭრასთან დაკავშირებით. საქმისმწარმოებლური წლის დამთავრების შემდეგ მათგან ფორმდება საქმეები:

ერთში — მუდმივად შესანახი დოკუმენტები, მეო-
რეში — დროებით შესანახი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) შავად ნაწერის, ზედმეტი და განმეორებული ეგზემპლარების ამოღება.

102. მიმდინარე საქმისწარმოებაში შესრულებული დოკუმენტები უნდა მოთავსდეს ყდაში — სწრაფმკერავებში, რეგისტრატორებში, ხოლო წლის ბოლოს მუდმივად შესანახი დოკუმენტები მოთავსდება მაგარ მუყაოს ყდაში.

შეუსრულებელი დოკუმენტების საქმეში ჩაკერება აკრძალულია.

103. ყოველი საქმე უნდა შეიცავდეს არა უმეტეს 250 ფურცლისა, თუ დოკუმენტები ბევრია, მაშინ ფორმდება საქმის მეორე ტომი.

## VIII. დოკუმენტური მასალების შენახვა საქმისწარმოებაში

104. საქმისწარმოების ცენტრალიზებული სისტემის დროს დოკუმენტები ინახება დაწესებულების კანცელარიაში, ხოლო შერეული სისტემის დროს სტრუქტურულ დანაყოფებში.

105. საქმისწარმოებით დამთავრებული დოკუმენტები ერთი წლის მანძილზე ინახება კანცელარიაში ან სტრუქტურულ დანაყოფში მიმდინარე საცნობარო მუშაობისათვის, ხოლო შემდეგ მოწესრიგებული სახით ჩაბარდება დაწესებულების არქივს.

106. დოკუმენტების მოწესრიგება, მათი შერჩევა შესანახად და გასანადგურებლად გამოყოფა წარმოებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მთავარ საარქივო სამმართველოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოს ინსტრუქციებით. საქმეთა შენახვის ვადები განისაზღვრება ტიპიური და საუწყებო ნუსხით.

არქივში მასალების ჩაბარება ხდება წელიწადში ერთხელ, დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ დადგენილ ვადებში.

107. მასალები უნდა ინახებოდეს კარადებში. ყოველი კარადის შიგნით დამაგრდება მასში დაცული საქმეების აღწერა.

108. შესრულებული დოკუმენტების ან საქმისწარმოებით დამთავრებული საქმეების შენახვა თანამშრომელთა მაგიდის უჯრებში აკრძალულია.

109. თანამშრომლები ინახავენ მხოლოდ იმ დოკუმენტებს, რომლებიც იმყოფება მათთან შესასრულებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

110. სამსახურებრივი დოკუმენტების შინაარსი არ უნდა იქნას გახმაურებული. დოკუმენტებზე მუშაობისა და მათი შენახვის დროს უნდა იქნას დაცული სიფხიზლე. მასალების გამოქვეყნება დასაშვებია მხოლოდ დაწესებულების ხელმძღვანელის ნებართვით.

111. ცალკეული დოკუმენტების ან საქმეების შენობიდან გატანა, ერთი სტრუქტურული ნაწილიდან მეორეში გადაცემა, საქმეებიდან დოკუმენტების ამოღება წარმოებს მხოლოდ დაწესებულების ან სტრუქტურული დანაყოფის ხელმძღვანელის ნებართვით.

**შენიშვნა:** საქმიდან დოკუმენტის ამოღების შემთხვევაში უნდა შედგეს აქტი, რომელიც მოთავსდება ამოღებული დოკუმენტის საქმეში. ამოღებული დოკუმენტის ნაცვლად საქმეში შეიძლება მოთავსდეს მისი შემოწმებული პირი. საქმის შემამოწმებელ ფურცელზე უნდა აღინიშნოს საქმეში აქტის არსებობის შესახებ.

112. თანამშრომლის შვებულებაში ან მივლინებაში ყოფნის შემთხვევაში დოკუმენტები გადაეცემა სხვა თანამშრომელს დაწესებულების ან სტრუქტურული დანაყოფის ხელმძღვანელის მითითებით. თანამშრომლის სამსახურიდან დათხოვნის ან გადაჯგუფებისას ყველა გადასაცემ დოკუმენტსა და საქმეზე უნდა შედგეს მიღება-ჩაბარების აქტი, დოკუმენტების ფურცლობრივი გადასინჯვის გზით. დოკუმენტებისა და საქმეების მიღება-ჩაბარების აქტები მტკიცდება დაწესებულების ან სტრუქტურული დანაყოფის ხელმძღვანელის მიერ.

113. თანამშრომლებზე სამსახურებრივი სარგებლობისათვის საქმეების გაცემა ხდება ხელწერილქვეშ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

---

(დაწესებულების დასახელება)

# ჟურნალი

შემოსული კორესპონდენციის რეგისტრაციისა

19 წ.

ფორმა № 1
გაგრძელება

| №№ რიგზე | შემოსული დოკუმენტის რეგისტრაციის თარიღი | მიღებული დოკუმენტის ნომერი და თარიღი | ვისგან არის მიღებული დაწესებულების დასახელება | მოკლე შინაარსი | ფურცელთა რაოდენობა | | ხელმძღვანელობის რეზოლუცია (ვის და როდის გადაეცა დოკუმენტი შესასრულებლად) | მიღებაზე ხელის მოწერა და თარიღი | აღნიშვნა შესრულებაზე და საქმის ნომერი, რომელშიც ჩაკერებულია დოკუმენტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ძირითადი დოკუმენტის | დანართის | | | |
| | | | | | | | | | |

ფორმატი ა. 4 (ზომა 297X210 მმ)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ნ ი მ უ შ ი

### საკონტროლო-საარიცხვო ბარათისა

(ბარათის წინაპირი)

---

საიდან არის მიღებული, ვის მიერაა გაგზავნილი, ვის მიერაა დოკუმენტი შედგენილი

| დოკუმენტის ინდექსი | დოკუმენტის ხელის მოწერის ან მიღების თარიღი | დოკუმენტის მიღების თარიღი და ინდექსი |
|---|---|---|
| | | |

დოკუმენტის შინაარსი

---

რეზოლუცია

| შესასრულებლად გადაცემის თარიღი | შემსრულებლის გვარი | აღნიშვნა შესრულების შესახებ |
|---|---|---|
| | | |

დოკუმენტი ინახება საქმეში № ———, ფ. ფ. ———

(მეორე გვერდი)

| ინდექსი | რუბრიკა ——— ქვერუბრიკა |
|---|---|
| მომხდარი ამბის თარიღი | მომხდარი ამბის ადგილი |

| | დაწესებულების არქივში | სახელმწიფო არქივში |
|---|---|---|
| | | |

არქივის დასახელება ———

ფონდის დასახელება ———

სტრუქტურული ნაწილის დასახელება ———

ფონდი № ———

აღწერა № ———

შეს. ერთ. № ———

ფფ. ———

ფორმატი ა. 6 (ზომა 105×148 მმ)

## ნიმუში

### შემოსული დოკუმენტების სარეგისტრაციო შტამპისა

(დაწესებულების დასახელება)

„ " ———————————— 19

შემოსვლის № ————————————

შემსრულებელი ————————————

(ზომა 60X35)

## ნიმუში

### მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასკომში შემოსული დოკუმენტების სარეგისტრაციო შტამპისა

(აღმასკომის დასახელება)

„ " ———————————— 19

შემოსვლის № ————————————

საქმე № ————————————

(ზომა 50X30)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმა № 4

## მოქალაქეთა
### წერილების, განცხადებების და საჩივრების სარეგისტრაციო ბარათი

გვარი, სახელი და მამის სახელი ————————————————

განმცხადებლის მისამართი ————————————————

საიდან არის მიღებული ————————————————

(ორგანიზაციის დასახელება)

———————— № „——" ———————— 19——— წ.

| | |
|---|---|
| შინაარსი ———————— | მიღების თარიღი |
| | შემოსვლის ნომერი და საქმის ნომერი |
| ხელმძღვანელის რეზოლუცია ———— | |

| მიღების თარიღი | № და თარიღი განმეორებითი დოკუმენტისა და პასუხისა | ვის გაეგზავნა, ვისგან შემოვიდა განმეორებითი დოკუმენტი | ხელმძღვანელობის რეზოლუცია განმეორებით დოკუმენტზე |
|---|---|---|---|
| | | | |
| | | | |

(მეორე გვერდი)

გადაეცა შესასრულებლად

| თარიღი | შემსრულებლის გვარი | რა დაევალა |
|---|---|---|
| | | |

აღნიშვნა შესრულებაზე ————————————————

ფორმატი ა 6 (ზომა 148 X 105 მმ.)

ფორმა № 5

ეროვნული ბიბლიოთეკა

---

(დაწესებულების დასახელება)

# ჟ უ რ ნ ა ლ ი

მოქალაქეთა წერილების, განცხადებების და საჩივრების რეგისტრაციისა

19 წ.

ფორმა № 5

№ 5

| №№ რიგზე | მიღების თარიღი | განმცხადებლის გვარი, სახელი, მამის სახელი და მისამართი | წერილის, განცხადების და საჩივრის მოკლე შინაარსი | რომელი ორგანიზაციიდან ან ვისგან შემოვიდა განცხადება | ვის და როდის გადაეცა საკითხის გადასაწყვეტად და შესრულების ვადა | შეტყობინების მიღების თარიღი | განხილვის შედეგები | გასული დოკუმენტის თარიღი, ნომერი და ვის ეცნობა შედეგი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | |

ფორმატი ა 3

ფორმა № 6

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალფაბეტური ბარათი № ——

(გვარი)

(სახელი)

(მამის სახელი)

(მისამართი)

ფორმატი ა 7
(ზომა 105×74 მმ.)

ფორმა № 7

ეროვნული ბიბლიოთეკა

### მოქალაქეთა მიღების ბარათი

№ ——————— მიღების თარიღი „———“ ——————— 19 წ.

განმცხადებლის გვარი, სახელი, მამის სახელი ———————————

მისამართი ———————————————————————

განცხადების შინაარსი ——————————————————

———————————————————————————

———————————————————————————

———————————————————————————

გვარი, ვინც მოქალაქე მიიღო ——————————————

განცხადების განხილვის შედეგები ——————————————

———————————————————————————

———————————————————————————

(მეორე გვერდი)

| თარიღი | აღნიშვნები განმეორებით განცხადებებზე |
|---|---|
| | |
| | |
| | |
| | |
| | |

ფორმატი ა 6

(ზომა 148×105 მმ)

ფორმა № 8

ეროვნული ბიბლიოთეკა

______________________________________________

(დაწესებულების დასახელება)

# ჟ უ რ ნ ა ლ ი

მოქალაქეთა მიღების რეგისტრაციისა

19    წ.

ფორმა № 8
გაგრძელება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

| №№ რიგზე | მიღების თარიღი | განმცხადებლის გვარი, სახელი, მამის სახელი | განმცხადებლის მისამართი | განცხადების მოკლე შინაარსი | გვარი, ვინც მოქალაქე მიიღო | განცხადების განხილვის შედეგები |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |

ფორმატი ა 4
(ზომა 297×210 მმ)



შეკ. 196

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმა № 2

საქართველოს სსრ გერბი

______________________________

(დაწესებულების დასახელება)

ქ. ______________

# დადგენილება

„——“ ——————— 19 წ. № ———

——————————— დადგენილების დასახელება

——————————— დადგენილების ტექსტი

——————————— ხელის მოწერა

ფორმატი ა 4
(ზომა 210×297 მმ)
გერბის ზომა 18×18 მმ.

ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ გერბი

______________________________________________

(აღმასკომის დასახელება)

ქ. ______________

# გ ა დ ა წ უ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„____“ ______________ 19 წ. № ______

გადაწყვეტილების დასახელება

გადაწყვეტილების ტექსტი

მშრომელთა დეპუტატების საბჭოს
აღმასკომის თავმჯდომარე

მშრომელთა დეპუტატების საბჭოს
აღმასკომის მდივანი

ფორმატი ა 4
(ზომა 210×297 მმ)
გერბის ზომა 18×18

ფორმა № 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ გერბი

______________________________

(დაწესებულების დასახელება)

ქ. ______________

# განკარგულება

„——“ ————— 19   წ.   № ———

განკარგულების ტექსტი

ხელის მოწერა

ფორმატი A 4

(ზომა 210×297 მმ)

გერბის ზომა 18×18 მმ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ გერბი

______________________________________________

(დაწესებულების დასახელება)

№——

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

____________________

ადგილი

„——“ ———————— 19 წ.

______________________________________________

შ ი ნ ა ა რ ს ი:

______________________________________________

(ბრძანების ტექსტი)

ხელის მოწერა ——————————————————

(დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელის)

ბრძანება შეაქვს ——————————————————

(სტრუქტურული დანაყოფისა და მისი ხელმძღვა-
ნელის გვარის დასახელება)

ვიზა ——————————————————————

იმ სტრუქტურული დანაყოფებისა და მათი ხელმძღვანელების
დასახელება, რომელთაც აწარმოეს ბრძანების ვიზირება)

იურისკონსულტი ——————————

(გვარი)

ფორმატი ა 4
(ზომა 210×297 მმ)
გერბის ზომა 18×18 მმ

ფორმა № 13

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ გერბი

---

(დაწესებულების დასახელება)

ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა

ინსტრუქციის დასახელება

ინსტრუქციის ტექსტი

ხელის მოწერა

---

ფორმატი ა 4

(ზომა 210×297 მმ)

გერბის ზომა 18×18 მმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმა № 14

საქართველოს სსრ გერბი

(დაწესებულების დასახელება)

„———“ ——————— 19   წ.

№ ————

ქ. ————

დაწესებულების დასახელება, ვისაც იგზავნება წერილი (მისამართი)

დაშორებული უნდა იყოს არაა 4 სმ.

წერილის სათაური

№ ———— „————“ ———————————— 19   წ.

წერილის ტექსტი

დანართი:

ხელის მოწერა

ფორმატი ა 4
(ზომა 210×297 მმ) ან
ფორმატი ა 5
(ზომა 210×148 მმ)
გერბის ზომა 13×13 მმ

მუხ. 128
ფორმა № 15

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჟ უ რ ნ ა ლ ი

დადგენილებათა რეგისტრაციისა ————————

———————————————————————

(დაწესებულების დასახელება)

19   წ.

| დადგენილების რიგითი ნომერი | თარიღი | დადგენილების დასახელება | ვინ მოაწერა ხელი | შემსრულებელი |
| --- | --- | --- | --- | --- |
| | | | | |

ფორმატი ა 4

(ზომა 210×297 მმ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჟ უ რ ნ ა ლ ი

---

(აღმასკომის დასახელება)

**მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებათა რეგისტრაციისა**

19 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმა № 16
გაგრძელება

| გადაწყვეტილების რიგითი ნომერი | თარიღი | სხდომის ოქმის ნომერი | გადაწყვეტილების დასახელება | ვინ მოაწერა ხელი | შემსრულებელი |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |

ფორმატი ა 4
(ზომა 210×297 მმ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჟ უ რ ნ ა ლ ი

განკარგულებათა რეგისტრაციისა

_______________________________________

(დაწესებულების დასახელება)

19 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

| განკარგულების რიგითი ნომერი | თარიღი | რის შესახებ | ვინ მოაწერა ხელი | შემსრულებელი |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჟ უ რ ნ ა ლ ი

ბრძანებების რეგისტრაციისა

---

(დაწესებულების დასახელება)

19 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმა № 16
გაგრძელება

| ბრძანების რიგითი № | თარიღი | ბრძანების დასახელება | ვინ მოაწერა ხელი | შემსრულებელი |
| --- | --- | --- | --- | --- |
| | | | | |

ფორმატი ა 4
(ზომა 210×297 მმ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჟ უ რ ნ ა ლ ი

ინსტრუქციების რეგისტრაციისა

---

(დაწესებულების დასახელება)

19 წ.

ფორმა № 10
გაგრძელება

| ინსტრუქციის რიგითი ნომერი | თარიღი | ინსტრუქციის დასახელება | ვინ მოაწერა ხელი | შემსრულებელი |
| --- | --- | --- | --- | --- |
| | | | | |

ფორმატი ა 4
(ზომა 210×297 მმ)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ოქმი №

_______________ სხდომის
(დაწესებულების დასახელება)

„____“ __________ 19 წ.

თავმჯდომარეობდა ამხ. __________

ესწრებოდნენ:

## დღის წესრიგი

1. __________
(გვარი)

__________

2. __________
(გვარი)

__________

მოისმინეს:

**სიტყვით გამოვიდნენ**

1. ამხ. __________

2. ამხ. __________

დაადგინეს:

1. __________
2. __________
3. __________

მოისმინეს:

**სიტყვით გამოვიდნენ:**

1. ამხ. __________

2. ამხ. __________

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაადგინეს:

1. ______________________________

2. ______________________________

თავმჯდომარე ______________________
(გვარი)

მდივანი ______________________
(გვარი)

ფორმა ა 4
(ზომა 210 X 297 მმ)

მუხ. 198

ფორმა № 21

ეროვნული ბიბლიოთეკა

---

(დაწესებულების დასახელება)

# ჟ უ რ ნ ა ლ ი

გასული კორესპონდენციის რეგისტრაციისა

19 წ.

ფორმა № 21

გაგრძელება

| №№ რიგზე | სად და ვის გაეგზა-ვნა დოკუმენტი | მოკლე შინაარსი | ფურცელთა რაოდენობა | | რომელი შემოსუ-ლი ნომერი სრუ-ლდება | შემსრულებლის გვარი | დოკუმენტის პირის მიღებაზე ხელის მოწერა | საქმის ნომერი, რომელშიც ჩაიკერება დოკუმენტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ძირითადი დოკუმენტის | დანართის | | | | |
| | | | | | | | | |

ფორმატი ა 4

(ზომა 297 X 210 მმ)

ფორმა № 22

ეროვნული ბიბლიოთეკა

---

(დაწესებულების დასახელება)

ᲓᲐᲡᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ

19 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

| №№ რიგზე | გაგზავნის თარიღი | ვის გაეგზავნა | დოკუმენტის და-სახელება და მისი გასვლის ნომერი | ხელის მოწერა მიღებაზე |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

ფორმა ა 4
(ზომა 210×297 მმ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

„შეთანხმებულია"
(საარქივო დაწესებულების უფროსის ხელის მოწერა)

(თარიღი)

„ვამტკიცებ"
(დაწესებულების ხელმძღვანელის ხელის მოწერა)

(თარიღი)

## საქმეთა ნომენკლატურა (ნაერთი)

(დაწესებულების დასახელება)

19 წ.

| №№ რიგზე | საქმეთა ინდექსები | საქმეთა და სხვა მასალების დასახელება | ტომების ნაწილების რაოდენობა | შენახვის ვადები და სტატიების ნომრები ნუსხის მიხედვით | შენიშვნა (საქმეთა გაფორმებაზე, შემოღებაზე, გაგრძელებაზე, გადაცემაზე, პასუხისმგებელი პირის შესახებ აღნიშვნები) |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |

ხელის მოწერა (დაწესებულების კანცელარიის უფროსის)

(თარიღი)

წლის განმავლობაში შეიქმნა ——————————— საქმე;

რომელთაგან:

ა) მუდმივ შესანახი ——————————— საქმე;
ბ) გრძელვადიანი (10 წელზე ზევით) ——————— საქმე;
გ) დროებით შესანახი (10 წლამდე) ——————— საქმე;
დ) მომდევნო წლისათვის გადასული ——————— საქმე;

ხელის მოწერა (დაწესებულების არქივის გამგე)

(თარიღი)

ფორმატი ა 4

**(ზომა 210 × 297 მმ)**

**197** **საქართველოს სსრ სამხატვრო ფონდისათვის იმ მხატვრულ ნაკეთობათა საცალო ფასების დამტკიცების უფლების მინიჭების შესახებ, რომლებსაც მისდამი დაქვემდებარებული საწარმოები ამზადებენ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიენიჭოს საქართველოს სსრ სამხატვრო ფონდს იმის უფლება, რომ დაამტკიცოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან შეთანხმებით იმ სუვენირებისა და უნიკალურ საჩუქართა საცალო ფასები, რომლებსაც საქართველოს სსრ სამხატვრო ფონდის საწარმოები ამზადებენ.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სამხატვრო ფონდს შეათანხმოს საქართველოს სსრ ვაჭრობის და ფინანსთა სამინისტროებთან და დაამტკიცოს ინსტრუქცია იმ სუვენირებისა და უნიკალურ საჩუქართა საცალო ფასების განხილვისა და დამტკიცების წესის შესახებ, რომლებსაც საქართველოს სსრ სამხატვრო ფონდის საწარმოები უშვებენ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1963 წ. 24 დეკემბერი, № 773.

**198** **სახანძრო უშიშროების წესების დარღვევისათვის ჯარიმების დაწესების შესახებ**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 3 ივნისის № 612 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოებს შეუძლიათ დაადონ ფულადი ჯარიმა ადმინისტრაციული წესით თანამდებობის პირებსა და მოქალაქეებს მათ მიერ სახანძრო უშიშროების წესების დარღვევისათვის ან შეუსრულებლობისათვის ორგანიზაციებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საზოგადოებრივ ადგილებში, სასაწყობო სადგომებში, სა-

ერთო საცხოვრებლებსა და საცხოვრებელ სახლებში, [illegible] საზამისი ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობის დროს, ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის, მოწყობილობის, ხანძრის აღმოჩენისა და ჩაქრობის ავტომატურ საშუალებათა გამოყენებისა და შენახვის წესების დარღვევისათვის, თუ მოქმედი კანონმდებლობით აღნიშნული დარღვევები არ იწვევენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

იმ ჯარიმის ოდენობა, რომელიც დაედება მოქალაქეებს, არ უნდა აღემატებოდეს 10 მანეთს, ხოლო თანამდებობის პირებს — 50 მანეთს.

2. ჯარიმებს დაადებენ:

ა) საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს უფროსი და მისი მოადგილე — 50 მანეთამდე ხელმძღვანელებს და სხვა თანამდებობის პირებს, რომლებიც უშუალოდ აგებენ პასუხს შესაბამისი საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სახანძრო უშიშროების უზრუნველყოფისათვის;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკების საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროების სახანძრო დაცვის განყოფილებათა უფროსები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს სახანძრო დაცვის ინსპექციის უფროსი და ქ. თბილისის სახანძრო დაცვის განყოფილების უფროსი — 30 მანეთამდე ამ დადგენილების „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნულ პირებს;

გ) ქალაქთა სახანძრო დაცვის განყოფილებების, რაზმების უფროსები, სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ინსპექციების უფროსები, გასამხედროებული და არაგასამხედროებული საქალაქო, რაიონული და სადაზო სახანძრო ნაწილებისა და რაზმების უფროსები, აგრეთვე რაიონების სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ინსპექტორები: 20 მანეთამდე — ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნულ პირებს და 10 მანეთამდე — მოქალაქეებს.

3. ჯარიმების დადება და გადახდევინება, აგრეთვე ამ დადგენილებით დაწესებული ჯარიმების დადების შესახებ გამოტანილი დადგენილებების გასაჩივრება წარმოებს შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულებისა „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ და „დებულებისა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო

საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ ადმინი-სტრაციული კომისიებისა და ადმინისტრაციულ დარღვევათა საქ-მის წარმოების წესის შესახებ", რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 27 ივლისის ბრძანებულებით.

4. ჯარიმებს დაადებენ ადმინისტრაციულ დარღვევათა აქტების საფუძველზე, რომლებსაც შეადგენენ სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის თანამდებობის პირები: საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს, ავტონომიური რესპუბლიკების საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროების სახანძრო დაცვის განყოფილებების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს სახანძრო დაცვის ინსპექციის, ქალაქებისა და მრეწველობის ობიექტების სახანძრო დაცვის განყოფილებების, რაზმების, სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ინსპექციის, გასამხედროებული და არაგასამხედროებული საქალაქო სახანძრო ნაწილებისა და რაზმების უფროსთა და ინსპექტორთა შემადგენლობა და რაიონების სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ინსპექტორები; სახანძრო ნაწილებისა და რაზმების პროფილაქტიკის ინსტრუქტორები და ინსტრუქტორების თანაშემწეები.

სახანძრო უშიშროების წესების ადმინისტრაციული დარღვევის თაობაზე აქტების შედგენის უფლებით სარგებლობენ აგრეთვე ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმების უფროსები, საწარმოთა სახანძრო-ტექნიკური კომისიების წევრები, სახანძრო დაცვის საზოგადოებრივი ინსპექტორები და რწმუნებულები; მილიციის მუშაკები და უწყებრივი სახანძრო დაცვის უფროსთა შემადგენლობა.

5. ეს დადგენილება ძალაში შედის 1964 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჩირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1963 წ. 24 დეკემბერი, № 774.

**199** ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ვაჭრობის სამმართველოს საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირის სისტემისათვის გადაცემის შესახებ

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ვაჭრობის სამმართველოს რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში მოეპოვება საცალო სავაჭრო ქსელი და საზოგადოებრივი კვების საწარმოები, რომლებიც არ არიან დაკავშირებული სამხედრო კონტინგენტის მომსახურებასთან, რაც იწვევს პარალელიზმს ვაჭრობაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ვაჭრობის სამმართველომ:

ა) გადასცეს სავაჭრო ქსელი, რომელიც არ არის დაკავშირებული სამხედრო კონტინგენტის მომსახურებასთან, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სისტემის ადგილობრივ სავაჭრო ორგანიზაციებს და ცეკავშირის გამგეობას, დანართის თანახმად.*)

ბ) მოახდინოს მთელი იმ წვრილი საცალო ქსელის ლიკვიდაცია, რომელიც განლაგებულია რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში საკოლმეურნეო ბაზრების ტერიტორიაზე.

2. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ვაჭრობის სამმართველომ, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ და ცეკავშირის გამგეობამ საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მიღება-გადაცემა აწარმოონ არსებული დებულების თანახმად 1964 წლის 1 იანვრის მდგომარეობის მიხედვით.

*) იბეჭდება უდანართოდ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1963 წ. 24 დეკემბერი, № 776.

**200** „სამრეწველო საწარმოთა ელექტროდანადგარების სიმძლავრის კოეფიციენტის (კოსინუს ფი) გადიდების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 4 მაისის № 285 დადგენილების 1 მუხლის ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 14 დეკემბრის № 1226 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 4 მაისის № 285 დადგენილების 1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის ნაწილობრივ შესაცვლელად, ეცნობოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, სახალხო მეურნეობის საბჭოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარ სამმართველოს, რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების თანახმად, იმ თავისუფალი სახსრების გადანაწილებას სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტისადმი დაქვემდებარებულ ენერგოსისტემებს შორის, რომლებიც მიღებულია ელექტროენერგიის ტარიფის ფასდაკლების სკალის გამოყენებისაგან და ელექტროდანადგარების სიმძლავრის კოეფიციენტისათვის ელექტროენერგიის ტარიფის დანამატებისაგან, — აწარმოებს ეს კომიტეტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. პირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1963 წ. 24 დეკემბერი, № 777.

**201** შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების შეგროვებისა, შენახვისა და გაგზავნისათვის საწარმოთა, მეურნეობათა და ორგანიზაციათა მუშაკების დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 18 დეკემბრის № 1223 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაწესდეს, რომ 1964 წელს საწარმოთა, მეურნეობათა და ორგა-ნიზაციათა მუშაკების დაჯილდოება შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების შეგროვებისა, შენახვისა და გაგზავნისათვის იწარმოებს იმ წესითა და იმ ოდენობით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 7 დეკემბრის № 825 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. პირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1963 წ. 24 დეკემბერი, № 778.

## 202 ხარისხოვანი ჩაის ფოთლის შესასყიდი ფასების შესახებ

თავისი 1960 წლის 1 აგვისტოს № 537 დადგენილების შესაცვლელად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რესპუბლიკის ადმინისტრაციული რაიონების გამსხვილების შედეგად მათი საზღვრების შეცვლასთან დაკავშირებით:

1. დაწესდეს კოლმეურნეებისა და სხვა მოქალაქეთა ყველა მეურნეობებისათვის, 1964 წლის მოსავლიდან დაწყებული, იმ ხარისხოვანი ჩაის ფოთლის შემდეგი შესასყიდი ფასები, რომელსაც ისინი სახელმწიფოს მიჰყიდიან: პირველი ხარისხის ერთ კილოგრამში — 90 კაპიკი და მეორე ხარისხის ერთ კილოგრამში — 60 კაპიკი.

2. შენარჩუნებულ იქნას ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მოქმედი შესასყიდი ფასები:

ა) პირველი ხარისხის მწვანე ჩაის ფოთლის ერთ კილოგრამში — 94 კაპიკი და მეორე ხარისხის ერთ კილოგრამში — 63 კაპიკი ყველა კოლმეურნეობებისათვის, რომლებიც შედიან მახარაძისა და ზუგდიდი საწარმოო სამმართველოების ქვემოთ ჩამოთვლილ რაიონებსა და სასოფლო საბჭოებში:

მახარაძის საწარმოო სამმართველოში — ჩოხატაურის რაიონის ყველა კოლმეურნეობისათვის;

ზუგდიდის საწარმოო სამმართველოში — წალენჯიხის რაიონის ყველა კოლმეურნეობისათვის, აგრეთვე შემდეგი სასოფლო საბჭოების კოლმეურნეობებისათვის: საჯიჯაოს, ახალხიბულის, ძველი

ხიბულის, ბიის, ნოჯიხევის, შუა ქვალონის, ხობის, პირველი [illegible], ხეთის, ხამისკურის, ტორსა-დღვაბის, პირველი ხორგის, [illegible] და ქვემო ქვალონის.

მახარაძისა და ზუგდიდის საწარმოო სამმართველოების დანარჩენი კოლმეურნეობებისათვის, აგრეთვე ლანჩხუთის, ჩაქვისა და გუდაუთის საწარმოო სამმართველოების ყველა კოლმეურნეობისათვის — 90 კაპიკი პირველი ხარისხის ერთ კილოგრამში და 60 კაპიკი — მეორე ხარისხის ერთ კილოგრამში;

ბ) პირველი ხარისხის მწვანე ფოთლის ერთ კილოგრამში — 94 კაპიკი და მეორე ხარისხის ერთ კილოგრამში — 63 კაპიკი გალის, გულრიფშის, ოჩამჩირის, ცხაკაიას და გეგეჭკორის საწარმოო სამმართველოების ყველა კოლმეურნეობისათვის, გარდა იმ კოლმეურნეობებისა, რომლებიც შედიან გეგეჭკორის საწარმოო სამმართველოს შემდეგ სასოფლო საბჭოებში: სეფიეთის, გეზათის, ონტოფოს, სამიქაოს, ნოგოხაშის, წყემის, ძველი აბაშის, ზანათისა და ნორიოს, რომლებისთვისაც შენარჩუნებულ იქნას მწვანე ჩაის ფოთლის მოქმედი ფასები — ერთი მანეთი პირველი ხარისხის ერთ კილოგრამში და 65 კაპიკი — მეორე ხარისხის ერთ კილოგრამში;

გ) პირველი ხარისხის მწვანე ფოთლის ერთ კილოგრამში — ერთი მანეთი და მეორე ხარისხის ერთ კილოგრამში — 65 კაპიკი. სამტრედიის, საჩხერის, ქედის, მაიაკოვსკის, ზესტაფონის და წყალტუბოს საწარმოო სამმართველოების ყველა კოლმეურნეობისათვის, გარდა იმ კოლმეურნეობებისა, რომლებიც შედიან წყალტუბოს საწარმოო სამმართველოს შემდეგ სასოფლო საბჭოებში, საწირის, ხრესილის, ორპირის, ცუცხვათის, კურსების, ჯვარის, ციხია-ბობოთის, გურნის, სოჩხეთისა და მუხურის, რომლებისთვისაც შენარჩუნებულ იქნას მწვანე ჩაის ფოთლის მოქმედი ფასები: 94 კაპიკი — პირველი ხარისხისათვის და 63 კაპიკი — მეორე ხარისხისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1963 წ. 24 დეკემბერი, № 779.

**203** **მუშა-მოსამსახურეთა სასაწოლო ტიპის საერთო საცხოვრებ-ლების შენახვისა და მათში ცხოვრების ქირის მოწესრიგების შესახებ**

იმ მიზნით, რომ მოწესრიგდეს მუშა-მოსამსახურეთა სასაწოლო ტიპის საერთო საცხოვრებლების შენახვა და დაწესდეს ერთიანი ნორმები ამ საერთო საცხოვრებლების ექსპლუატაციისათვის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს მუშა-მოსამსახურეთა სასაწოლო ტიპის საერთო საცხოვრებლებში საწოლ-ადგილის, ქირის ზღვრული განაკვეთი თვეში 2 მან. და 50 კაპიკის ოდენობით.

2. დაწესდეს სასაწოლო ტიპის საერთო საცხოვრებლებში მუშებისა და მოსამსახურეების მიერ საწოლ-ადგილის დიფერენცირებული ანაზღაურება საერთო საცხოვრებლის კეთილმოწყობისა და ხელფასის მიხედვით, № 1 დანართის თანახმად.

3. დაწესდეს, რომ კომუნალური მომსახურების (გათბობა, განათება, წყალი, კანალიზაცია, გაზი, აგრეთვე ელექტროენერგიით სარგებლობა საცხოვრებელ ოთახებში დადგმული რადიომიმღებებისა, ტელევიზორებისა, ელექტრო და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებისათვის) ხარჯებს უნდა ანაზღაურებდნენ სასაწოლო ტიპის საერთო საცხოვრებლებში მცხოვრები პირები ფაქტიური მოხმარების მიხედვით, მაგრამ არა უმეტეს მოქმედი ნორმებისა დაწესებული ტარიფებით საერთო საცხოვრებლებში ცხოვრების ქირის დამტკიცებული განაკვეთების გადამეტებით. ის მუშაკები, რომლებიც თვეში იღებენ ხელფასს 50 მანეთამდე, თავისუფლდებიან აღნიშნული გადასახდელებისაგან.

4. დამტკიცდეს ტიპობრივი შტატები სასაწოლო ტიპის საერთო საცხოვრებლების მუშაკებისათვის, № 2 დანართის თანახმად.

5. დამტკიცდეს ნორმები საერთო საცხოვრებლების გაწყობისა ავეჯით, ლოგინითა და სხვა ინვენტარით და ნორმები მათი გაცვეთისა (სამსახურის ვადები), № 3 დანართის თანახმად.

6. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ, სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებსაც სასაწოლო ტიპის საერთო საცხოვრებლები აქვთ:

ა) განახორციელონ 1964 წლიდან სასაწოლო ტიპის საერთო საცხოვრებლების ექსპლუატაცია ამ დადგენილებით დამტკიცებული ნორმების შესაბამისად;

ბ) სასაწოლო ტიპის საერთო საცხოვრებლებში საწოლების გან-ლაგების დროს მტკიცედ დაიცვან ერთ საწოლ ადგილზე [illegible] დაწესებული სანიტარული ნორმა — 4,5 კვ. მეტრი;

გ) აკრძალონ სასაწოლო ტიპის საერთო საცხოვრებლებში მუ-შა-მოსამსახურეთა ჩასახლება ოჯახებით.

7. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ სახალხო მეურნეობის საბჭოსთან ერთად და საქართველოს პროფ-საბჭოსთან შეთანხმებით შეიმუშაოს და 1964 წლის 15 თებერვლამ-დე გამოსცეს ინსტრუქცია სასაწოლო ტიპის საერთო საცხოვრებ-ლების შენახვის შესახებ და ამ საერთო საცხოვრებლებში ტიპობ-რივი შინაგანი განაწესი.

8. ეს დადგენილება გავრცელდეს სასაწოლო ტიპის ყველა საერ-თო საცხოვრებელზე, მათი უწყებრივი კუთვნილების დამოუკი-დებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1963 წ. 29 დეკემბერი, № 797

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 29 დეკემბრის № [illegible]
დადგენილების დანართი № 1

# საწოლ-ადგილის ქირა

## სასაწოლო ტიპის საერთო საცხოვრებლებში

| როდესაც თვეში ხელფასი შეადგენს მანეთობით | კაპიტალური ტიპის სახლებში, რომლებსაც აქვთ ცენტრალური გათბობა და წყალსადენი, კანალიზაცია და ელექტროგანათება | მსუბუქი ტიპის სახლებში, რომლებსაც აქვთ ღუმელის გათბობა, უწყალსადენოდ და უკანალიზაციოდ |
|---|---|---|
| | თვიური ქირა (მან. და კაპ.) | თვიური ქირა (მან. და კაპ.) |
| 30-დან 35-მდე | 1 მანეთი | 80 კაპ. |
| 36-დან 40-მდე | 1 მან. და 15 კაპ. | 1 მანეთი |
| 41-დან 45-მდე | 1 მან. და 35 კაპ. | 1 მან. და 20 კაპ. |
| 46-დან 50-მდე | 1 მან. და 55 კაპ. | 1 მან. და 40 კაპ. |
| 51-დან 55-მდე | 1 მან. და 75 კაპ. | 1 მან. და 60 კაპ. |
| 56-დან 60-მდე | 2 მანეთი | 1 მან. და 80 კაპ. |
| 61-დან 65-მდე | 2 მან. და 25 კაპ. | 2 მანეთი |
| 65-ზე მეტი | 2 მან. და 50 კაპ. | 2 მან. და 25 კაპ. |

შენიშვნა: 1: აკრძალულია რაიმე თანხების გადახდევინება დამატებითი მომსახურებისათვის, შეკეთებისთვის და ა. შ.

2. მოწაფეებს გადახდებათ საერთო საცხოვრებლით სარგებლობის ქირა თვეში 50 კაპიკის ოდენობით.
3. სადგომის სანდამუშავება და დეზინფექცია, ადუღებული წყლის მიწოდება, რადიომომსახურება (ტრანსლაცია) წარმოებს საწარმოს (ორგანიზაციის) ხარჯზე.
4. თუ საერთო საცხოვრებელში მცხოვრები პირი არ სარგებლობს ამა თუ იმ მომსახურებით, მათი შესაბამისი ღირებულება გამოაკლდება საერთო საცხოვრებლით სარგებლობისათვის ყოველთვიურ ქირას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ბ. ჟორჟაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 29 დეკემბრის № 793
დადგენილების დანართი № 2

# ტიპობრივი შტატები

## სასწავლო ტიპის საერთო საცხოვრებლებისა

| თანამდებობათა დასახელება | საერთო საცხოვრებელი 100 საწოლამდე შტატის ერთეულების რაოდენობა | საერთო საცხოვრებელი 200 საწოლამდე შტატის ერთეულების რაოდენობა | საერთო საცხოვრებელი 300 საწოლამდე შტატის ერთეულების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1. საერთო საცხოვრებლის კომენდანტი | 1 | 1 | 1 |
| 2. შესანახი კამერის გამგე . . . . | — | 1 | 2 |
| 3. დამლაგებელი . . . . . . . . | 1 | 2 | 3 |
| 4. მრეცხავი . . . . . . . . . | 1 | 2 | 3 |
| 5. მეეზოვე . . . . . . . . . | | | |
| 6. ცეცხლფარეში . . . . . . . | | | |
| 7. მეცეცხლური . . . . . . . | | | |

**შენიშვნა:** 1. მეეზოვეების რაოდენობა განისაზღვრება იმ დასასუფთავებელი ფართობის ნორმის შესაბამისად, რაც დაწესებულია შესაბამისი ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის მიერ.

2. ცეცხლფარეშების, მეცეცხლურების თანამდებობანი და მათი რაოდენობა დაწესდება იმ ნორმების მიხედვით, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მიერ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჩირაქაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1962 წლის 29 დეკემბრის № 797
დადგენილების დანართი № 3

# ს ი ა

## საერთო საცხოვრებლების გაწყობისა რბილი და მაგარი ინვენტარით და მათი გაცვეთის ვადები

| ინვენტარის დასახელება | ნორმა | გაცვეთის ვადა |
|---|---|---|
| **რბილი ინვენტარი** | | |
| 1. ბამბის ლეიბი | 1 კაცზე | 7 წელი |
| 2. ლეიბის შალითა | 1 " | 7 წელი |
| 3. ზეწარი და საბნის გამოსაკრავი | 4 " | 3 წელი |
| 4. შალის საბანი | 1 " | 10 წელი |
| 5. ღინღლის ბალიში | 1 " | 7 წელი |
| 6. ბალიშის პირი | 2 " | 3 წელი |
| 7. პირსახოცი | 2 " | 3 წელი |
| 8. სუფრა ან მუშამბა მაგიდაზე | 1 " | 3 წელი |
| 9. ფარდა ან შტორი ფანჯარაზე | ყოველ ფანჯარაზე | 7 წელი |
| 10. სუფრა ან მუშამბა მაგიდაზე | 1 ოთახზე | 7 წელი |
| 11. საწოლის წინა საფენი ხალიჩა | 1 კაცზე | 10 წელი |
| **მაგარი ინვენტარი** | | |
| 1. რკინის საწოლი ბადურით | 1 კაცზე | 10 წელი |
| 2. სკამი | 1 " | 10 წელი |
| 3. ბოძკინტი ან საწოლის წინ დასადგმელი მაგიდა | 1 " | 10 წელი |
| 4. სკამი | 1 ოთახზე | 10 წელი |
| 5. საკიდი | 1 " | 10 წელი |
| 6. კედლის სარკე | 1 " | 10 წელი |
| 7. კარადა | 1 " | 10 წელი |
| 8. ალუმინის ჩაიდანი | 1 " | 5 წელი |
| **სხვა ინვენტარი** | | |
| 1. რეპროდუქტორი | 1 ოთახზე | 10 წელი |
| 2. წყლის სურა | 1 " | 1 წელი |
| 3. ჭიქა | მცხოვრებთა რიცხვის მიხედვით | 1 წელი |
| 4. ჭურჭლის სარეცხი ჯამი | 1 ოთახზე | 1 წელი |
| 5. სანაგვე ურნა ლითონისა | 1 " | 10 წელი |
| 6. მომინანქრებული საფურთხებელი | 1 " | 10 წელი |
| 7. ოთახის თერმომეტრი | 1 " | 10 წელი |
| 8. აბაჟური | 1 " | 5 წელი |
| 9. პორტრეტები | 1 " | 10 წელი |
| 10. საფერფლე | 1 " | 3 წელი |
| 11. ყვავილების ვაზა | 1 " | 1 წელი |
| 12. კედლის საათი | 1 " | 10 წელი |
| 13. პირსაბანი | 1—8 კაცზე | 10 წელი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| ინვენტარის დასახელება | ნორმა | ვადა |
|---|---|---|
| 14. ვედრო და ტაშტი . . . . . . | 1 კაცზე | 10 წელი |
| 15. პარცელი წვრილი სარეცხისათვის . | 1—10 კაცზე | 7 წელი |
| 16. სასმელი წყლის ავზაკი . . . . | 1 — 20 კაცზე | 10 წელი |
| 17. კედლის საათი . . . . . . . | 1 სართულზე | 10 წელი |
| 18. პატარა ხალიჩა . . . . . . . | 1 შესასვლელ კარებთან | 10 წელი |
| 19. მსუბუქი ტანსაცმლის საკიდი . . | 2 ერთ კაცზე | 5 წელი |
| 20. კვების ნარჩენების ავზაკი . . . | ყოველ სართულზე | 10 წელი |
| 21. უთო . . . . . . . . . . . | 2 სართულზე | 5 წელი |
| 22. დასაუთოებელი მაგიდა გასახსნელი | 1 " | 10 წელი |
| 23. პატარა აფთიაქი პირველი დახმარებისათვის . . . . . . . . | 1 საერთო საცხოვრებელზე | 10 წელი |
| 24. ტანსაცმლის და ფეხსაცმლის ჯაგრისი . . . . . . . . . . | 2 ოთახზე | 2 წელი |
| 25. სკამები წითელი კუთხისათვის . | 10 საერთო საცხოვრებელზე | 10 წელი |

**შენიშვნა:** ინდივიდუალური სარგებლობისათვის საერთო საცხოვრებლებში მცხოვრებთ მიეცემათ: საწოლი ლეიბით, ლეიბის გადასაკრავი, ბალიში ბალიშის პირით, საბანი, ორი ზეწარი, ხელსახოცი, მაგიდა, ბოძგინტი, ბოძგინტის გადასაფარებელი, საერთო სარგებლობის დანარჩენი ინვენტარი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შირაქაძე**.

**204** საბჭოთა მეურნეობებში პამიდორის საერთო პროდუქციის მიღების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის პრემიის ნატურით ანაზღაურების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 6 ივლისის № 446 დადგენილების „იმის შესახებ, რომ საბჭოთა მეურნეობების მუშებს ნატურით მიეცეთ ნაწილი დამატებითი საზღაურისა საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში მაღალი ხარისხით შესრულებულ სამუშაოებისათვის და პრემიებისა საერთო პროდუქციის მიღების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის", მეორე მუხლში გათვალისწინებულ კულტურებს, დაემატოს პამიდორის კულტურა და მასზე მომუშავე მუშებზე გავრცელდეს პრემიის ნატურით გაცემის წესი, რაც ზემოხსენებული დადგენილებითაა გათვალისწინებული.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაჟაძე.**

ქ. თბილისი, 1963 წ. 29 დეკემბერი, № 799.

ინდექსი — 76187

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

## № 5 за 1963 год

გამომცემი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/11-64 წ. ქაღალდის ზომა 60 X 90,
ქაღალდი 22.500 ნაბეჭდი თაბახი — 14,75, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი — 12,0

წლიური ხელმოწერის ფასი 8 მან.

თარგმნილია რუსულიდან

ტირაჟი 1500 შეკვეთა № 88

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 8.